# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | შაბათი, 28 მარტი | 1998 №45 (580) | ფასი 50 თეთრი


## სდასუ 83 თსუ 81

## ხვალ მესამე რაუნდია

**ვერის ბაღი. საქართველოს მე-7 ჩემპიონატი პლეი ოფი. მეოთხედფინალები. 27 მარტი**

სდასუ: ჩერქეზიშვილი (15), ჩხეიძე (7), სანაძე (6), ნაცვლიშვილი (2), ოთიურიძე (32); მგალობლიშვილი (13), აბულაძე (6), მუშკუდიანი (2), ახობაძე
თსუ: ჟღენტი (32), წონელია (9), ცხვედიანი (12), ბაბიაშვილი (11), ხელაშვილი (5); არსიაშვილი (6), ნიკოლაძე (6), თათულაშვილი
მსაჯები: მოლოდინაშვილი, მაჩალაძე

გულშემატკივრები, რომლებიც ელოდნენ, რომ ამ მეტოქეთა დავა ორ მატჩში არ დამთავრდებოდა, მართალნი აღმოჩნდნენ. უძნელეს ბრძოლაში სდასუ-მ სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ნახევარფინალის მონაწილეს კვირის მატჩი გაარკვევს.

იხილეთ მეათე გვერდი

გურამ ცუცქირიძის ფოტო



თსუ — სდასუ. ვასილ ოთიურიძემ თავისი დაბადების დღე ჩინებული თამაშით აღნიშნა

## ავალანჟის სავარძელი

ავალანჟი ჯერაც ფიფას პრეზიდენტია. ცხრა ათეულ წელს მიტანებული ბრაზილიელი აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის — ფიფას სათავეში მყარად დგას, მაგრამ წელს ამ თანამდებობაზე მხცოვანი ჟოაოს ბოლო წელია — 8 ივნისს იგი ოფიციალურად გადადგება ფიფას პრეზიდენტობიდან.

ვინ იქნება ავალანჟის მემკვიდრე? აი, კითხვა, რომელიც მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარს აღელვებს, ერთ — შვედ ლენარტ იუჰანსონს კი განსაკუთრებით. მსოფლიოს ფეხბურთის მორევში ჩაძირული გულშემატკივრებისთვის შეუძლებელია იუჰანსონი ცნობილი არ იყოს — სკანდინაველი აგერ უკვე რამდენიმე წელია, ფიფას დაქვემდებარებული ერთ-ერთი ორგანიზაციის, უეფას თავკაცია, თვალი ავალანჟის სავარძლისკენ რომ რჩება. ოთხი წლის წინ, აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატამდე ავალანჟი კიდევ ერთხელ აირჩიეს ფიფას პრეზიდენტად, მაგრამ მაშინ ბრაზილიელმა განაცხადა, ეს ამ თანამდებობაზე ჩემი ბოლო ვადა იქნებაო. იუჰანსონმა ეს რომ გაიგო, ძილი გაუტყდა — თუ ადრე გულში ნატრობდა ფიფას პრეზიდენტის სავარძელს, ამიერიდან, წადილი არავისთვის დაუმალავს — როგორც კი დაიწყო ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა განაცხადების შეტანა, იუჰანსონი პირველი იყო, რომელმაც ოფიციალურად წამოაყენა თავისი კანდიდატურა. ერთი ხანობა შვედი დარწმუნებული იყო მომავალ წარმატებაში, მაგრამ ხუთშაბათს:

— მიხარული ვარ იოზეფის გადაწყვეტილებით. ვფიქრობ, მისი სახით ფიფას იდეალური პრეზიდენტი ეყოლება. როგორც კი ამბავი გავიგე, მას იმწუთს შევეხმიანე. ვგონებ, მისი გადაწყვეტილება სამართლიანი და, რაც მთავარია, დროული იყო. ახლა ყველაფერი ივნისში გადაწყდება — განაცხადა ჟოაო ავალანჟმა. მაინც ვის ნაბიჯს აქებდა იგი? — არც მეტი, არც ნაკლები, თავისი მარჯვენა ხელის, ფიფას გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერისას.

ეჭვები იმის შესახებ, ბლატერი ფიფას პრეზიდენტობისთვის იბრძოლებსო, კარგა ხანია დაიბადა, მაგრამ 62 წლის შვეიცარიელს ხუთშაბათამდე ამის თაობაზე ოფიციალურად არაფერი ჰქონდა ნათქვამი. ერთი სიტყვით, ხუთშაბათს იუჰანსონს საკმაოდ სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა — იოზეფ ბლატერი.

მაინც რა კაცია ფიფას გენერალური მდივანი? — იგი 1936 წლის 10 მარტს დაიბადა შვეიცარიის ქალაქ ვისპში. იქვე აღიზარდა, განათლება კი სენტ მორისის „კოლეჟ დე სიონსა“ და ლოზანის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუღია — ადმინისტრაციული ბიზნესის ბაკალავრი და ეკონომიკური კანონების მცოდნე ყოფილა. 1962-63 წლებში მოყვარულთა გუნდ „სალგეშის“ ერთი რიგითი ფეხბურთელი იყო, 1964 წელს შვეიცარიის ჰოკეის ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს, 1970 წელს 1972 და 1976 წლების ოლიმპიადების ორგკომიტეტშიც აურჩევიათ. ფიფაში პირველად ფეხი 1975 წელს შედგა — ჟოაო ბლატერი პროექტის, განვითარებადი ქვეყნების... 

— ვფიქრობ, ორივეს ერთნაირი შანსი აქვს. მსოფლიოს ფეხბურთში ორივე ავტორიტეტული პიროვნებაა, ასე რომ, ერთ-ერთის არჩევის შემთხვევაში ფიფას ღირსეული პრეზიდენტი ეყოლება — განაცხადა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ორგკომიტეტის პრეზიდენტმა — მიშელ პლატინიმ, რომელზეც ამბობენ, იუჰანსონთან შედარებით უფრო ბლატერს უჭერს მხარსო.

## ერთი წლის წინ გვეფიქრა

დიახ, ასე, ერთი წლის წინ უნდა გვეფიქრა, უფრო სწორად, ნაკრების ხელმძღვანელობა უნდა დაფიქრებულიყო, სამომავლოდ ეროვნულ გუნდს ამხანაგური მატჩების ჩატარება რომ დასჭირდებოდა. სამწუხაროდ, ვერ გათვალეს და დღეს შედეგიც სახეზეა. არადა, ხომ ფაქტია, გუცაევსა და მის ბიჭებს ამხანაგურად ვინმესთან გაჯიბრება პურივით რომ სჭირდება. ჯერჯერობით ნაკრები მალტის ტურნირის ამარაღა დარჩა. სხვა რეალური წინადადება არავისგან ისმის.

ფეხბურთის ფედერაციიდან თითქმის ყველა ევროპულ თუ არაევროპულ ქვეყანაში გააგზავნეს თხოვნა, თქვენთან თამაში გვსურსო, მაგრამ თითქმის ყველამ შორს დაიჭირა. ზოგმა რა მოიმიზეზა, ზოგმა რა, ვინც კონკრეტული უარისგან თავი შეიკავა, მათგან არც ახლა ისმის რამე. გულის დასამშვიდებლად 30 მაისი დაგვრჩენია, თარიღი, როცა რუსებს ვუმასპინძლებთ. 12 აგვისტოს კი სათვალავში მაინცდამაინც დიდი ადგილი არ უნდა დავუთმოთ — აზერბაიჯანელებთან თამაში, თანაც ულეგიონეროდ, მეტი რომ არ ვთქვათ, მხოლოდ არნახულთა გამოსაცდელად გამოდგება.

ასეთ თემაზე საუბარი სადარდო და სანერვიულოა. შესარჩევებამდე ორი თამაშით თუ მივედით, მერე ნურაფერი გაგვიკვირდება. გუშინ, როცა ვლადიმერ გუცაევს ვესაუბრეთ, თავადაც ვერ იყო გუნებაზე რა ვქნათ, ყველას დავუკავშირდით, მაგრამ ამხანაგურების კალენდარი უკვე შედგენილი აქვთ და თარიღებიც დაჯავშნულიო, გვითხრა, თუმცა, იქვე დაამატა, ვცდილობთ, ვმუშაობთ, მარტის უეფასეული დღეები კი გაგვიცდა, მაგრამ აპრილის ხელიდან გაშვება არ ეგებისო, აუცილებლად ვიპოვით შესაფერის მეტოქესო. თუ ვინ იქნება საააპრილო მეტოქე, სულ ცოტა ხანში გაირკვევა, მანამდე კი რიგში ჩილე და უკრაინა არიან. პირველს, უკვე გაუწყეთ, ჩვენებმა თავისი ვარიანტი შესთავაზეს, რისი პასუხიც დღემდე არ უცნობებიათ. მეორე თითქოს ყაბულსაა, მაგრამ ზუსტად არც იციან, როდის გაგვეჯიბრებიან. გუცაევის თქმით, უკრაინა კარგი მოწინაალმდეგე იქნება, უკეთესი კი მათთან აპრილში გაჯიბრებაო.

მაშ დაველოდოთ ახლო მომავალს, ეგებ ვინმემ პატივი დაგვდოს და ჩვენთან ბურთაობა „იკადროს“, თუ არადა, აპრილს. მაშინ, ალბათ, ნაღდად ვითამაშებთ...

**კობა ინასარიძე**

## კი ბისკეინში რევოლუციაა!



ვინუს უილიამსი პირველი ჩოგნობისკენ გიგანტური ნაბიჯებით მიილტვის

ჩოგბურთში რევოლუციის ქარმა დაუბერა. ძველი ლიდერების — პიტ სამპრასისა და მარტინა ჰინგისის ბატონობას წყალი შეუდგა. კი ბისკეინში მიმდინარე „ლიპტონის“ ჩემპიონატზე დიდი ამბები ხდება: ქალებში 17 წლის ვინუს უილიამსმა და 16 წლის ანა კურნიკოვამ ლამის ყველა ბობოლა მოსრეს და დღეს ფინალში დაეჭიდებიან ერთმანეთს, კაცებში კი ჩილელ მარსელო რიოსს, რომელსაც აუტანელი ხასიათის გამო ჟურნალისტების უმეტესობა დასანახად ვერ იტანს, ორი მოგებაღა სჭირდება, მსოფლიოს პირველ ჩოგნად რომ აღზევდეს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ცივი ციურიხი და ქართული რიხი

**ემზარ ზენაიშვილი** ციურიხი — თბილისი

განა შეიძლება, შვეიცარიაში იყო, მცირე შანსი მაინც გქონდეს და არ დაესწრო „გრასჰოპერის“ თამაშს, იმ გუნდისა, რომლის შემადგენლობაში თამაშობს საქართველოს ნაკრების ორი წამყვანი ფეხბურთელი — გიორგი ნემსაძე და მიხეილ ყაველაშვილი.

ასეთ შანსი წინა შაბათს მოგვეცა, ხელიდან როგორ გავუშვებდით და სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, რომელიც მიხეილ ყაველაშვილის მეუღლის, თამუნას ბიძაა, რუსუდან აფციაური, სეოკ-ის თანამშრომელი, რომლისთვისაც, სხვათა შორის, ეს პირველი საფეხბურთო მატჩი იყო ცხოვრებაში და ამ სტრიქონების ავტორი მარტის ერთ სუსხიან საღამოს ციურიხის კოპწია, საუცხოოდ მოვლილ-მოკაზმულ სტადიონზე აღმოვჩნდით „გრასჰოპერისა“ და „სენტ გალენის“ მატჩზე. სხვათა შორის, ჩვენთვის მოულოდნელად ადგილობრივმა დიქტორმა მატჩის სანახავად მოსულ გულშემატკივრებს ამცნო, დღევანდელ თამაშს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები ესწრებიანო. ბოლომდე მართალი რომ ვიყო, ქართველ მაყურებელთა დესანტი იმ საღამოს მარტო ჩვენით როდი შემოიფარგლებოდა. აქ იყო გიას მთელი ჯალაბი — მეუღლე რუსიკო და ორი ვაჟკაცი — თორნიკე და ვაჟა, მიშას მეუღლე თამუნა ბაგრატიონი და მისი უფროსი ვაჟი გიორგი, რომელიც, როგორც ყაველასგან შევიტყვე, ორივე ოჯახის მთავარი ინფორმატორია საფეხბურთო საქმეებში — გიორგი პირველი მოძებნის ხოლმე ტელეტექსტში ევროპის ქვეყნებში ჩატარებული მატჩების ანგარიშებს. აკი იმავე საღამოსაც უმალ გვამცნო, რომ მიშას ყოფილმა (ფორმალურად ახლანდელმაც) „სიტიმ“ შინ ფრედ ითამაშა. მხოლოდ უმცროსი ყაველაშვილი, წლინახევრის მარიამი დაგვეჩაგრა იმ დღეს — მოთმინებით და ყოველგვარი კაპრიზების გარეშე ელოდა შინ მშობლებისა და სტუმრების დაბრუნებას...



როლფ ფრინგერს გიორგი ნემსაძისა და მიხეილ ყაველაშვილის სჯერა

იხილეთ მესამე გვერდი

# ურემი მალე აყირავდება

ხუთშაბათია. 12 საათი. დილმის ბაზაზე მისული ჟურნალისტები დავით ყიფიანის სამუშაო ოთახში განლაგდებიან და ტრადიციული პრესკონფერენციაც დაიწყება. „დინამოს“ თავკაცი ჟურნალისტების განკარგულებაში ერთი საათი იქნება, მერე კი ვარჯიში უნდა დაიწყოს და...

საუბარი ძირითადად ქართულ ფეხბურთს და „დინამოს“ ეხება. ძლიერ მტკივნეული თემა გახლავთ, მით უმეტეს, როცა ორივე უფსკრულისკენ მიექანება. გამოსავალია საძიებელი, მაგრამ მას ჯერ ვერავინ პოულობს, მხოლოდ ლაპარაკი, თუნდაც სამართლიანი კი საქმეს ვერ შველის.

წააგო „დინამომ“ „ქემჩუჟენასთან“. ანგარიში ვინც შეიტყო, ყველას გააკვირვა. ზოგიერთს სიმწრის ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ხელი ჩაიქნია და ძველი „დინამო“ გაიხსენა. ის „დინამო“, რომელმაც ჯერაც ერთადერთი თასი ჩამოგვიტანა, ის გუნდი, რომელშიც ჩივაძე, ყიფიანი, გუცაევი, მაჩაიძე და სხვები თამაშობდნენ. გახსენება კი ნოსტალგიურ გრძნობებს აღგვიძრავს. თითოეული მათგანი, ვინ მოთვლის, რამდენი პატარა ბიჭის კერპი ყოფილა. რამდენს დაუწერია მაისურზე ათიანი, სამიანი, ცხრიანი თუ შვიდიანი.

დრო ულმობელია, ყველაფერს ახუნებს. აგებდა ჩივაძის ნაკრები და ყიფიანის „დინამო“. ნეტავ, მანუჩარი თუ ახსოვს ვინმეს და იმსხვრევა კერპები. ხალხს ის ეცლება ხელიდან, რასაც წლობით ეთაყვანებოდა.

ახალგაზრდა, ჯერაც გამოუცდელ, თუ გნებავთ, გამოცდილ ფეხბურთელებს პასუხს არავინ მოსთხოვს. ჯოხი მუდამ ხელმძღვანელებზე გადატყდება, გულშემატკივარი მუდამ იმისგან მოელის ახსნა-განმარტებას, ვისაც აღმერთებდა. მუდამ მისი იმედი ექნება, ვისაც ქვეყნად მრავალი ქარტეხილი გამოუვლია, ბევრი უნახავს. მან უნდა გასწიოს ჭაპანი, უნდა იტვირთოს და ზურგზე მოიკიდოს უმძიმესი ტვირთი. თუ ვერ შეძლო, რა იქნება მაშინ? ძნელი სათქმელია. ალბათ, უნდა წავიდეს, რადგან თითოეული მათგანი ღვაწლმოსილი და პატივცემულია, მათ ჯერაც აღიდებენ და მათი საქმის სჯერათ.

კი ბატონო, ვის არ წაუგია ამხანაგური თამაში. დამარცხებულან უფრო დიდი ანგარიშითაც და დავიწყებას მისცემია ყველაფერი, მაგრამ „ქემჩუჟენასთან“ წაგებამ ისედაც გათელილი გულშემატკივარი მთლად შეურაცხყო. ამათთვის მიზეზებს მნიშვნელობა არა აქვს, ესენი მუდამ მოგებას ითხოვენ.

„დინამოს“ უკუსვლის ძირითად მიზეზად იმას ასახელებენ, ბიჭებს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში არ სურთო. ლამის ყველა ძალით გასაჩერებელი გვიხდება, ამბობს ყიფიანი. მათი უფერული თამაშის შემყურე ხელმძღვანელები გამოსავალს ეძებენ, ზოგს დატუქსავენ, ნაწილს მატერიალურად დასჯიან, თითოოროლა ჩემპიონატის თამაშებზე ვერ გამოვა. ვნახოთ, იქნებ ზედმეტმა სიმკაცრემ გამოიღოს ნაყოფი. აგერ გელაძე და გოგობერიშვილი დასაჯეს ცუდი საქციელისთვის. ისინი ვარჯიშითაც ვერ წაივარჯიშებენ გუნდთან ერთად. რა თქმა უნდა, დროებით.

მუჯირს რა მოსდის? როგორც ითქვა, მუმუს უცხოეთში წასვლის სურვილი ჰკლავს, აქ ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგვია და დღითიდღე უკლებს. თანაც წნევა აწუხებს თურმე. დილით ახალამდგარს 140-90-ზე არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა უშავს, ჩივაძეს და მაჩაიძესაც, მსგავს მდგომარეობაში, დიდებულად უთამაშიათ.

მოკლედ, „დინამოს“ უმთავრესი პრობლემა უკვე მოგახსენეთ. ყიფიანის თქმით, ნიჭიერი ბიჭები გვყავს, მაგრამ არა ვარსკვლავები. „როგორც მე არ ვიყავი კრუიფის და პლატინის დონის, ისე არ არიან ეს ახალგაზრდები ჩამოყალიბებული, უნაკლო ფეხბურთელები“ — თქვა მწვრთნელმა. ბევრისთვის ის შეიძლება მეტიც იყო, ვიდრე კრუიფი და პლატინი, იმიტომ, რომ ჩვენი იყო.

და პირობები, ამჟამინდელი არ კმარა, თუმცა „დინამოს“ სხვებთან შედარებით მაინცდამაინც საწუწუნოდ არა აქვს საქმე. 1500 დოლარი ხელფასი ურიგო ნამდვილად არ არის, მაგრამ დიდი ნახტომისთვის არასაკმარისი ყოფილა. ჩამოუტანია ყიფიანს ჰოლანდიიდან მასალები, შენიშვნები, მაგრამ ახლანდელ პირობებში მათი განხორციელება გაჭირდება.



გურამ წიკლაურის ფოტო

**დავით ყიფიანს საფიქრალი არ აკლია**

სუსტდება „დინამო“ და სხვა გუნდებიც შედარებით ძლიერებად ამიტომ წარმოჩენილა. ყიფიანი არ მალავს, რომ ჩემპიონობის მიღწევა გაძნელდება. მიზეზები უკვე ვთქვით. ჰოდა, თუ ამათ თამაში არ უნდათ, ხომ არ გაგვეშვა ყველა და გუნდში ახლები მოგვეყვანა? ასეთ დროს მეორე უკიდურესობას წააწყდებიან კლუბის ხელმძღვანელები. მაშინ ხომ ჩემპიონობა და თასის აღება მართლაც საეჭვო გახდება.

კი, ბატონო, არ გახდეს „დინამო“ ჩემპიონი, მაგრამ ამით ეშველება ქართულ ფეხბურთს? — იკითხა ყიფიანმა. მწვრთნელს ჰგონია, რომ საშველი ეს არ არის. მაშინ სადაა ხსნა? ყიფიანს გზისთვის ჯერაც ვერ მიუგნია.

მოიპოვებს „დინამო“ ჩემპიონობას, შემოდგომაზე ევროთასებზეც იბრძოლებს. რას უნდა ველოდოთ? ფაქტობრივად, არაფერს, რადგან არ გვყავს გუნდი. „დინამოში“ არ არის ისეთი მეკარე, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე საიმედოდ ითამაშებს, არ არის მცველი, რომელიც პარტნიორებს დააზღვევს. მცველებიდან არც ერთს არ ძალუძს ბურთის სწორად ამოტანა და გამართული პასის გაკეთება. ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს ხისტი, სწრაფ ტემპში თამაში ვერ აუთვისებიათ. ზოგი მათგანი ინდომებს და არ გამოსდის, ზოგსაც არაფერი აინტერესებს, ოღონდ აქაურობას თავი დააღწიოს და საბურთაოდ ყველგან წავა, არა აქვს მნიშვნელობა, იტალია იქნება თუ ისრაელი. ვითომ კობიაშვილის დაბრუნება გვიშველის? ჯერ ისიც საკითხავია, ჩამოვა თუ არა ლევანი, დაუბრუნდება თუ არა „დინამოს“. „ფრაიბურგმა“ ბუნდესლიგაში თავი თუ ამოყო, კობიაშვილს მერე ვინ მოგცემს. სწორედ ამიტომ არ არის ჩვენი ადგილი ჩემპიონთა ლიგაში. ყველაფერს ხედავს ყიფიანი და მისი საქმე ისეა, წყალწაღებული ხავსს რომ ეჭიდებოდა.

მალე 20 მაისი მოვა. ამ დღეს ის ვადა იწურება, როცა „დინამომ“ ქინქლაძის ტრანსფერიდან მიღებული ფულის ნახევარი „მრეტებს“ უნდა მისცეს. ყიფიანი კი იძახის, პირადად მე ეს ეკონომიკურ დივერსიად მიმაჩნია, ამდენი ფული გერმანელებს რად უნდა მივცეთო, მაგრამ ფედერაცია ადრინდელ გადაწყვეტილებას არ ცვლის.

მოკლედ, ჩვენი ფეხბურთის თავზე ღრუბლები შეკრებილა. ისინი ქუჩდება და მალე ჯერაც უნახავი ჭექა-ქუხილი ატყდება. გზა კი არ ჩანს და ასეთ ყოფაში მანამ არ გამოჩნდება, სანამ ურემი არ გადაბრუნდება. ამას კი რაც მოსდევს, ყველამ კარგად უწყის.

**მამუკა კვანტალიანი**

# რწმენას ოთხშაბათს უპასუხებენ

დიდი ხანი არაა, რაც საკითხის დასმის წესით მიხეილ აშვეთიას ტრანსფერის თაობაზე ატეხილ დავას შევეხეთ.

სულო ცოდვილო, სამშაბათის „სარბიელი“ ხეირიანად სარბიელელებსვე არ წაგვეკითხა, რედაქციაში რეკვა და აღშფოთების გამომხატველი სიტყვების დახეთქება რომ ატყდა.

პრეტენზია, რატომღაც ჩვენს მიმართ, „ტორპედოს“ მეპატრონე ბესიკ ჯიქიას გაუჩნდა, მაგრამ ჩვენთან შეხვედრა და გულისტკივილის ნორმალური ფორმით გადმოცემა დაპირების საწინააღმდეგოდ, ჩანს, ვერ მოახერხა.

ქუთაისური კლუბის დირექტორ მურად ქუთათელაძის თქმით, „რწმენას“ პრეტენზია უსაფუძვლოა, მითუმეტეს, რომ სადავო საკითხი ფეხბურთის ფედერაციამ ერთხელ უკვე გაარჩია და „ტორპედოსთვის“ სასარგებლო გადაწყვეტილებაც მიიღო.

ასეთ შემთხვევაში წესით ფედერაციას ყურიც არ უნდა შეებერტყა ამასწინანდელ წერილზე, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის მესვეურნი სხვებზე ცივილურად მოიქცნენ. საოთხშაბათოდ აშვეთიას საკითხის ხელახლა განსახილველად იურიდიული კომისიის სხდომა მოიწვიეს. ოთხშაბათსვე ყველა მოდავე მხარეს მოუსმენენ, ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის სარჩელს განიხილავენ და გადაწყვეტილებასაც საბოლოოს მიიღებენ.

„რწმენას“ მიერ აშვეთიასთან გაფორმებულ კონტრაქტში ასეც წერია: მხარეთა შორის ყველა სადაო საკითხს სფფ გადაწყვეტსო. და მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ფეხბურთელს კი არა, მის ამჟამინდელ ფაქტიურ მეპატრონე „ტორპედოს“ ედავება, აქაც საბოლოო სიტყვა ფედერაციაზეა.

ვნახოთ, ვისი სამართალი ჭამს პურს ოთხშაბათს.

# ისევ ნაცნობი ფინალი?

2 აპრილს, პირველ საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში თასის გათამაშების ნახევარფინალური წყვილები გამოვლინდება. ახლა ბევრგან მოისმენთ, წილისყრა ფორმალობად იქცევა, ფედერაცია იმ ჭკუაზე სულაც არ გახლავთ, „დინამო“ და „ბათუმი“ ერთმანეთს ნახევარფინალში შეახვედროსო. ამიტომ თსუ და „დილა“ აქედანვე ყველას განწირული ჰგონია.

სანამ უნდა ვუცქიროთ ყველასთვის ნაცნობ ფინალს? „დინამო“ „ბათუმს“ 1:0 მოუგებს და უყურე მთელი 90 წუთი ფედერაციის მიერ დადგმულ იაფფასიან სპექტაკლსო — შფოთავენ გულშემატკივრები. ასეთ ფინალს რომ ნახავ, მერე ვინ გიჟი მივა სუპერთასის საყურებლადო — ამბობენ სხვები.

რაოდენ ობიექტურადაც არ უნდა ჩაატაროს ფედერაციამ წილისყრა, ხალხს მაინც „ჩაწყობილი“ ეგონება, თუ ნახევარფინალში „დინამო“ „ბათუმს“ ასცდა.

დაველოდოთ ხუთშაბათს. იმედია, წილისყრას ჟურნალისტებსაც დაასწრებენ და მერე სათქმელიც არ დაიმალება. ისე, ნამდვილად ბედის ირონიაა. ღმერთმა რომ ინებოს და „დინამო“ „ბათუმს“ ააცილოს, მაშინ რა ქნას ფედერაციამ?

გულშემატკივრებს პასუხი მზად აქვთ. ღმერთმა კი არა, ფედერაციამო, გიპასუხებენ. მოკლედ, წილისყრაზე დიდი ორომტრიალია მოსალოდნელი.

# შორია საქართველომდე?

საქართველოს ლეგიონერები არ აკლია. ცხადია, ძლიერ ევროპულ კლუბში მოთამაშე ქართველი ჩვენი ეროვნული ნაკრების ძალაა.

უცხოეთში ქართველთა გარდა, ისეთი ფეხბურთელებიც არიან გადახვეწილი, ფეხი რომ ჩვენს მიწაზე აიდგეს და ჩვენშივე დაოსტატდნენ. გულახდილად ვთქვათ, ნაკრების რომელი მწვრთნელი იტყოდა უარს თეთრაძეზე ან ნინიაძისზე, ჩივაძე, ყიფიანი თუ გუცაევი? არადა, ისე კი მოხდა, ჩვენში ანდრო კოურჯიევად ცნობილმა „ბათუმის“ ნახევარმცველმა კარგა ხანია, ისტორიულ სამშობლოს მიაშურა, ომარ თეთრაძე კი რუსეთის მოქალაქე გახდა. ახლა ერთი საბერძნეთის, ხოლო მეორე რუსეთის ნაკრების წევრია. მათ გარდა საქართველოდან ასული ებრაელი ბენი კოზიაშვილიც იცავს თავისი „ახალი“ ქვეყნის, ისრაელის ნაკრების ღირებას. ამ ბიჭს ჩვენში ბევრი არ იცნობს. მას ფეხბურთის თამაში ისრაელშივე უსწავლია, მაგრამ ისეთიცაა, ბურთის გორება საქართველოში რომ დაუწყია, ქართველიცაა და მაინც კი სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშობს.

შარშანწინ თურქმენეთის ნაკრების მწვრთნელად ელგუჯა გუგუშვილი რომ დაინიშნა, კასპიისპირელებმა ორი ჩვენებურიც გადაიბირეს — ბუბა ტყავაძემ და კახა გოგოლაძემ თურქმენეთის მოქალაქეობა მიიღეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის აზიურ ზონაშიც ითამაშეს.

თურქმენეთის ნაკრები საქართველოსავით ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩა. ჩვენებურებს კი უამმიზნოდ კასპიის გადაღმა გული აღარ უდგებათ. ტყავაძეცა და გოგოლაძეც საქართველოს დაუბრუნდნენ და ერთი „სიონში“ მოეწყო, მეორე — „მორკინალში“. ტყავაძე ახლაც ბოლნისშია, გოგოლაძეს კი კურსი 180 გრადუსის ცვლილებით დასავლეთისკენ აელო, კახას ევროპულ კლუბში სურდა თამაში. მისით თითქოს გერმანელებიც დაინტერესდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.



გურამ წიკლაურის ფოტო

**კახა გოგოლაძე**

ამ დღეებში გოგოლაძე თბილისში ერთ-ერთი თამაშის მოცქირალი ვნახეთ. უქმად ყოფნის მიზეზს კითხვაც არ უნდოდა, კახა ყავარჯენს დაყრდნობოდა. შემოდგომაზე „დინამოსთან“ თამაშისას მიღებული ტრავმა ხეირიანად მოშუშებულიც არ მქონდა, რომ აშხაბადში თავი ისევ შემახსენა. ისევ ის მუხლი დავიშავე და ახლა გამოჯანმრთელებას ველი. დროებით ისევ თურქმენულ „კოპეტ-დაღში“ ვირიცხები, რადგან მკურნალობაც მჭირდება და ფორმის აღდგენაცო.

# სინათლე ჯერ არ მოუშუშებულა

დღეს და ხვალ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მეცხრამეტე ტურის მატჩები გაიმართება. ადრე დაგეგმილი, ფაქტობრივად, არც შეცვლილა, მხოლოდ იმ გულშემატკივრებს მოუწევთ ადგილის გამოცვლა, ვისაც „მერანი“ — „დინამოს“ პაექრობა დააინტერესებს. შეგახსენებთ, რომ „სინათლის“ სტადიონს ნაგვიანევი რემონტი უტარდება, მინდორზე მიწაც ახალი შეტანილი გახლავთ და ნიადაგმა ჯერაც ვერ მოასწრო მოშუშება.

მერანელთა თავკაცობამ ნაცად ხერხს მიმართა და სტადიონის სათხოვნელად ისევ რკინიგზელებს მიადგა. ხვალ, 3 საათზე, „მერანი“ — „დინამოს“ ვაკეში უმასპინძლებს.

მაინცდამაინც საამო საცქერი არ იქნება დედაქალაქური დერბი. ვაკეში სათამაშო მინდორი, ფაქტობრივად, უვარგისი გახლავთ და რახან ავტოტრანსპორტელებს საქმე მაინც სათხოვნელად გახდომიათ, სჯობდა, ისანში წასულიყვნენ და „შევარდენი“ დაებევებინათ. იქაური მინდორი ვაკის სტადიონზე ბევრად უკეთესია და ბურთაობაც უფრო მიმზიდველი იქნებოდა.

ყოველივეს მხოლოდ ერთი ახსნა გააჩნია. კარგ მინდორზე „მერანს“ „დინამოსთან“ ქულის აღების მინიმალური შანსიღა თუ აქვს, ხოლო უვარგისზე ჯანელიძის ბიჭებმა შეიძლება კიდეც ივარგონ.

მოკლედ, ხვალ „მერანი“ „დინამოს“ ვაკეში უმასპინძლებს.

# ტორპედოს სკამი დაუგრძელდა

ქუთაისის „ტორპედოს“ წლეულს შორს მიმავალი მიზნები აქვს. იმერული კლუბი ცდილობს, ახლა მაინც მიაღწიოს იმას, რაც შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრეში დიდი ძალისხმევის მიუხედავად ვერ შეძლო. „ტორპედოს“ სურვილი ერთ-ერთი ევროთასის საგზურის მოპოვებაა და წლეულს ეს კიდეც ხელეწიფება.

გუნდს, რომელსაც ევროთასში თამაში სურს, მოთამაშეთა დიდი არჩევანი სჭირდება. „ტორპედო“ ფეხბურთელების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. კონკურენციამ სათადარიგოთა სკამზე დასვა გუნდისთავი თურმანიძე, ნახევარმცველები შენგელია და ჩხეტიანი, თავდამსხმელები — ვაჩიბერაძე და მეტრეველი. დღე-დღეზე „ტორპედოს“ ოსთაგან პირნაშალი ხვადაგიანაც უნდა შეემატოს. ასე რომ, ალბათ, კიდევ ერთ ძირითადელს მოუწევს სკამზე ჯდომა.

მატებაა მწვრთნელთა სკამზეც. „ტორპედოს“ თავკაც სოსო ფრუიძეს ბოლო ხანს მხოლოდ ჯემალ ხერხაძე ეხმარებოდა. ხუთშაბათს კიდევ ერთი თანაშემწის დანიშვნაზე დაიწერა ბრძანება. ამ დღიდან გუნდის მთავარსარდალს ორი სარდალი შეეშველება.

ნეტარხსენებული გიგა ნორაკიძის დროს „ტორპედოს“ ოთხი მწვრთნელი ჰყავდა. ერთი თავად ნორაკიძე, რომელიც უფროსი მწვრთნელი იყო, ერთი მთავარი მწვრთნელი, რევაზ ბურკაძე, ორიც თანაშემწე — ხერხაძე და შელია.

„ტორპედოდან“ ნორაკიძის წასვლის შემდეგ სამნი დარჩნენ. ბურკაძემ შელიაც გაიყოლა და ხერხაძე დააობლა, მაგრამ შარშანწინ გათავკაცებულმა სოსო ფრუიძემ ხერხაძესთან ერთად ფარმ-კლუბელი შავგულიძეც დაიხმარა.

შარშან მწვრთნელებში გადაინაცვლა მერაბ მეგრელაძემაც და „ტორპედოში“ სერგო კუტივაძის მისვლას შავგულიძის დაქვეითება მოჰყვა. საბოლოოდ ისე მოხდა, კუტივაძეც დაითხოვეს, მაგრამ იგი თავის გზას ეწია — ნაკრების თავკაცს ეხმარება. ცოტა ხნის წინ „ტორპედო“ მეგრელაძემაც დატოვა. მერაბმა ისევ თამაში დააპირა და საწადელის ასასრულებლად გაციმბირებაც მოუხდა — მოთამაშე მწვრთნელად ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ ჩაირიცხა. ასე რომ, დარჩნენ ფრუიძე და ხერხაძე მარტო. საქმეს ვერ აუვიდნენ და ისევ ედუარდ შავგულიძეს უხმეს.

„ტორპედო 2“-ის მწვრთნელის ხელში თავის დროზე არაერთ ტორპედოელს გამოუვლია. მათგან გუნდში ახლა იონანიძე, ჯანაშია, ვაჩიბერაძე და ჩხეტიანია. აშვეთია კი „დინამოში“ თამაშობს.

შავგულიძე კვლავინდებულად ორ საქმეს შეეჭიდება — „ტორპედოს“ დღევანდელობასაც გაწვრთნის და იმავდროულად მომავალ თაობასაც მოამზადებს.

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ციცი ციურიხი და ქართული რიხი

„შარშანდელ ოქტომბერსაც მქონდა საშუალება დავსწრებოდი „გრასჰოპერის" გასვლით მატჩს „ქსამაქსთან". წაგებული პირველი ტაიმის მერე მიშა ყაველაშვილი შემოვიდა და ციურიხელებმა მატჩი მოიგეს. მაშინაც თურქილმაზთან და მოლდოვანთან ერთად, გუნდში აშკარად გამოირჩეოდნენ ქართველი ლეგიონერები, მაშინაც თვალში მეცა დაცვის არაორგანიზებული თამაში და სათამაშო კონცეფციის ერთფეროვნება.

„გრასჰოპერმა" შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეტად დამაჯერებლად მოიგო, ისე, როგორც თბილისის „დინამო" იგებდა ხოლმე ერთ დროს ჩვენს შინაურ ჩემპიონატს. ამჟამად კი რვა უძლიერეს გუნდს შორის უშელავათო საჩემპიონო ბრძოლაა გაჩაღებული. ქართველების გუნდი ჯერჯერობით აქაც წინაა — ორი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „სერვეტს"; ოლიმპიური დედაქალაქის, ლოზანის გუნდის სუნთქვის ხმაც ახლოდან ჩაესმით ციურიხელებს, ასე რომ, შაბათის საშინაო მატჩში ძლიერ, მაგრამ



ფრაუ მაია თამუნას და რუსიკოს გაჭირვების ტალკვესია

მაინც საშუალო დონის გუნდთან მოგება, ჩვენი აზრით, „გეგმიური" უნდა ყოფილიყო. თამაშის დღეს "BLICK"-ი გრასჰოპერელებს 5:0 მოგებას უწინასწარმეტყველებდა (სხვათა შორის, ამ ტურში გაზეთებმა ვერც ერთი შედეგი ვერ გამოიცნო).

ორივე ქართველმა ლეგიონერმა მატჩი სრულად ითამაშა. გიორგი ნემსაძე ჩვეულ ამპლუაში — საყრდენ ნახევარმცველად მოგვევლინა, მიხეილ ყაველაშვილმა პირველი ტაიმი მარჯვენა ნახევარმცველად, მეორე კი მისთვის უფრო ჩვეულ მარცხენა გარემარბად ითამაშა.

ჩემი აზრით, თამაში არც გუნდს გამოუვიდა და მთლად კარგად არც ჩვენს ბიჭებს. ისე, ნემსაძემ პირველი ტაიმი უკეთ ჩაატარა, ყაველამ კი პირიქით — მეორეში შეტევების სული და გული იყო. ჩვენი ნაკრების ორივე წევრი გუნდის სუსტ თამაშს მწვრთნელს აბრალებდა.

— ვარჯიშისას ხომ არაქათის გაცლამდე გვკლავენ, გუშინაც და ამ დილითაც დიდი დატვირთვები მოგვცეს, ამიტომაც ფეხებზე სიმძიმედაკიდებულებს ვგავდით, თანაც ვერ გავიგე რა ფეხბურთს გვათამაშებს, რა უნდა ჩვენგან — თამაშის შემდეგ გუნდის VIP-ბარში შემოსვლისთანავე ემოციურად არჩევდა მატჩის პერიპეტიებს გიორგი ნემსაძე. მიშა კი დინჯად იდგა და თავის დაქნევით ეთანხმებოდა.

ერთი კია, ასეთი დაცვითა და ასეთი პრიმიტიული ტაქტიკით გრასჰოპერელებმა შეიძლება ქვეყნის ჩემპიონობას კი გამოჰკრან ხელი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში რისი იმედი უნდა ჰქონდეთ?

დაცვაში ციურიხელები „აიაქსს" ჰგავდნენ — სამი, უკეთეს შემთხვევაში, ოთხი მცველი, ხაზზე თამაში, ყოველგვარი დაზღვევისა და ზონის გაკონტროლების რაიმე მონახაზის გარეშე. ნახევარმცველები უფრო ახლოს, ე.წ. „მეორე ეშელონს" ქმნიან შეტევაში და მთელი შუა მოედანი ღვთის ანაბარა აქვთ მიტოვებული. ფინალურ ეტაპზე ჩატარებულ ოთხ მატჩში ჩვენი ბიჭების გუნდმა ყველაზე მეტი — 7 ბურთი გაუშვა. გატანითაც ყველაზე მეტი — 10 გაიტანა, მაგრამ დაცვა რომ სერიოზულად მისახედია, ფაქტია.

„კალიები" არც შეტევისას გამოირჩევიან მრავალფეროვნებით: ფლანგებს იშვიათად იყენებენ, არადა, გუნდში აშკარად გამოკვეთილი ამ ყაიდის ისეთი ფორვარდი ჰყავთ, როგორიც ყაველაშვილია. ფაქტობრივად, პირველ ტაიმში შეტევის მხოლოდ ორ ვარიანტს მიმართავდნენ — მოედნის თავისი ნახევრიდან მაღალი ბურთის ჩაწოდება მოწინააღმდეგის საჯარიმოში იმ იმედით, რომ ორი ტანმაღალი თავდამსხმელი, თურქილმაზი და სუბიატი კარგად თამაშობენ თავით. ან კიდევ, მოკლე, დაბალი პასით ბურთზე შეყოლა საჯარიმოში, აქაც თურქილმაზის მოკლე მანძილზე სწრაფად გაქცევის უნარის გაანგარიშებით.

ამ გეგმამ ვერ იმუშავა. ფეხბურთელები მძიმედ მოძრაობდნენ, სისწრაფეში აშკარად აგებდნენ ბრძოლას, კარის სიახლოვეს კი ტანმაღალი, მოქნილი მცველები ცდილობდნენ, შანსი არ მიეცათ მასპინძლებისთვის. გალენელებმა უკეთ გაშიფრეს მასპინძლების ღირსება-ნაკლოვანებანი — ახლოს „წებებულნი" ეთამაშებოდნენ ყველაზე სახიფათო თავდამსხმელებს, დაცვაში თავისუფალი მცველიც ჰყავდათ და ზონასაც პატრონობდნენ. მომეჩვენა, რომ სტუმრები ფიზიკურადაც უკეთ გამოიყურებოდნენ. მე თუ მკითხავთ, მათ იმდენჯერ „გააბითურეს" მასპინძლები, რომ უნდა მოეგოთ კიდეც. მატჩის 92-ე წუთზე (სწორედ 92-ეზე) „გრასჰოპერი" სასწაულმა იხსნა წაგებისგან. ასე რომ, 2:2 იმ მატჩში უდავოდ კარგი შედეგი იყო „გრასჰოპერისთვის".

ცხადი შეიქნა, რომ ოფლის დაუღვრელად არა თუ მოგება, ფრეც კი ძნელად მისაღწევი იქნებოდა და ციურიხელებმა მეორე ტაიმში „სიჩქარეებს" მოუმატეს. მიხეილ ყაველაშვილი მხოლოდ „წინა ფრონტზე" იბრძოდა და თანაც წარმატებით.

მიუხედავად არცთუ წარმატებული მატჩისა, ყაველაშვილს და ნემსაძეს კლასი აშკარად ეტყობოდათ. მათ რამდენიმე ისეთი საფეხბურთო მინიატიურა შექმნეს, რომ განაწყენებულ გულშემატკივრებს ყველაფერი ავიწყდებოდათ და ტაშის გრიალით ეგებებოდნენ ანაზდეულ საფეხბურთო სასწაულებს.

შეიძლება მკითხველმა გაიფიქროს, თუ ასეთი გუნდია, როგორიცაა პირველ ადგილზე, რატომ აქვს პრეტენზია, იყოს ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოსო. ჩემი აზრით, „გრასჰოპერი" მაინც თავდასხმის გუნდია, და იმ დონის ჩემპიონატში, როგორიც შვეიცარიისაა, შეტევის ხაზზე ფეხბურთელების ასეთი არჩევანი ბევრს წყვეტს. ბოლო-ბოლო, ევროპაში რამდენი გუნდი დაიკვეხნის იმით, რომ წინა ხაზზე ჰყავდეს მოლდოვანი (რომელიც ახლახან გადავიდა ინგლისში), თურქილმაზი და პლუს ყაველაშვილი. „გრასჰოპერში", საერთოდ შვეიცარიულ ფეხბურთში, უნიკალურ მოვლენად მიაჩნიათ კუბილაი თურქილმაზი; მასზე ამბობენ, იგი შვეიცარიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელიაო.



ქართული ფეხბურთის მომავალი გიორგი ივანიშვილი, ვაჟა და თორნიკე ნემსაძეები

— მართლაც რომ ნიჭიერი კაცია. ახლა იგი თავისი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარს თუ აძლევს გუნდს, მეოთხე ათეულში გადააბიჯა და მოედანზე უკვე ზარმაცობს. მაგრამ მისი გამოცდილება და საფეხბურთო ნიჭი ძალზე მაღალი ხარისხისაა. ახლაც, იგი უფრო ინტუიციითა და გამოცდილებით თამაშობს, ენერგიას არ ხარჯავს, თავს იზოგავს — ასე ახასიათებდნენ თანაგუნდელს გია და მიშა.

სხვათა შორის, თამაშის შემდეგ VIP-ბარში პირველი სწორედ კუბი თურქილმაზი, შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი შემოვიდა. სიმპათიური გარეგნობის მე-11 ნომერს 30-ს გადაცილებულისა არაფერი ეტყობოდა. ძალზე გულთბილად, მიესალმა თამუნას და რუსიკოს, ბავშვებს ხელი მაგრად ჩამოართვა და თავისი მეგობარი გოგონასკენ გაემართა (როგორც გვითხრეს, თურქილმაზს ოჯახური პრობლემები შექმნია).

და კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია კუბის თაობაზე. 19-20 მარტს შვეიცარიის ყველაზე მრავალტირაჟიანმა "BLICK"-მა 15 წელზე უფროსი 503 ქალის გამოკითხვა მოაწყო შვეიცარიის ყველაზე ეროტიკული მამაკაცის გამოსავლენად. ამ „კონკურსში" პირველი ადგილი კუბი თურქილმაზმა დაიკავა — მან 186 მანდილოსნის სიმპათია დაიმსახურა, ბევრმა კი დაუფარავადაც განაცხადა, საწოლში მხოლოდ კუბის ვისურვებდიო. ამ ინფორმაციას შვეიცარიის უპირველესი ფეხბურთელი ასე შეხვდა — "SUPER, ასეც ვიცოდი".

ალბათ მკითხველს დააინტერესებს საქართველოსა და შვეიცარიის ჩემპიონატების შედარება.

— კარგა ხანია, „დინამოს" თამაში აღარ მინახავს. ჩვენი პერიოდის გუნდს კი შვეიცარიის ჩემპიონატში პირველი ადგილისთვის უნდა ებრძოლა — ასეთია გიორგი ნემსაძის აზრი. აქაური ჩემპიონი რუსეთის პირველობის ხუთეულში მოსახვედრად იბრძოლებს. ჩვენს რამდენიმე გუნდს შეუძლია თანაბრად იბრძოლოს აქაურ ჩემპიონატში — აგრძელებს თემას მიხეილ ყაველაშვილი.

მე მხოლოდ მარტში ნანახი ორი მატჩის შედარება შემიძლია. ბუნებრივია, ზოგადი შთაბეჭდილებებით და მხოლოდ ამ ორი მატჩით სერიოზულად ვერ იმსჯელებ საქართველოსა და შვეიცარიის ჩემპიონატების დონეზე. თბილისის „დინამოს" სათასო მატჩმა მცხეთაში სამტრედიელებთან წარმოაჩინა ჩვენი ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელების დიდი პოტენციალი. მაგრამ აშკარად შეიმჩნევა, რომ შვეიცარიელები უფრო ხისტ, ჯარიმის ზღვრამდე მისულ ფეხბურთს თამაშობენ, მსაჯებიც ე.წ. „თავისუფალი" თამაშის საშუალებასაც უფრო თამამად აძლევენ გუნდებს, ისინი ფიზიკურადაც უკეთ არიან გაწვრთნილნი. აი, იმპროვიზაციის და თამაშის სანახაობრივი მხარისა კი რა მოგახსენოთ.

მატჩის შემდეგ თამუნასა და რუსიკოს დახმარებით „გრასჰოპერის" VIP-ბარში ამოვჩნდით. იქვე გავიცანით ფრაუ მაია — როგორც ჩვენი ფეხბურთელების მეუღლეებმა გვითხრეს, ფრაუ მაია მათი გაჭირვების ტალკვესი და მფარველი ანგელოზია.

როცა ჩვენები აქ ამოჩნდნენ, იმჟამად გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა თავის გაუთხოვარ დას უხმო და სთხოვა, მიხედე ქართველებს, ეცადე, ნაკლები პრობლემა შეექმნათო. — როცა ჩვენ ჩამოვედით, აბა, მაშინ გენახათ: გერმანული ენის სწავლების მოგვარება, ბავშვების სკოლაში და კლუბის საფეხბურთო ჯგუფში მოწყობა, ქალაქის გაცნობა და კიდევ ვინ მოთვლის, რა სამსახურს არ გვთავაზობს და არ გვიწევს. ის კი არა, იმასაც გვეუბნება, თქვენ თავი არ დაიჩაგროთ, გუნდის არც ერთ მიღებას არ გამოაკლდეთ, ბავშვებთან მე დავრჩებიო — ფრაუ მაიაზე და მის საქმიანობაზე თხრობას რუსიკო და თამუნა ერთმანეთს არ აცლიან. თან ფრაუ მაიას, ასე, შუახანს გადაცილებულ, მამაკაცური აღნაგობისა და კაცურად ჩაცმულ ქალს გვაცნობენ. უნდა გენახათ, ბავშვები როგორ ესიყვარულებოდნენ და ეფერებოდნენ ფრაუ მაიას; და ისიც პატარა ბავშვივით დახტოდა, ხან დაჭეროობანას და ხან კიდევ ვინ იცის, რას არ ეთამაშებოდა ვაჟა და თორნიკე ნემსაძეებს, გიორგი ივანიშვილს.

ამასობაში ბარში გრასჰოპერელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, ამ ცოტა ხნის წინ შვეიცარიის ნაკრები გუნდის თავკაცი როლფ ფრინგერი შემოვიდა. როლფი აქაური გაზეთებისა და კლუბის ქომაგების გამუდმებული კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული. ახლაც, ამ მატჩის შემდეგ გაზეთი „სპორტი" წერდა: „ფრინგერი აწყობილ გუნდს ანგრევს, ნაკრები ხომ დალუპა, ახლა „გრასჰოპერს" მოადგა..." ერთმანეთიც გავიცანით და რამდენიმე შეკითხვაც მივეცი.



მიშა და პატარა მარიამი

**— რას იტყვით დღევანდელ თამაშზე?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, პირველ ნახევარში, ასე ვთქვათ, „გვეძინა", არ ვიყავით სათანადოდ აგრესიულები, მეორე ტაიმში კი კარგად ვითამაშეთ, რამდენჯერმე კარგი შანსიც გავუშვით ხელიდან. საბოლოო შედეგი 2:2, ჩემი აზრით, ურიგო არ გახლავთ. მიმაჩნია, რომ პირველი ნახევარი შეიძლება ძალიან ცუდად შეფასდეს, მეორე ნახევარი კი ძალიან კარგად.

**— როგორ შეაფასებდით ყაველაშვილისა და ნემსაძის თამაშს?**

— ისინი ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობენ. სხვადასხვა ამპლუისანი არიან: ნემსაძე ნახევარმცველია, დაცვასაც ბევრს ეხმარება, ფიზიკურად კარგ ფორმაშია, 90 წუთის მანძილზე საკმაოდ მნიშვნელოვან, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს, ყაველაშვილი კი ძალიან კარგი დრიბლიორია, ალბათ საუკეთესო შვეიცარიის ფეხბურთში. ისინი, ჩემი აზრით, ორი სხვადასხვა ტიპის, მაგრამ ძალიან კარგი მოთამაშეები არიან.

**— თქვენს გუნდში ორჯერ ვნახე ყაველაშვილის თამაში. პირველ ტაიმში ნახევარდაცვაში მოქმედებდა, მეორეში კი თავდასხმაში, სადაც მას აშკარად უკეთ გამოსდის თამაში. ყოველთვის რატომ არ აყენებთ მისთვის ჩვეულ ადგილზე?**

— ჯერ ერთი, ყაველაშვილი ნახევარდაცვაშიც არ თამაშობს ურიგოდ. იქ მას სპეციფიკური მისია აკისრია, ის, ფაქტობრივად, სანახევროდ ნახევარმცველი და სანახევროდ თავდამსხმელია. ჩვენ ძალზე მაღალი კლასის თავდამსხმელები გვყავს, სამი თავდამსხმელით თამაში ყოველთვის მართებულად არ მიგვაჩნია. დღეს, როცა გაგვიჭირდა, მიშა წინ წავწიეთ და როგორც ნახეთ, ცეცხლიც დაანთო.

**— თქვენ შვეიცარიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იყავით. მიიწვევდით ნაკრებში ჩვენებურ ფეხბურთელებს, შვეიცარიის მოქალაქეები რომ ყოფილიყვნენ?**

— ისინი კარგი მოთამაშეები არიან, მათ შეუძლიათ ეროვნულ გუნდში თამაში. მე რომ ვწვრთნიდი, იმ ნაკრების ზოგიერთ წევრს მათი დარი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია. ასე რომ, შესაძლოა ისინი მიმეწვია, მაგრამ გადაჭრით ვერ დავიჩემებ, ნაკრებში მუდმივი ადგილი ექნებოდათ-მეთქი.

**— იცნობდით თუ არა ქართულ ფეხბურთს და ქართველ ფეხბურთელებს მანამდე?**

— არა, ეს პირველი ნაცნობობაა. ტელევიზიით მინახავს საქართველოს ნაკრების გამოსვლა, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს უშუალოდ არ ვიცნობდი. პირველად მაქვს ურთიერთობა ქართველ სპორტსმენებთან და ეს ურთიერთობა საკმაოდ საინტერესოა.

**— საშინაო მატჩში ფრე და ისიც საშუალო გუნდთან დანაკარგი უფროა, ვიდრე შენაძენი. გახდება თუ არა წელს „გრასჰოპერი" ჩემპიონი?**

— 2:2 კარგი შედეგია. ჩემპიონობა გვინდა და დიდი შანსიც გვაქვს, თუმცა დაჯერებით ვერაფერს გეტყვით. ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ორი საკმაოდ სერიოზული მეტოქე გვყავს — „ლოზანა" და „სერვეტი".

**— საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის პროგნოზი...**

— ჩემი აზრით, პირველ ადგილზე ბრაზილია გავა, მეორეზე — იტალია, მესამე კი საფრანგეთი იქნება.

**— გერმანიაზე რას იტყვით?**

— გერმანია ალბათ მომავლის პერსპექტივა უფროა, ვიდრე 1998 წლისა.

შემდეგ ყველანი ერთად მიხეილ ყაველაშვილის ბინაში ამოვჩნდით. მიშასა და გიორგის ბინები ქალაქგარეთა ორსართულიანი სახლის პირველ და მესამე სადარბაზოებშია. შუაში კი ერთი ძალზე „აშარი" ამერიკული ოჯახი ცხოვრობს. თავად უშვილოებს ნერვები ეწეწებათ პატარების ხმაურსა და თამაშზე. აბა, გინახავთ, 5-7 წლის სამი ქართველი ბიჭი ონავარი და ცელქი არ იყოს (ამ „საქმეში" პატარა მარიამიც ანგარიშგასაწევი ძალაა უკვე)? საჩივარი და საქმის გარჩევაც ხშირად აქვთ ხოლმე. კლუბის ადმინისტრაციაშიც კი.

— მანჩესტერში უკეთესი საცხოვრებელი პირობები გვქონდა, იქ ხალხსაც თითქოს უკეთ შევეჩვიე — გვეუბნება თამუნა.

შემდეგ გაიშალა სახელდახელო სუფრა, თამაშით და შედეგით უკმაყოფილო გია და მიშა მხოლოდ ნატურალურ წვენებს მიეძალნენ. მთელი საღამო ფეხბურთის თემა მეფობდა ყაველაშვილების სახლში — გუშინდელი და დღევანდელი „დინამო", ჩვენი ნაკრების პერსპექტივები, „სპარტაკისა" და „აიაქსის" მატჩის გარჩევა, კალიების აღრინდელი და ამჟამინდელი მწვრთნელი, პროგნოზი — რომელ ნემსაძეს, უფრო ვაჟას თუ უმცროს თორნიკეს უფრო მოჭარბებულად ეტყობა მამის გენები.

— ვაჟიკოს ფეხბურთიც უყვარს და თამაშშიც რაღაც პეწი ემჩნევა, თორნიკე კი მეკარეა — ამბობს გია და ირონიულად იღიმის.

— კი მაგრამ, მეკარე რა, ფეხბურთელი არ არის — ჩავეკითხე.

— ხომ ვთქვი, მეკარეა-მეთქი — ღიმილით მითხრა და კითხვა კვლავ უპასუხოდ დატოვა.

ამასობაში შუაღამეც მოახლოვდა. ძმები ნემსაძეები რაღაცაზე წაკინკლავდნენ, ერთმანეთს რამდენჯერმე მსუქუბადაც წაუთაქეს, უფროსი, ვაჟა უმცროსს ხელს გამეტებით ხომ ვერ შეუბრუნებდა. ამ ძიძგილაობაში ერთ-ერთმა წამოიტირა კიდეც.

მაშინ კი დედამ ორივეს მკაცრად შეხედა, უცხოებთან ასე არ იქცევიანო, უთხრა და ორივეს სახლისკენ გზა აჩვენა. ბიჭებიც უცებ დაწყნარდნენ, მუდარაჩამდგარი თვალებით შესცქეროდნენ დედას, იქნებ გვაპატიოსო, მაგრამ ნურას უკაცრავად. ძმებმა ნელა გაიხურეს კარი.

— რუსო, ცოდოები არიან, იქნებ დაგვეტოვებინა — შეეცოდა მამას თავისი ვაჟკაცები.

რუსიკო გიასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, გვერდით სკამზე დაუჯდა და ღიმილით თავი მხარზე დაადო.



გია და რუსიკო

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი მოთამაშე პიტერ ბერდსლი თავის „ნიუკასლის“ დროინდელ მწვრთნელს, კევინ კიგანს ლონდონურ „ფულემში“ შეუერთდა. ბერდსლი 37 წლისაა. ოფიციალურად პირველი დივიზიონის „ბოლტონს“ ეკუთვნის, რომელმაც მეორე დივიზიონის გუნდს იგი სეზონის ბოლომდე ათხოვა.

**თურქეთის თასის ფინალში სტამბოლის გუნდებმა „ბეშიქთაშმა“ და „გალათასარაიმ“ პირველი მატჩი 1:1 დაამთავრეს. ანგარიში „გალათასარაის“ ოქან ბურუქმა 61-ე წუთზე გახსნა, მაგრამ ბეშიქთაშელმა ერთუგულ საგლამმა თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გაქვითა.**

**ესპანური** „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა უეფასაც გამოსტყუა ჯარიმა — 10 ათასი დოლარი. ეს თანხა მილიონერ ხილი ხილს ალბათ არ გააკოტრებს, მაგრამ მისი იმიჯი ყოველი ახალი სკანდალის შემდეგ მეტად და მეტად თავისებური ხდება. ამჯერად ექსცენტრული მადრიდელის დასჯის მიზეზი გახლდათ ის, რომ მან ფიფას მიერ მისჯილი დისკვალიფიკაცია არად ჩააგდო. საქმე ის გახლავთ, რომ შარშან, ესპანური ფეხბურთის ოფიციალურ პირებთან შეხლა-შემოხლის გამო ხილი ხილს წლევანდელ 15 ივნისამდე აკრძალული ჰქონდა მსოფლიოს რომელიმე სტადიონზე ფეხბურთის მატჩზე დასწრება, მან კი სამჯერ გამოაცხადა დაუმორჩილებლობა. იგი დაესწრო უეფას თასზე თავისი გუნდისა და ზაგრების „კროაციას“ ორივე მერვედფინალურ შეხვედრასა და მეოთხედფინალურ საშინაო მატჩს ბირმინგემის „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ხილი ხილი ახალ ჯარიმამდე რამდენიმე დღით ადრე დასაჯა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამაც. ესპანური სასჯელი 20 ათას დოლარად შეფასდა. მიზეზი ფედერაციის გენერალური მდივნის ხერარდო გონსალესის საჯარო ლანძღვაა. შეგახსენებთ, რომ ხესუს ხილი ხილმა ამ კვირაში ესპანელი ჟურნალისტებიც შეურაცხყო, ჩემი გუნდის მწვრთნელს, სერბ რადომირ ანტიჩს კრიტიკა როგორ აკადრეთო.

**რუმინეთის თასის ნახევარფინალში ბუქარესტის „რაპიდმა“ თანაქალაქელ „დინამოს“ 2:1 მოუგო, კრაიოვას „უნივერსიტატიამ“ კი პიტეშტის „არჯეშს“ სძლია 1:0. ფინალი 6 მაისს ბუქარესტში გაიმართება.**

**გერმანული** ბუნდესლიგის გუნდმა „კარლსრუემ“ თანამდებობიდან მოხსნა მწვრთნელი ვინფრედ შეფერი, რომელიც 1986 წლის მერე ამ პოსტზე მუშაობდა. მის ადგილას დანიშნეს „შალკე 04“-ის ყოფილი ხელმძღვანელი იორგ ბერგერი, რომელმაც პრესკონფერენციაზე თქვა, ვიცი ურთულეს ამოცანას ვარ შეჭიდებულიო. შეფერს „კარლსრუესთვის“ დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული. მან ეს კლუბი მეორე ბუნდესლიგიდან აღაზევა და რამდენჯერმე უეფას თასზეც ათამაშა. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში შეფერს კრიზისი დაუდგა. „კარლსრუე“ 18-გუნდიან ბუნდესლიგაში მე-16 ადგილზეა.

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ გამდიდრებულა. თუ მისი შემოსავალი 31 იანვრამდე ექვსი თვის მანძილზე უცვლელი 12,4 მილიონი დოლარი იყო, ბოლო თვეებში 15 პროცენტით გაიზარდა და ამაში წვლილი ახალშეძენილ ვარსკვლავებს გერმანელ იურგენ კლინსმანსა და იტალიელ ნიკოლა ბერტის მიუძღვით. მათ ხალხი მიიზიდეს. გარდა ამისა, „სპურზმა“ ახალი კონტრაქტი გააფორმა ტელეგიგანტ BSKYB-სთან. ამან კლუბის სატელევიზიო შემოსავალი 2,9 მილიონი დოლარიდან 4,7 მილიონ დოლარამდე გაზარდა.**

**ბერძნული** აეკის ფეხბურთელი ანტონ დობოში 5 მარტს თასთა თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ თამაშის დროს მოედნიდან გააძევეს. ეს „წითელა“ დობოშს ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციად, ათენის კლუბს კი 20 ათას შვეიცარიულ ფრანკად დაუჯდა. ამ შეხვედრაში ბერძენმა ქომაგებმა ცოტა წაიხულიგნეს კიდეც.

**ჰოლანდიური „ეინდჰოვენი“ ახლანდელ თავკაცს, დიკ ადვოკაატს „გლაზგო რეინჯერსში“ რომ უშვებს, ცხადია მისი შემცვლელიც სჭირდება. როგორც ჩანს, ფირმა „ფილიპსის“ შვილებს შემცვლელად ინგლისელი ბობი რობსონი ესახებათ. თურმე „ეინდჰოვენის“ პრეზიდენტი ჰარი ვან რაი ესპანეთს გამგზავრებულა რობსონთან მოსალაპარაკებლად და 65 წლის სპეციალისტისთვის ერთწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებია. ცნობილი იყო, რომ „ეინდჰოვენი“ აქამდე ბელგიურ „ბრიუგეს“ სთხოვდა შენი ახლანდელი მწვრთნელი და ჩემი ყოფილი ფეხბურთელი ერიკ გერეცი ადვოკაატის შემცვლელად მომეციო. რაც შეეხება რობსონს, მოგეხსენებათ, იგი ჯერჯერობით „ბარსელონაში“ ფეხბურთელთა აღმომჩენად მუშაობს.**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალისტმა „ვულვერჰემპტონმა“ 24 საათში სამი ახალი ფეხბურთელი იყიდა. მესამე გახლდათ 502 ათას დოლარად ნაყიდი სტივ კლარიჯი „ლესტერ სიტიდან“. კლარიჯს ხვალვე შეუძლია პირველი თამაშის ჩატარება ახალ გუნდში. ეს იქნება პირველი დივიზიონის მატჩი „პორტსმუტთან“, შემდეგ, 5 აპრილს კი „არსენალთან“ ნახევარფინალიც მოდის. „კლარიჯი გამოცდილი მეგოლეა და ის პლეიოფის სტადიაზე ერთობ გამოგვადგება“ — ბრძანა „ვულვერჰემპტონის“ მწვრთნელმა მარკ მაკგიმ. კიდევ ორი შენაძენი გახლავან „საუთჰემპტონიდან“ 50 ათასად ნაყიდი ავსტრალიელი რობი სლეიტერი და „კრისტალ პალასიდან“ უცნობ თანხად შეძენილი ნილ იმბლენი, რომელიც „ვულვერჰემპტონში“ ადრეც ბურთაობდა.

**იუგოსლაველი საშა ჩურჩიჩი ბირმინგემის „ასტონ ვილადან“ ლონდონის რისტალ პალასში“ გადავიდა. კლუბიდან გამოსულ ხმათა თანახმად, პრემიერლიგის აუტსაიდერმა „პალასმა“ ამ საქმეში 1,7 მილიონი დოლარი გაიღო და ჩურჩიჩი სამი წლით იგდო ხელთ. ეს ტრანსფერი იუგოსლაველი მოთამაშისთვის შესაძლოა, ჩინებული გამოსავალიც იყოს, რამეთუ იგი თავის „ვილაში“ ყოფნას ცხოვრების დამანგრეველ, უდიდეს შეცდომას უწოდებდა. ჩურჩიჩს „ვილაში“ არ ათამაშებდნენ და შექმნა ხიფათი, რომ ბრიტანეთის შრომის სამინისტრო ქვეყანაში მუშაობის უფლებას აღარ გაუგრძელებდა, მაგრამ ხსნა სხვა მხრიდან გამოჩნდა, საშამ ინგლისელი ქალი ითხოვა ცოლად. აღსანიშნავია, რომ ერთიხანობა იუგოსლაველი მოთამაშე თურქულ „ბეშიქთაშს“ სურდა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა.**

**გერმანიის** ნაკრების თავდამსხმელი ულფ კირსტენი ლევერკუზენის „ბაიერნში“ ალბათ კარიერის ბოლომდე დარჩება. 32 წლის გოლგამტანს რამდენიმე უცხოური კლუბი ეპატიჟებოდა, მათ შორის იყო მადრიდის „რეალიც“, მაგრამ ყველაზე კარგი წინადადება კირსტენმა მაინც თავისი კლუბისგან მიიღო. ახალი კონტრაქტი 2001 წლამდეა. საინტერესოა, რომ კირსტენი ყოფილი გდრ-ელია. იგი ლევერკუზენის გუნდში 1990 წელს დრეზდენის „დინამოდან“ გადავიდა.

**ინგლისური „უიმბლდონის“ ნახევარმცველი, ბრიტანეთის ყველაზე უხეშ მოთამაშედ ცნობილი ვინი ჯოუნზი ეტყობა, ლონდონს გადაკვეთს და „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ მოთამაშე-მწვრთნელად მივა. ჯოუნზი 33 წლის კაცია და მასში „რეინჯერსმა“ ნახევარი მილიონი გირვანქა გადაიხადა. „ჩვენ ვინმე შეუპოვარი კაცი გვჭირდებოდა და ასეთად ვინი ვიგულეთ. ის ბუნებით ლიდერია“ — განაცხადა „ქუინზ პარკის“ მთავარმა მწვრთნელმა რეი ჰარფორდმა. ჯოუნზი უელსის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. მას საქართველოს ნაკრებთანაც უთამაშია და მიხეილ ყაველაშვილის წინააღმდეგ უხეშობისთვის გაუძევებიათ კიდეც.**

**გერმანული** ბუნდესლიგის ლიდერი „კაიზერსლაუტერნი“ დღეს ლევერკუზენში „ბაიერნს“ ხვდება. „კაიზერის“ გასახარად გუნდის წინა ხაზს დაუბრუნდება ოლაფ მარშალი, რომელსაც ტრავმამდე მიმდინარე სეზონში 13 გოლი ჰქონდა გატანილი. „ვიცით, თუ ჩემპიონობა გვინდა, დარჩენილი რვა ტურიდან რამდენიმე სამი ქულით უნდა დავასრულოთ. აქ სანერვიულოს ვერაფერს ვხედავ“ — განაცხადა ლიდერის ნახევარმცველმა ანდრეას ბუკმა.

**რუსმა ფეხბურთელმა ანდრეი კანჩელსკისმა, იტალიურ „ფიორენტინაში“ რომ გამოდის, განაცხადა ნაკრების დონეზე თამაშს თავს ვანებებო. „საერთაშორისო დონეზე გატარებულმა წლებმა დამღალა და არ მგონია ევროპის ჩემპიონატის მოახლოებულ შესარჩევ ციკლს თუნდაც მინიმალური ენთუზიაზმით შევხვდე. ახლა ერთადერთი, რაც მაინტერესებს, „ფიორენტინასთან“ ერთად წარმატებების მიღწევაა“ — თქვა 28 წლის „მოხუცმა“.**

**ვიეტნამში** „სონგ ლამ ნგე ან“ — საფეხბურთო კლუბის სარბიელი „ვინჰ სტადიუმი“ ერთი თამაშიც დისკვალიფიცირებულია, დირექტორატი კი 1100 დოლარითაა დასჯილი. გარდა ამისა, ერთი ფეხბურთელი ექვსი მატჩით ჩამოაშორეს პირველობას. მიზეზი: ამ მოთამაშემ მეტოქე ფეხბურთელს თავში მუშტი ჩაარტყა. ამბობენ, ვიეტნამის ფეხბურთში ბევრი ჩაწყობილი თამაშიაო.

**ნორვეგიელი ნახევარმცველი ლარს ბოჰინენი „ბლექბერნ როვერსიდან“ 2,4 მილიონ დოლარად „დერბი ქაუნთიში“ გადავიდა. ბოჰინენი 28 წლისაა. „დერბის“ მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა განაცხადა, სეზონის მეოთხედზე მეტი ჯერ წინაა და ლარსი შესაძლოა უეფას თასზე გასვლელი ადგილის მოპოვებაში დიდად დაგვეხმაროსო.**

**იაპონელთა** ბრაზილიური ორიენტაცია ცნობილი ამბავია. ახლაც, ჯეი ლიგის გუნდმა „ავისპა ფუფუოკამ“ მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყნიდან წაიყვანა 30 წლის ნახევარმცველი ფერნანდო ენრიკე მარიანუ. ეს მარიანუ „ინტერნასიონალში“ თამაშობდა, ნაკრებში კი არასდროს მიუწვევიათ. იგი „ინტერნასიონალს“ კაპიტნობდა, 1997 წელს მესამე ადგილზე რომ გავიდა, მაშინ. რა დაუჯდათ იაპონელებს ახალი ნახევარმცველის ყიდვა, ცნობილი არაა. იაპონურ სიახლეთაგან აღსანიშნავია ისიც, რომ „ბელმარე ჰირაცუკამ“ „ნაგოია გრამპუსისგან“ ითხოვა 28 წლის თავდამსხმელი იასუიუკი მორიამა. მორიამას ჯეი ლიგის 142 შეხვედრაში 51 გოლი აქვს გატანილი.

**აშშ-ში 2000 წელს რომ „ოქროს თასის“ გათამაშება გაიმართება, მასში 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრება თებერვლის თვეში მოეწყობა და სამი მოწვეული ნაკრებით დამშვენდება. ჩრდილო და ცენტრალური ამერიკისა და კარიბების ჩემპიონატში ახლაც მიიღეს მონაწილეობა სამხრეთ ამერიკელებმა, ოღონდ ორმა, ბრაზილიამ და მექსიკამ. „1998 წელს „ოქროს თასმა“ დაამტკიცა, რომ ჩვენი რეგიონის მთავარი შეჯიბრებაა. 2000-ში კი მეტსაც მივაღწევთ“ — თქვა კონკაკაფის პრეზიდენტმა ჯეკ ფრანკ დეფორდ უორნერმა. გეგმის თანახმად, 2000 წლის „ოქროს თასზე“ ავტომატურად დაიშვებიან მისი ახლანდელი მფლობელი მექსიკა და მასპინძელი აშშ, დანარჩენებს კი შესარჩევი ტურნირი ელით. ცენტრალური ამერიკის ძირითადი შეჯიბრება, UNCAF-ის თასი „ოქროს თასზე“ სამ გუნდს მიავლენს.**

**ინგლისური** პრემიერლიგის კლუბებს ტელეკომპანია BSKYB-მ შესთავაზა, მომდევნო სეზონიდან თქვენს თამაშებს გამოწერით გადავცემთო, მათ კი უარი განაცხადეს. კლუბთა თავმჯდომარეებს ტელესიახლეზე მეტი ინფორმაცია მოუთხოვიათ. უპირატესად ის აინტერესებთ, რა წილში მიიღებს მათ BSKYB. შიშობენ, რომ გამოწერით ტრანსლაციები მდიდრებს გაამდიდრებს, ღარიბებს გააღარიბებს. შეგახსენებთ, რომ ეს ახალი პრინციპი თითოეულ მაყურებელს საშუალებას აძლევს, ფულის გადახდის გზით თავის ტელევიზორში მიიღოს ის მატჩი, რომლის ნახვაც სურს და არა ის, რაც პროგრამაშია.

**ინგლისშივე „ასტონ ვილას“ თავდამსხმელს სტენ კოლიმორს შესაძლოა თიაქრის ოპერაცია დასჭირდეს. არაა გამორიცხული მას სეზონის დარჩენილი დროის მანძილზე თამაშის მაგივრად მკურნალობა მოუხდეს. რატომღაც ინგლისურ პრესაში ეს ამბავი საიდუმლო ამბად მონათლეს და ხაზი გაუსვეს, რომ გამოკვლევამ ვერ დაადგინა თიაქრის წარმოშობის მიზეზი.**

დარჩა
FRANCE 98
77 დღე

## ფუტიქსის დროშით
# უკნიდან აკრძალულია

— ყველა ის მოთამაშე, რომელიც შეეცდება, მეტოქეს უკნიდან წაართვას ბურთი და ფეხბურთელის კარიერა საფრთხეში ჩააგდოს, გაძევებას ვერ გადაურჩება. ამის თაობაზე კარგა ხანია, ემსჯელობთ და ვფიქრობთ, სათანადო გადაწყვეტილებაც მივიღეთ. მწამს, ფეხბურთისთვის ასე აჯობებს. მსოფლიოს ჩემპიონატის მომსახურე მსაჯები აქ წესების გასაცნობად შეიკრიბნენ. ვფიქრობ, მათთვის ყველაფერი გასაგებია



სარბიელის არქივიდან

პიერლუიჯი კოლინა

— განაცხადა ფიფას გენერალური მდივნის მოადგილემ მიშელ ზენი-რუფინენმა მას შემდეგ, რაც პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შერჩეულ არბიტრთა და თანაშემწეთა სამდღიანი შეკრება დასრულდა.

მსოფლიოს რიგით მე-16 ჩემპიონატის ორგკომიტეტი ძალებს არ იშურებს, რათა საფრანგეთმა ღირსეულად უმასპინძლოს ტურნირს და ეს გათამაშება აქამდე ჩატარებულ ყველა შეჯიბრს სჯობდეს. ახლა ორგკომიტეტის თაოსნობით პარიზში ის 34 არბიტრი და 33 თანამსაჯი მიიწვიეს, რომელთაც ზაფხულში უპირველესი საფეხბურთო ტურნირის მატჩების განსჯა მოუწევთ. შეკრების მიზეზი მათი კვალიფიკაციის კიდევ ერთხელ შემოწმება და ახალი წესის გაცნობა-ათვისება გახლდათ. ფიფას ტესტი ყველა შერჩეულმა მსაჯმა ჩააბარა, ხოლო რამდენად აითვისეს მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ახლადმიღებული წესი, ეს ზაფხულში გამოჩნდება.

...მეტოქის უკნიდან ფეხებში ვარდნა (იგივე „პოდკატი“) რომ ძალიან სახიფათო საფეხბურთო ილეთია, ამას დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება. ხშირად ყოფილა, ასეთი უხეშობის შემდეგ ფეხბურთელს მძიმე ტრავმები მიუღია, ცალკეულ შემთხვევებში კი კარიერაც დაუსრულებია.

ფიფამ ამ საფეხბურთო ილეთის (უკნიდან ბურთისართმევა) აკრძალვის საკითხი კარგა ხნის წინ წამოჭრა. მაშინ ბევრი ამის წინააღმდეგი წავიდა, მაგრამ საბოლოოდ ფიფამ თავისი გაიტანა — ფეხბურთელზე უკნიდან თავდასხმა, არ აქვს მნიშვნელობა, მოთამაშე ბურთით იქნება თუ უბურთოდ, წითელი ბარათით, ანუ გაძევებით დაისჯება.

— ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. ამიერიდან ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ. უხეშობის შემთხვევაში დამნაშავეს წითელი ბარათი, ამასთან ერთად რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა არ ასცდება. ჩვენ — მსაჯები მოვალეობას წარბშეუხრელად შევასრულებთ — იტყვის იტალიელი ექსტრავაგანტული ვარცხნილობის მქონე პიერლუიჯი კოლინა და განაგრძობს — შეიძლება ბევრს გაუჭირდეს ახალი წესის ათვისება, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია. როცა მეკარეს თანაგუნდელის მიერ ფეხით დაგორებული ბურთის ხელში აღება აუკრძალეს, ბევრი ჩემი კოლეგა იბნეოდა პირველ ხანებში, მაგრამ დრო გავიდა და უკლებლივ ყველა მსაჯმა აითვისა ახალი წესი. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფიფას მიერ ფეხბურთის სანახაობრივი მხარის გასაუმჯობესებლად გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს მსაჯების დადებითი რეაქცია მოჰყვა. რამდენიმე მაღალჩინოსანის და მსაჯის აზრი კიდეც გაგაცანით. ახლა კი მოგახსენებთ, რომ ორგკომიტეტის გადაწყვეტილებით, თითოეული არბიტრი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურება, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენ შეხვედრას განსჯის, ფიფას მსაჯთა კომიტეტისგან 25 ათას დოლარს მიიღებს, თანამსაჯები კი 20 ათასით „დაკმაყოფილდებიან“. ამავდროულად ყველა, არბიტრი და თანამსაჯი ტურნირის განმავლობაში (10 ივნისიდან 12 ივლისამდე) გარკვეულ ადგილებში, მაგალითად მსოფლიოს ჩემპიონატის სპონსორთა საფირმო მაღაზიებში, ბარ-რესტორნებში, სასტუმროებში საგრძნობი პრივილეგიებით ისარგებლებენ.

სამდღიან შეკრებაზე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შერჩეული მსაჯების ვინაობაც საბოლოოდ დაადგინეს:

**მთავარი მსაჯები** — მარკ ბატა (საფრანგეთი), გიუნტერ ბენკო (ავსტრია), პიერლუიჯი კოლინა (იტალია), ჰიუ დალასი (შოტლანდია), ხოსე მანუელ გარსია არანდა (ესპანეთი), ბერნდ ჰაინემანი (გერმანია), ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი), ურს მაიერი (შვეიცარია), მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია), კიმ ნილსენი (დანია), რუნე პედერსენი (ნორვეგია), ლასლო ვაგნერი (უნგრეთი), მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია), ხავიერ კასტრილი (არგენტინა), ეპიფანიო გონსალესი, ალბერტო ტეხადა (პარაგვაი), მარსიო რეზენდე დე ფრაიტასი (ბრაზილია), მარიო სანჩესი (ჩილე), ჯონ ხაირო ტორო რენდონი (კოლუმბია), ედუარდ ლენი (ავსტრალია), ესფანდიერ ბეჰერმესტი (აშშ), არტურო ბრიზიო (მექსიკა), რამეშ რამდანი (ტრინიდადი და ტობაგო), საიდ ბელკოლა (მაროკო), ლუსიენ ბუშერდუ (ნიგერია), ჯამალ განდური (ეგვიპტე), ანიან ლი კი ჩონგი (მავრიკეთი), იან მაკლეოდი (ს. აფრიკა), აბდულ რაჰმან ალ ზაედი (საუდეთი), ალი მოჰამედ ბუსაიმი (საამიროები), მასაიოში ოკადა (იაპონია), პირომ უნ პრასერტი (ტაილანდი);

**თანამსაჯები** — ევენ ემლირი (ჩეხეთი), იური დუპანოვი (ბელორუსი), ედი ფოლი (ირლანდია), ნოკილაე გრიგორესკუ (რუმინეთი), ჯენარო მაცი (იტალია), მიქაელ ნილსონი (შვედეთი), იაცეკ პოციეგლი (პოლონეთი), ჟაკ პუდევენე (საფრანგეთი), ლორენ რუსისი (შვეიცარია), ლენსი ფრედი (ვანუატუ), ხორხე ლუის არანგო კარდონა (კოლუმბია), ხორხე ალბერტო დიასი (ჩილე), სელესტანო გალვანი (პარაგვაი), არნალდო პინტი ფილიო (ბრაზილია), კლაუდიო როსი (არგენტინა), მერერე ლუის გონსალესი (ტრინიდადი დე ტობაგო), ოუენ პაუელი (იამაიკა), ელიას სალინასი (ჰონდურასი), ლუის ტორესი (კოსტა რიკა), დრამონე დანტე (მალი), მოჰამედ მანსრი (ტუნისი), აშმატ სალი, არისტოდის ხოლდატოსი (ს. აფრიკა) მოჰამედ ალ მუსაფი (ომანი), ჰუსეინ ჯანდანფარი (ქუვეითი), ჰალიმ აბდულ ჰამადი (მალაიზია), ჯეონ იონგ უნი (კორეა), მოჰამედ ვიკერამატუნგე (შრი ლანკა).

## ჰოლანდია

**ვოლენდამი 2:0 ნაიმეგენი**
1:0 შულპი (60), 2:0 ბუგერსი (73)

**ტილბურგი 4:2 გრონინგენი**
1:0 კონტერმანი (32), 1:1 როსენი (37), 2:1 ვინიარდი (59), 2:2 მანიო (64), 3:2 გალასკი (75), 4:2 ჰეერინგი (90)

**მაასტრიხტი 2:1 გრააფსხაპი**
1:0 ნიგაარდი (63), 2:0 ბუმა (75), 2:1 ვისკალი (84პ)

**ეინდჰოვენი 2:0 როდა**
1:0 ზენდენი (25), 2:0 კოკუ (55პ)

**ვალვაიკი 5:1 ტვენტე**
1:0 ნილსენი (36პ), 1:1 სუმიალა (40), 2:1 ვან დიმენი (69), 3:1 რომდალი (79), 4:1 ვან დიმენი (82), 5:1 რომდალი (86)

**სიტარდი 0:2 ფეიენოორდი**
0:1, 0:2 ვან ბრონკჰორსტი (21, 54)

**ვიტესი 4:1 ბრედა**
1:0 კუროვიჩი (5), 2:0 ტრასტფული (15), 3:0 კუროვიჩი (33), 3:1 შიპერსი (40), 4:1 მახლასი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 25 | 22 | 2 | 1 | 79:11 | 68 |
| ეინდჰოვენი | 26 | 17 | 8 | 1 | 70:29 | 59 |
| ფეიენოორდი | 25 | 14 | 6 | 5 | 44:28 | 48 |
| ვიტესი | 25 | 13 | 6 | 6 | 59:41 | 45 |
| ჰერენვენი | 25 | 13 | 5 | 7 | 41:34 | 44 |
| ტილბურგი | 27 | 13 | 4 | 10 | 48:41 | 43 |
| სიტარდი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:43 | 40 |
| ბრედა | 26 | 10 | 4 | 12 | 31:34 | 34 |
| ტვენტე | 26 | 8 | 9 | 9 | 29:32 | 33 |
| გრააფსხაპი | 27 | 8 | 8 | 11 | 36:31 | 32 |
| სპარტა | 26 | 8 | 8 | 10 | 43:46 | 32 |
| ნაიმეგენი | 26 | 10 | 1 | 15 | 29:49 | 31 |
| უტრეხტი | 25 | 9 | 3 | 13 | 46:54 | 30 |
| როდა | 26 | 7 | 6 | 13 | 34:37 | 27 |
| გრონინგენი | 27 | 6 | 8 | 13 | 34:48 | 26 |
| მაასტრიხტი | 27 | 7 | 4 | 16 | 26:60 | 25 |
| ვალვაიკი | 27 | 5 | 6 | 16 | 32:55 | 21 |
| ვოლენდამი | 27 | 4 | 6 | 17 | 24:70 | 18 |

# იპოვა ყვავმა ვარდი?

## ამხანაგური მატჩები

### გერმანია 1:2 ბრაზილია

**გერმანია:** კეპკე, ტონი, ჰელმერი (ბაბელი 80), კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, ჰამანი, ციგე (ტარნატი 67), მიოლერი, კლინსმანი (კირსტენი 46), ბირჰოფი

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ, ჟუნიორ ბაიანო, ალდაირი, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, დუნგა, რივალდო, დენილსონი (დორივა 80), რომარიო (ბებეტო 80), რონალდო

**0:1 სეზარ სამპაიო (27), 1:1 კირსტენი (65), 1:2 რონალდო (88)**

საინტერესოა, კიდევ ითამაშებენ გერმანელები შტუტგარტში? — შესაძლოა, ითამაშონ კიდეც, მაგრამ შტუტგარტის უპირველეს სტადიონ „გოტლიბ



REUTERS შტუტგარტიდან

გერმანია — ბრაზილია. მიოლერი და სხვა მასპინძლები ტაფარელს ხშირად აწუხებდნენ

დაიმლერს“ ალბათ რამდენიმე წელი მოუწევს ნაკრების მატჩებისგან დასვენება. მიზეზი კი ისაა, რომ ზემოხსენებული სარბიელი მასპინძელთათვის მაინცდამაინც იღბლიანი ვერაა — სწორედ ამ სტადიონზე ორი წლის წინ ფრანგებთან 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ დაედო სათავე ბერტი ფოგტსის გუნდის 22-მატჩიან დაუმარცხებელ სერიას და სწორედ იმავე „გოტლიბ დაიმლერზე“ დასრულდა არიელთა შესანიშნავი სვლა — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ტიტულის ამჟამინდელმა მფლობელმა, მარიო ზაგალოს ზეტექნიკურმა გუნდმა იმსხვერპლა. გერმანელებს ეს შეხვედრა რომ არ წაეგოთ, ისტორიაში საუკეთესო მიღწევას გაიმეორებდნენ — 1978-81 წლებში მაშინდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა იუპ დერვალის თავკაცობით 23 შეხვედრა განვლეს მარცხის გარეშე. როგორც ჩანს, რეკორდის ხელშეუხებლობა ზემოდან იყო დაგეგმილი.

— გუნდმა კარგად ითამაშა, მეტიც, ზოგიერთ ეპიზოდში შესანიშნავად. თუ შედეგს არ მივიღებთ მხედველობაში, ფეხბურთელთა მოქმედებით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ წაგება მაინც წაგებაა. კმაყოფილი დავრჩი მცველთა მოქმედებით — რომარიოსა და რონალდოს თამაშიდან გამოთიშვა, დამეთანხმებით, ადვილი სულაც არაა. კმაყოფილებასთან ერთად იმედგაცრუებაც იყო. თავდამსხმელები, განსაკუთრებით კი ბირჰოფი და კლინსმანი უნიათოდ გამოიყურებოდნენ — ეს მასპინძელთა მწვრთნელ ბერტი ფოგტსის შეხვედრის შემდგომი მონოლოგია. ამ შეხვედრის მნახველნი არ შეიძლება, არ დაეთანხმონ გერმანელთა თავკაცის შეხედულებებს — ბუნდესნაკრების უკანახაზელები თავდამსხმელებთან შედარებით კარგად მოქმედებდნენ, ერთი ეგ იყო, ძალიან უხეშობდნენ. ბრაზილიელთა შეჩერება იოლი რომ არაა, ეს ახალი ამბავი როდია, მაგრამ მასპინძელთა დაცვის ბურჯი იურგენ კოლერი ისეთ სიტუაციაში გააგდეს, უფრო რბილად რომ ეთამაშა, ეს არ მოხდებოდა — მან ისე მოუქნია კაფუს ფეხი, ამ უკანასკნელს გაუმართლა, შინ მოტეხილობით რომ არ გაემგზავრა. კოლერის გარდა არბიტრმა კიდევ რამდენიმე გერმანელი გააფრთხილა. მასპინძლებთან ერთად კი არც სტუმართა დასჯას მორიდებია. დუნგა რომ გააგდეს გაყაიმებამდე მხოლოდ რვა წუთი რჩებოდა. ბრაზილიელთა მხცოვანმა კაპიტანმა მინდორი მეორე გაფრთხილების გამო დატოვა.

ანგარიში თავურით გაიხსნა — რობერტო კარლოსის მახვილგონივრულად ჩაწოდებული კუთხურისას გერმანელები შეცდნენ. მცველთან შეჭიდებულმა სეზარ სამპაიომ კი წამით თავისუფლება იგრძნო და კეპკე, მასთან ერთად კი მთელი გერმანია ხახამშრალი დატოვა. ისე, სამპაიომდე ანგარიში შესაძლოა მასპინძელთა ნახევარმცველ ანდრეას მიოლერს გაეხსნა, მაგრამ მის ორ, მეტად მზაკვრული დარტყმულს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა კარის დარაჯი კლაუდიო ტაფარელი აღუდგა წინ და... სხვათა შორის, ტაფარელი, რომელსაც ბრაზილიის ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში 1985 წელს თბილისშიც აქვს ნათამაშევი, ნაკრების კარს 103-ედ იცავდა.

სხვაობა მეორე ნახევარში გაბათილდა — მასპინძელთა კაპიტნის იურგენ კლინსმანის ნაცვლად შესულმა ულფ კირსტენმა იმდენი ქნა, შეაგდო. გერმანელთა ერთ-ერთი თავდასხმისას კირსტენის ზეწოლას ალდაირმა ვეღარ გაუძლო. გერმანელი ფორვარდის ჭვინტით დარტყმული კი ტაფარელისთვის აუღებელი გამოდგა. ზემოთ კლინსმანი ვახსენე. ნაკრებში 101-ედ მოთამაშე იურგენს აშკარად ეტყობოდა, სათანადო ფორმაში რომ ვერ იყო, თანაც, რაც დრო გადის, კლინსმანის სიკაშკაშეც იბლალება. დროის დინება უძლიერეს თავდამსხმელს თავის დაღს ამჩნევს.

...შეხვედრას ისეთი პირი უჩანს, თითქოს გუნდები უნდა დაზავდნენ, მაგრამ ნაკრებში დაბრუნებული ბებეტოს პასით ორი გერმანელი მცველი თამაშგარე მდგომარეობის შექმნის მცდელობისას ცდება და რონალდოც თავის შანსს ხელიდან არ უშვებს. მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელს დადევნებული კრისტიან ვიორნი მას მაშინ ეწევა, როცა უკვე 1:2-ია.

...ისტორიას გერმანიის და ბრაზილიის ნაკრებთა 16 დუელი ახსოვს. უპირატესობა აშკარად სამხრეთ ამერიკელთა მხარესაა: ცხრა მოგება და მხოლოდ სამი მარცხი.

### რუსეთი 1:0 საფრანგეთი

**რუსეთი:** ფილიმონოვი, ჩუგაინოვი, ნიკიფოროვი (კოვტუნი 68), იანოვსკი, ხლესტოვი, კანჩელსკისი (ხოხლოვი 46), ონოპკო, ალეინიჩევი, იურანი (ხარლაჩოვი 76), კოლივანოვი, გერასიმენკო

**საფრანგეთი:** ლეტიზი, ტურამი, ლებეფი, დესაი, კარემბუ (კელერი 63), დეშამპი (ბოგოსიანი 46), პეტი (კანდელა 46), ლამუში (პირესი 74), დიომედი, ჯორკაეფი, გივარში

**1:0 იურანი (3)**

— ჩვენთვის დღესდღეობით უმნიშვნელოვანესი მსოფლიოს ჩემპიონატია და არა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ვიცი, ბევრმა ეს მატჩი ბებერი კონტინენტის მომავალი პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი და რუსების ორი შეხვედრის რეპეტიციად აღიქვა, მაგრამ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, ეს ასე არაა. დარწმუნებული ვარ, მარცხი ფეხბურთელთა საქმისადმი არასათანადო დამოკიდებულებამ და საშინელმა სათამაშო პირობებმა გამოიწვია. — ეს სიტყვები სტუმართა თავკაც ემე ჟაკეს ეკუთვნის, რომელიც პრესკონფერენციაზე საკმაოდ გაცხარებით საუბრობდა.

მართლაც საინტერესოა, როგორ თამაშობენ რუსები ფეხბურთს ლამის დახნულ მინდვრებზე. დიდი საბჭოეთის იურიდიულ მემკვიდრეთა საფეხბურთო პირველობები ისეთ სტადიონებზე ტარდება, რბილად რომ ვთქვათ, აღმაშფოთებელია. საერთაშორისო მატჩებისთვის სპეციალურად განახლებული „ლუჟნიკების“ მინდვრის საფარი კი რაც იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ბულგარელებთან თამაშმაც გამოაჩინა — შეხვედრამდე მწვანედ მობიბინე მინდორი მირაჟი გამოდგა. შეხვედრის დასასრულს იფიქრებდით, ესაა ბოსტნეულის თესვას მორჩნენო.

ფრანგები სწორედ ძალით სტადიონმა ალაშფოთა, მაგრამ ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, სტუმართა მარცხის მიზეზი მხოლოდ მინდვრის საფარი არ ყოფილა.

...მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი-ოფის პირველი მატჩი — რუსეთის ნაკრები ქარბუქში იტალიას მასპინძლობს. რუსთა ერთ-ერთი თავდასხმისას „სკუადრა აძურას“ მცველები ცდებიან და კანავარო ბურთს საკუთარ კარში ჭრის, იქვე ახლოს მდგარი სერგეი იურანი კი ხელებშემართული წინ გამორბის, თავს იგიჟიანებს და გოლის მითვისებას ცდილობს. მაშინ მას არაფერი გამოუვიდა — ოპერატორთა ქორისებრ თვალებმა იურანი სიცრუეში ამხილეს. ოთხშაბათს მოსკოვში თითქმის ამდაგვარი სიტუაცია იყო — მასპინძელთა შეტევისას სტუმართა მეკარემ და მცველმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა იურანმა კი შეაგდო. ამჯერად გოლი ნაღდად მისი იყო. „ბოხუმის“ თავდამსხმელს კიდევ მიეცა რამდენიმე შანსი, მაგრამ ამაოდ, ფრანგთა კარში ბურთი მეტჯერ აღარ შესულა.

— ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს რუსული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა. სძლიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდს, მართლაც დიდი საქმეა — დაიტრაბახა მასპინძელთა თავკაცმა ბორის იგნატიევმა. მან მრავლისმეტყველად ისიც დასძინა, მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით, მაგრამ როგორც ჩანს, რუსული ფეხბურთის განვითარება არ შეჩერებულა, პირიქით, აგერ „სპარტაკის“ „აიაქსზე“ ზეობა, აგერ „ლოკომოტივის“ თასთა თასის ნახევარფინალში გასვლა და სულ ბოლოს ფრანგთა დამარცხება აიღეთო.

...ბრძენთაგან თქმულა, ყვავი როს ვარდსა იპოვნის, თავი ბულბული ჰგონიაო. საქმეს რაღაც ამდაგვარი სუნი უდის.

### შვეიცარია 1:1 ინგლისი

**შვეიცარია:** კორმინბეფი, იაკინი, ვეგა, ფურნიე, ენჩოსი, ვოგელი, სფორცა, ვიჰი (ლონფეტი 82), გრასი, სესა (კუნცი 87), შაპუიზა

**ინგლისი:** ფლაუერსი, კეონი, ჰინჩკლიფი, ფერდინანდი, საუთგეიტი, ინსი, მერსონი (ბეტი 81), ლი, მაკმანამანი, ოუენი (შერინგემი 79), შირერი

**1:0 ვეგა (37), 1:1 მერსონი (69)**

ექვსწლიანი შესვენების შემდეგ მერსონმა ქვეყნის პირველ გუნდში მეორე ბურთი შეაგდო, მეტად საჭირო ბურთი. ინგლისს, რომელსაც შვეიცარიელებთან აქამდე ნათამაშევ 17 მატჩში მხოლოდ სამჯერ წაეგო, მარცხი ემუქრებოდა, მაგრამ მერსონის მარჯვედ მოქნეული მარჯვენათი ჰოდლის გუნდი წაგებას გადაურჩა.

— მასპინძლები პირველ ნახევარში დომინირებდნენ, შეგვბოჭეს კიდეც, მაგრამ შესვენების შემდგომ ჩვენი თამაში შედარებით აქტიური გახდა. ამან სასიკეთო შედეგები გამოიღო. ეს შეხვედრა ისე წარიმართა, სრულიად შესაძლებელი გახლდათ, ერთ-ერთს დიდი ანგარიშით ემარცხა, მაგრამ ასე არ მოხდა. ისე, მეტოქე მართლაც ძლიერი გვყავდა — ამის გამგონე კაცი იფიქრებ, სტუმართა თავკაცს ზუსტად შეუფასებია მატჩიო, მაგრამ ეს სიტყვები გლენ ჰოდლს სულაც არ ეკუთვნის, პოლ მერსონის ნათქვამია, საკმაოდ ზუსტად და ლაკონურად ნათქვამი.

...არსებობს ხალხური ანდაზა: მუხამ თქვა, ცული რას დამაკლებდა, ტარი ხისა რომ არ ჰქონდესო. ამ გამონათქვამის სიმართლე აქამდეც ბევრჯერ დამტკიცებულა და ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. იქნებ უხეში შედარებაა, მაგრამ შვეიცარიელებს ეგებ ვერც დაელაშქრათ ინგლისელთა კარი, პრემიერლიგაში გამობრძმედილი რამონ ვეგა რომ არ ყოფილიყო — ლონდონის „ტოტენჰემის“ ნახევარმცველმა კარისკენ მიმავალ გზას ჰკიდა თვალი და ბურთიც სწორედ გაკვალულში გააძვრინა — ტიმ ფლაუერსი უძლური გახლდათ.

...მეტოქეთა ბოლო შეხვედრა ასევე 1:1 დასრულდა.

### ბელგია 2:2 ნორვეგია

**ბელგია:** ვერლინდენი, დეფლენდრე (დე ბრუილი 46), სტალენსი, დე ბეკი (კლემენტი 80), ვან მეირი, ვან კერკჰოვენი, ფ. ვან დერ ელსტი, ვილმოტსი, ვერჰეინი, ბოფინი (ლეონარდი 77), ოლივეირა (მ. მპენზა 77)

**ნორვეგია:** გილი, ჰალე, ჰოფტუნი, ბერგი, სკამელსრუდი, სტრანდი (ჰაალანდი 66), მიუკლანდი (სოლტვედტი 66), ლეონარდსენი, ტ. ფლო, რისეტი (ოსტენსტადი 80), ჰ. ფლო (სოლსკიაერი 46)

**1:0 ფ. ვან დერ ელსტი (7), 1:1 რისეტი (12), 2:1 ვილმოტსი (66), 2:2 სოლსკიაერი (71)**

ეგილ ოლსენი ნორვეგიულ ფეხბურთში გამორჩეული პიროვნებაა — მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, უფრო თხილამურებითა და ზამთრის სპორტულ სახეობებში დიადი მიღწევებით ცნობილმა ნორვეგიამ ფეხბურთშიც აიდგა ფეხი — 90-იან წლებში „ვიკინგები“ მსოფლიოს საფეხბურთო გრანდთათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. ისინი ზედიზედ მეორედ მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატში, და ეს მაშინ, როცა გუნდი სულ რაღაც ათი წლის წინ ერთ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ, მეტიც, მიამიტურ ფეხბურთს თამაშობდა. ეგილ ოლსენის თავკაცობით ნორვეგია ძლიერი გუნდი გახდა, გუნდი, რომელსაც ძალუძს, მსოფლიოს ჩემპიონები 4:2 დაამარცხოს (გასული წლის 30 მაისს ნორვეგიამ ამ ანგარიშით, შინ ბრაზილიას სძლია), საფრანგეთს, ბელგიას და მისთანებს კი სტუმრად ტოლ-სწორად ეთამაშოს.

ევროპის 2000 წლის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქის — ნორვეგიის ყველა თამაში ახლა ჩვენთვის ორმაგად ყურადსაღებია. ზუსტად ერთ წელიწადში საქართველო ნორვეგიას დაუპირისპირდება, მანამდე კი...

— სამწუხაროა, როცა უპირატესობას ხელიდან უშვებ და მაინც ფრეს სჯერდები, მაგრამ მერწმუნეთ, ეს 2:2-იც სჯობდა ამერიკელებთან 2:0 მოგებულ შეხვედრას. ამჯერად გაცილებით ძლიერი მეტოქე გვყავდა — განაცხადა ბელგიელმა ნახევარმცველმა მარკ ვილმოტსმა.

სხვათა შორის, ნორვეგიის გუნდმა წელს მეორე ამხანაგური მატჩი ითამაშა ფრედ — ამ თამაშის დარად, ფრანგებთან მატჩიც გასვლაზე შედგა მარსელში და ფრედ 3:3 დასრულდა. 1997 წლის იანვრიდან, ავსტრალიასთან წაგების შემდეგ კი, სკანდინაველები აგერ უკვე 14 თვეა, არ დამარცხებულან.

### შოტლანდია 0:1 დანია

**შოტლანდია:** ლეიტონი (გორამი 46), მაკნამარა (ვეირი 60), ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, ელიოტი, ჯემილი (მაკკოლი 69), მაკინლი, ბუთი (ჯესი 60), ჯექსონი (დონელი 75), დეილი

**დანია:** კროგი, ლაურსენი (ჰენრიკსენი 46), რიპერი, შონბერგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი (ფრანდსენი 62), ვიგჰორსტი, მიოლერი (იორგენსენი 75), მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი (გოლდბეკი 80)

**0:1 ბ. ლაუდრუპი (38)**

შოტლანდიელები მათი წამყვანი კლუბის „გლაზგო რეინჯერსის“ ნახევარმცველმა დალუპა — ჯიმ ლეიტონმა დანიელთა ნაკრებში 74-ედ მოთამაშე უმცროს ლაუდრუპს ქვეყნის პირველ გუნდში მე-19 გოლის შეგდებაში ხელი ვერ შეუშალა.

სქოთებს აკლდათ წამყვანი მოთამაშეები. არ იყვნენ პოლ ლამბერტი, ჯონ კოლინზი, კრეიგ ბარლი, კევინ გალაჰერი, გორდონ დიური. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელის ერთბაშად მოსაკლისება კი, დამეთანხმებით, შოტლანდიელებს კი არა, გაცილებით ძლიერ გუნდებსაც დაასუსტებდა.

1996 წელს, ევროპის ჩემპიონატზე ხელმოცარვის შემდეგ დანიელთა ამაღორძინებელი რიქარდ მიოლერ-ნილსენი (მისი თავკაცობით 1992 წელს, შვედეთში, დანია ევროპის ჩემპიონი გახდა) ბო იოჰანსონმა შეცვალა, მას შემდეგ ნათამაშევი 11 შეხვედრიდან კი დანიამ მხოლოდ ერთხელ წააგო.

### ესპანეთი 4:0 შვედეთი

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, სერხი, ივან კამპო (რიოსი 76), ნადალი, იერო (სანტი 46), ამორი, ლუის ენრიკე, მორიენტესი (ალფონსო 46), რაული (კიკო 46), ფ. სანჩესი (ეჩებერია 60)

**შვედეთი:** სვენსონი, ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, სუნდგრენი (ლუკიჩი 70), შვარცი, ზეტერბერგი, ინგესონი, პეტერსონი (მილდი 70), ლარსონი (ოსმანოვსკი 80), კ. ანდერსონი

**1:0, 2:0 მორიენტესი (1, 5), 3:0 რაული (30), 4:0 ეჩებერია (70)**

საწყის ხუთ წუთში ყველაფერი ნათელი იყო — დებიუტანტმა ფერნანდო მორიენტესმა ორი გოლი შეაგდო.

მორიენტესის დარად ესპანელთა რიგებში პირველად ითამაშა ივან კამპომ, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში „მალიორკას“ მხოლოდ მესამე მოთამაშე გამოდგა, რომელიც ნაკრებში მიუწვევიათ.

### მაკედონია 1:0 ბულგარეთი

**მაკედონია:** მილოშევსკი, სედლოსკი, სტოიკოვსკი, მემედი, ნიკოლოვსკი (ჟუზელოვი 85), ლ. მილოშევიჩი, ზახარიევსკი, მიჩევსკი (გაისევი 89), გ. ხრისტოვი, ტრენევსკი (შაინოვსკი 87), საკირი

**ბულგარეთი:** ზდრავკოვი, კიშიშევი (ბაჩევი 46), ივანოვი, პეტკოვი, გინჩევი, ზაფიროვი, მ. ხრისტოვი (ბორომიროვი 77), სტოიჩკოვი (ილიევი 46), პენევი, ბალაკოვი (სტოილოვი 83), ტოდოროვი (ნაკოვი 46)

**1:0 გ. ხრისტოვი (40)**

ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ბარნსლის“ თავდამსხმელ გეორგ ხრისტოვის ზუსტმა თაურმა ექსიუგოსლაველებს უსახურ ბულგარეთთან გამარჯვება დაუბევა.

### უელსი 0:0 იამაიკა

**უელსი:** ჯონსი, ჯენკინსი, ბერნარდი, პემბრიჯი, უილიამსი, კოულმენი, ოსტერი, სევიჯი, ჰარტსონი (ჰოვერსი 77), სპიდი (ტროლოპი 46), ტეილორი (ბელემი 58)

**იამაიკა:** ლოურენსი (ბარეტი 46), მალკოლმი (სიუელი 73), დიქსონი, გუნდისონი, დევისი, გარდნერი, სიმპსონი (პაუელი 68), ერლი (უილიამსი 60), კერჯილი, ჰოლი (ლოუი 76), ბარტონი (გეილი 46)

შეხვედრის დაწყება 15 წუთით დაგვიანდა — იამაიკელთა 8 ათასი გულშემატკივარი სტადიონზე დროზე ვერ შეუშვეს.

...81-ე წუთზე, ხუთი წუთის წინ თამაშში ჩართული ონანდი ლოუი პოლ ტროლოპისთვის სახეში განზრახ ხელის გარტყმის გამო გააძევეს.

### კოლუმბია 0:0 იუგოსლავია

**კოლუმბია:** კორდობა, სანტა, ბერმუდესი, პალაციოსი, პერესი, ბოლანო, სერნა, რინკონი, ვალდერამა, კომა (მონდრაგონი 26), დე ავილა (ასპრილია 46)

**იუგოსლავია:** კრალი, ჯუკიჩი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, ს. მიხაილოვიჩი, იოკანოვიჩი (გოვედარიცა 46), დრულოვიჩი, სტევიჩი (დრობნიაკი 82), ბრნოვიჩი (კომლიენოვიჩი 83), მიატოვიჩი, მილოშევიჩი (ლუკიჩი 65)

მასპინძლები 26-ე წუთიდან ათნი დარჩნენ — მეკარე კორდობა გააგდეს და მისი შემცვლელი ფარიდ მონდრაგონიც მიტომ ჩაერთო თამაშში.

ხვალ კოლუმბიელები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ. ამჯერად მათი მეტოქე პარაგვაი იქნება.

### ავსტრია 2:3 უნგრეთი

**ავსტრია:** კონსელი, შოპი, შოტელი (პფეფერი 46), ჰიდენი, ფაიერზინგერი, მაელიხი, ვასტიჩი, კუხბაუერი (რაინმაიერი 46), პოლსტერი, ჰერცოგი (შტოიგერი 46), ამერჰაუზერი

**უნგრეთი:** კირალი, ჰრუტკა, სებოკი, მატეუში, ფეჰერი, ჰალმაი, ერშეგი (კოვაჩი 70), ლიშტეში, ხორვატი (ტოტი 31), ილეში, კორსოში (ჰამარი 46)

**0:1 ხორვატი (4), 1:1 ვასტიჩი (10), 2:1 ამერჰაუზერი (21), 2:2, 2:3 ილეში (32, 54)**

აქამდე ავსტრიას ზედიზედ ხუთი მატჩი მოეგო. ბრწყინვალე შედეგის ექვსამდე გაზრდაში უნგრელებს თითქოს ხელი არ უნდა შეეშალოთ, მაგრამ ახალი მწვრთნელის ბერტალან ბიცკეის თავკაცობით მოთამაშე განახლებულმა უნგრეთმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ეს საერთო ჯამში 65-ე გამარჯვება გამოდგა უნგრელთათვის მათსა და ავსტრიას შორის აქამდე გამართულ 134 მატჩში.



REUTERS ვენიდან

პოლსტერი უფრო ლოცულობდა, ვიდრე თამაშობდა

ერთობ გაბრაზებული იყო ავსტრიის ნაკრებში 90-ჯერ ნათამაშევი ტონი პოლსტერი, რომელსაც მე-7 წუთზე პენალტი რომ გაუტანა, ეგებ მასპინძლები არც დამარცხებულიყვნენ.

**ლაშა გოდუაძე**

**ჩელსი**

დაარსდა 1905 წელს
ინგლისის ჩემპიონი: 1955
ფეხბურთის ასოციაციის თასი: 1970, 1997
ლიგის თასი: 1965
ევროპის თასების მფლობელთა თასი: 1971
სტადიონი: „სტემფორდ ბრიჯი“ — 34 700
მოთამაშე მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
სარეკორდო გამარჯვება: 13:0, 1971 წლის 29 სექტემბერს, თასების თასზე ლუქსემბურგის „ჟენეს უტშარჟთან“
სარეკორდო მარცხი: 1:8, 1923 წლის 26 სექტემბერს ინგლისის პირველ დივიზიონში „ვულვერჰემპტონთან“
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: რონ ჰარისი — 655 (1962-80)
ყველაზე მეტი გოლი: ბობი ბემბლინგი — 164 (1958-70)
ერთ სეზონში მეტი გოლი: ჯიმი გრივსი — 41 (1960-61)
ყველაზე ძვირად გაყიდა: კრეიგ ბერლი („სელტიკი“, 1997 წელი, 2,5 მილიონი გირვანქა) და ჯონ სპენსერი („ქუინზ პარკი“, 1997 წელი, 3,7 მილიონი გირვანქა)
ყველაზე ძვირად იყიდა: გრემ ლე სო („ბლექბერნი“, 1997, 5 მილიონი გირვანქა)

**მიდლსბრო**

დაარსდა 1876 წელს
სამოყვარულო თასის მფლობელი 1895, 1898
სტადიონი: „რივერსაიდ სტადიუმი“ — 32 000
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
სარეკორდო გამარჯვება: 9:0, 1958 წლის 23 აგვისტოს, ინგლისის მეორე დივიზიონში „ბრაიტონთან“
სარეკორდო მარცხი: 0:9, 1954 წლის 6 ნოემბერს, ინგლისის მეორე დივიზიონში „ბლექბერნ როვერსთან“
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ტიმ უილიამსონი — 563 (1902-1923)
ყველაზე მეტი გოლი: ჯორჯ კემსილი — 326 (1925-1930-იანი წლები)
ერთ სეზონში ყველაზე მეტი გოლი: ჯორჯ კემსილი — 59 (1927-28)
ყველაზე ძვირად გაყიდა: ნიკი ბარმბი („ევერტონი“, 1996 წელი, 5,75 მილიონი გირვანქა)
ყველაზე ძვირად იყიდა: ფაბრიციო რავანელი („იუვენტუსი“, 1996, 7 მილიონი გირვანქა)

ახლა, „უემბლიზე“ თამაშის უფლება რომ მოეპოვებინათ, „ჩელსიმ“ ნახევარფინალში „არსენალი“ წააქცია. რა იქნება ხვალ? ლიგის თასის ბოლო, 1972 წლის ფინალი გუნდს ცუდად ახსოვს, 1:2 წააგო „სტოკ სიტისთან“.

„მიდლსბრო“ შარშან პირველად, მაგრამ ორივე თასის ფინალში იყო. იგი არასდროს გამხდარა ინგლის-კუნძულის ჩემპიონი. მაშ რითაა ცნობილი? მავანი ამტკიცებს, რომ იგია პირველი ინგლისური გუნდი, რომელმაც ერთდროულად სამი ბრაზილიელი ათამაშა — ჟუნინიო, ემერსონი და ბრანკო. მაშინ, ლიგის თასის მეორე რაუნდში საბრალო „ჰერეფორდი“ 7:0 გაიჭყლიტა.

ახლა ბრაზილიელები აღარ არიან გუნდში. სკანდალით წავიდა იტალიელი ფაბრიციო რავანელიც. ახალ სეზონში გუნდში სხვა ვითარებაა.

„მიდლსბრომ“ „უემბლისკენ“ გზად, ნახევარფინალში „ლივერპული“ გააგდო და მისმა ნახევარმცველმა კრეიგ ჰიგნეტმა თქვა: — გასულ სეზონში კლუბში ისეთი რამეები მოხდა, გავარდნა ლოგიკური შედეგი იყო. ვფიქრობ, ჯოჯოხეთში ვიყავით და იქიდან დავბრუნდით. ახლა ძლიერები ვართ.

თებერვალში „ჩელსიშიც“ არეულობა იყო. გუნდიდან გაუშვეს მწვრთნელი, რუუდ გულიტი. გულშემატკივრები კინაღამ გაგიჟდნენ. იქნებ ამაოდ? ვნახოთ, ხვალ „უემბლიზე“ გაირკვევა, გაიმართება თუ არა „სტემფორდ ბრიჯზე“ ზეიმი.

# CHELSEA vs MIDDLESBROUGH

# გლეხთა ვენდეტის წინა დღე

თამაში, რომელიც მილიონობით ინგლისელს ხვალ „უემბლის“ სტადიონისკენ გაახედებს გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნის ლიგის თასის ფინალია, უბრალოდ შურისძიების საშუალებაა.

კიდევ ესაა ჩრდილოეთისა და სამხრეთის, პროვინციისა და დედაქალაქის ბრძოლა. პრემიერლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი, იმავდროულად ევროპის თასთა თასისთვისაც რომ იბრძვის, პირველი დივიზიონის უტიტულო მოწინააღმდეგეს შეებმება.

„ჩელსი“ ალბიონის ელიტარულ გუნდთაგანია, ასოციაციის თასის შარშანდელი მფლობელი, „მიდლსბრო“ კი ის, ვინც შარშან ფინალი წააგო და არსებობის 122 წლის მანძილზე არაფერი მოუგია, თუ იმ სამოყვარულო თასებს არ ჩავთვლით, ასი წლის წინანდელი თარიღი რომ აქვს.

ეს ასეა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მეტოქეთა შორის უფსკრულია.მართალია, გუნდები სხვადასხვა ლიგებში გამოდიან, მაგრამ ეს ქაღალდზე დაწერილი განსხვავებაა. საერთო კი ბევრია, მაგალითად ის, რომ ორივე მდიდარია, ამბიციური და ჰყავთ ქომაგთა არმიები, რომელთაც სწამთ, რომ მათი გუნდი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

დიახ, კვირას „უემბლიზე“ უმაღლესი დონის მოწინააღმდეგეთა შებმას ელიან. ეს სულაც არ იქნება დავითის ან გოლიათის რომანტიკული ჭიდილი.

დაგვავიწყდა... ორივე გუნდს ნიჭიერი მოთამაშეები ჰყავს. აი, კიდევ საერთო. და სტადიონები, ხელოვნების ნიმუშად მიჩნეული ნაგებობები, მილიონერთა მილიონებით ნაშენები.

„მიდლსბროს“ გასული სეზონი საოცარი ჰქონდა. პრემიერლიგიდან გავარდა, მაგრამ მანამდე ინგლისში არსებული ორივე, ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასის ფინალში გავიდა. მართალია,ორივე წააგო, მაგრამ...

„ჩელსი“ ასოციაციის თასის მოპოვებამ ევროპულ სარბიელზე გააქანა, „მიდლსბრო“ კი პირველი დივიზიონიდან ზევით დასაბრუნებლად ცხრა პირ ოფლს იღვრის. ებრძვის ვილაც „ნოტინგემ ფორესტსა“ და „სანდერლენდს“.

სექტემბრიდან, ახალი სეზონი რომ დაიწყება, ხვალინდელი მეტოქეები ისევ პრემიერლიგაში დაეჯახებიან ერთმანეთს და მაშინ ნახეთ. მაშინ აღარ იქნება ის ფარდა, ლიგებს შორის რომაა დაკიდებული და აღარც ვინმე დაიწყებს კლასთა სხვაობაზე უნებურ ფიქრს.

„ჩელსი“... „ჩელსი“ მოდური გუნდია. აქ უცხოელებიც თამაშობენ და ინგლისელებიც. მის გასახდელში ინგლისური და იტალიური ირევა, გამორჩეულ ადგილას, მოძღვრად კი იტალიური აქცენტით მოლაპარაკე საერთაშორისო დონის ვარსკვლავი დგას. იგი მეორე საერთაშორისო ვარსკვლავის წასვლის შემდეგ გავიდა ავანსცენაზე. საუბარია ჯანლუკა ვიალიზე, მწვრთნელის თანამდებობაზე რუუდ გულიტი რომ შეცვალა.

იტალიელები ჯანფრანკო ძოლა და რობერტო დი მატეო, ინგლისის ნაკრების მცველი გრემ ლე სო და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფორვარდი მარკ ჰიუზი პრემიერლიგის ტიტულის სითბო რომ შეუგრძნია...

არც „მიდლსბროში“ გახლავან ნაკლები ბიჭები. იტალიურად მის გასახდელშიც ლაპარაკობენ და ფეხბურთელებს იქაურ საშხაპეში დაღლილ სხეულზე წყალს რომ ივლებენ, მთელს მსოფლიოში სახეზე ცნობენ.

მილანის „ინტერის“ ყოფილი თავდამსხმელი მაკრო ბრანკა და ნახევარმცველი ჯანლუკა ფესტაც სხვაზე არანაკლები კერკეტი კაკლები არიან. ახლა მწვრთნელი? ბრაიან რობსონს ვინმეზე ნაკლები სახელი აქვს დაგდებული?

ფესტა ძოლასი არ იყოს, სარდინიელია, ბრანკას კი ვიალისთან ერთად „სამპდორიაში“ აქვს ნარბენი. იგი ერთხანს, სანამ დი მატეო „ლაციოში“ გადავიდოდა, „რომაში“ მისი თანაგუნდელიც იყო.

ინგლისელებზეც ვთქვათ. ნაკრების მოთამაშე პოლ მერსონი 13 წლის მანძილზე „არსენალში“ იყო და ჩემპიონობაც უგემია და თასიც. ამ დღეებში მას „გლაზგო რეინჯერსიდან“ პოლ გესქოინიც შეუერთდა, ლოთი ძმაკაცი, 1991 წელს „ტოტენჰემში“ ფეხბურთის ასოციაციის თასი რომ მოიგო.

გექსოინი დი მატეოსთან ერთად „ლაციოში“ იყო. მან მაშინ, 91-ის ფინალში მუხლი იტკინა და მას მერე „უემბლიზე“ გადამწყვეტ სათასო შეხვედრაში აღარ გაუნავარდია. ხვალ იზამს.

## ისტორიას სად დამალავ?

და მაინც, რაგინდ ბევრი ვილაპარაკოთ „მიდლსბრო“ „ჩელსის“ არაფრით ჩამოუვარდებაო, გადაფურცლავ ისტორიის წიგნს და მიხვდები, რა საჭირო საგანია ეს ისტორია.

„ჩელსიმ“ 1954-55 წლებში ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიგო, 1970-ში და შარშან — ასოციაციის თასი. იყო 1965 წელიც, როდესაც ლონდონელებმა სწორედ ის თასი აღმართეს, ხვალ რომ უნდა შეეთამაშონ და, რა თქმა უნდა, 1971 — თასების მფლობელთა თასი.



სარბიელის არქივიდან

გლაზგოდან გაპარული გაზა (მარცხნივ) ბრაიან რობსონთან ერთად „რივერსაიდის“ პუბლიკას ესალმება

## უსირცხვილო გაზა

არა, პოლ გესქოინისნაირი კაცი ცოდოა, მასზე მხოლოდ ორი სიტყვა რომ იყოს ნათქვამი. სამი ვთქვათ.

გლაზგოში რომ შეიტყვეს გესქოინი ჩვენგან „მიდლსბროში“ წავიდაო, პირი დააღეს. შოტლანდიის ბოლო ცხრა ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა რიჩარდ გაფმა თქვა, მეგონა გაზა სამხრეთში წასვლას თუარებდა და ზედიზედ მეათე ჩემპიონობაში დაგვეხმარებოდაო.

— რომ ვთქვა გამიკვირდაო, მსუბუქად ნათქვამი გამოვა. ყურებს არ ვუჯერებდი — თქვა გაფმა. დილით გაზამ ჩვენთან ივარჯიშა. ორ საათზე თავმჯდომარეს უნდა შეხვედროდა. მანამდე სიტყვა გავცვალეთ. მითხრა „მიდლსბროსთან“ მე რომ მინდა, ისე არ მიდის საქმეო. ეჭვი აღარ შემპარვია, რომ ჩვენთან რჩებოდა. გადის ერთი საათი, მე მანქანაში ვზივარ, შვილების სკოლიდან გამოსაყვანად მივდივარ და რადიოში მესმის გესქოინი „მიდლსბროში“ გადავიდაო. ძალიან სამწუხაროა, რომ თანაგუნდელებმა და ქომაგებმა ხეირიანად გამომშვიდობებაც ვერ მოახერხეს.

იან დარანტი: — ვარჯიშის შემდეგ დავინახე გაზა დარბაზში შედიოდა. მე სახლში წავედი. სირცხვილია, ასე როგორ გაიპარა. მას ხომ ყველანი პატივს ვცემდით. მაინც ვფიქრობ, პოლი ის კაცი არაა, უკანა კარიდან რომ გაიძურწოს. იმედი მაქვს, მობრუნდება და ხელს ჩამოგვართმევს. „რეინჯერსი“ მისი ცხოვრების დიდი ნაწილი იყო, გაპარვა რა ვაჟკაცობაა.

გაფმა დასძინა: — უცნაურია ასეთ დროს რომ მიგვატოვა, მაგრამ ეს თავმჯდომარესაც უნდა ვკითხოთ. რატომ გაყიდა?

პოლ გესქოინის სანაცვლოდ „გლაზგო რეინჯერსმა“ 3,45 მილიონი გირვანქა მიიღო.

— გაზას „უემბლიზე“ ვათამაშებ. ვნახოთ ერთი რა ბიჭია თავდასხმაში — ხელებს იფშვნეტს ბრაიან რობსონი.

**პაპუნა ძედია**

## რეალური მიზნები და პრობლემები

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ფერნანდო მორიენტესი ყველ ღონეს იხმარს, რათა ჩინებულად დაწყებული კვირა ჩინებულადვე დასრულდეს. იგი დღეს „ვალიადოლიდთან“ ეცდება თავის გამოჩენას. „რეალს“ ჩემპიონობის იმედი ჯერ არ დაუკარგავს.

ოთხშაბათს მორიენტესმა ნაკრებში ზღაპრული დებიუტი მოიწყო. ესპანეთმა შვედეთს ამხანაგურად 4:0 აჯობა და მან პირველ ხუთ წუთში ორი გოლი გაიტანა.

დიდებული დასაწყისია, მაგრამ მორიენტესი, რომელიც აქამდე „რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში კანტიკუნტად გაჰყავდათ, ვარსკვლავომანიით დასნეულებას არ აპირებს.

— ოთხშაბათი საუცხოო დღე იყო, მაგრამ მიწაზე მყარად ვდგავარ. წინ დიდი გზაა, რომელიც შრომით უნდა გავიარო — ამბობს ის.

ეჭვი არაა, მორიენტესი ამ ორ გოლს სიამოვნებით გაცვლიდა „ვალიადოლიდისა“ და „დორტმუნდის“ კარში გატანილ თითოში. „ვალიადოლიდზე“ ვთქვით, „დორტმუნდი“ კი ოთხშაბათს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდება მადრიდის „სამეფო გუნდს“.

თუ „რეალი“ „ვალიადოლიდს“ ვერ აჯობებს, ესპანეთის ჩემპიონობა ოცნებად დარჩება და მთელი ძალ-ღონის ჩემპიონთა თასზე გადატანა მოუხდება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მადრიდელებს უბოროტესი მტერი, „ბარსელონა“ პრიმერა დივიზიონის ცხრილში შვიდი ქულით უსწრებს და თანაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

„რეალს“ „ვალიადოლიდთან“ გამარჯვება „ბარსაზე“ ერთგვარ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაც მოახდენდა „სელტასთან“ სტუმრული მატჩის წინ. თან „სელტა“ მეოთხე ადგილზეა და თავისი გეგმები აქვს.

მადრიდელ გულშემატკივრებს მორიენტესის გარდა რაულის იმედიც უნდა ჰქონდეთ. იგი ბოლოხანს ცუდ ფორმაში იყო, მაგრამ ახლა თითქოს უკეთაა მზად. შვედებს მანაც გაუტანა.

სამაგიეროდ, დაცვაში პრობლემებია. გუნდის გერმანელ მწვრთნელს იუპ ჰაინკესს აიტორ კარანკა და მანუელ სანჩისი არ ეყოლება. კარანკას გული აწუხებს და კარდიოლოგებთან აქვს საქმე, სანჩისს კი კუნთი დაეჭიმა. მან შეიძლება „დორტმუნდთანაც“ კი ვერ ითამაშოს. ჰაინკესის სამწუხაროდ, ფორმაში ვერაა ფერნანდო იეროც. არაა გამორიცხული, მადრიდელთა დაცვის შუაში სულ სხვა ამპლუის კაცი, ფრანგი კრისტიან კარემბუ ვიხილოთ.

## დღეს დელა ალპიზე

დღეს იტალიაში „იუვენტუსს“ ძველი მოწინააღმდეგე, „მილანს“ მასპინძლობს. ტურინის გუნდს ბოლოხანს სერია A-ს ლიდერობის საქმე გაუუარესდა, ერთქულიანი სხვაობით კუდში „ლაციო“ მისდევს და თანაც ოთხშაბათს ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრაც უწევს „მონაკოსთან“.

მესამეზე „ინტერია“, ბოლო ორ თამაშში შვიდი უპასუხო გოლის გამტანი. აქედან სამი, წინა კვირას „სან სიროს“ დერბიში „მილანს“ გაუტანა. შავ-ლურჯები თუ თასების თასის ნახევარფინალისტ „ვიჩენცას“ დაამარცხებენ, შეიძლება დიდი პერსპექტივაც გაუჩნდეთ.

„ლაციოსაც“ დღეს აქვს თამაში, „უდინეზეს“ ეპაექრება.

ბუნებრივია, რომ „იუვენტუსს“, „ინტერს“, „ვიჩენცასა“ და „ლაციოს“ შაბათს დაუნიშნეს შეხვედრები. ისინი ხომ შუა კვირაში ევროთასებისთვის ნახევარფინალებს იომებენ.

ყველაზე მეტი ეჭვნარევი მზერა, რაგინდ საოცრად გეჩვენოთ, „ბებერი ქალბატონისკენ“ არის მიმართული. მართალია, მისი კიევური გამარჯვება ყველას ფოიერვერკივით ჩაეჭედა მეხსიერებაში, მაგარმ თითზე თვლა გვაჩვენებს, რომ ამის გარდა ბოლო ცხრა შეხვედრაში „იუვეს“ ერთადერთი გამარჯვება ჰქონდა. სერია A-ში „უდინეზესთან“, „ნაპოლისთან“ და „პარმასთან“ ფრე იყო, „ლაციოსთან“ იტალიის თასზე — მარცხი..

მომდევნო კვირას რომში სწორედ „ლაციო“ — „იუვენტუსი“ გაიმართება. ვინ იცის, იქნებ იქ გადაწყდეს წლევანდელი ჩემპიონატის ბედი.

— ჩვენ გადამწყვეტ პერიოდს მივადექით — თქვა „იუვესა“ და „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომ — ჩემპიონთა თასის ფინალამდე ორი თამაში დაგვრჩა, მაგრამ ქარაფშუტობა საჭირო არ არის. ჩემპიონატშიც რვა ტურია დარჩენილი. სულაც არაა გამორიცხული, რომ „ინტერი“ და „ლაციო“ გაგვიტოლდნენ. ჯერ კიდევ 24 ქულაა მოსაპოვებელი, ასე რომ დღევანდელი ერთქულიანი უპირატესობა სავსებით არაფერს ნიშნავს.

„იუვეს“ საწუხართაგან ზინედინ ზიდანის ჯანმრთელობაც საგულისხმოა. კაპიტანი, ანტონიო კონტე დისკვალიფიცირებულია, დიდიე დეშამპი კი ხანგრძლივ მკურნალობას ცოტა ხნის წინ მორჩა.

„მილანს“ ჩემპიონობის შანსი არ აქვს, მაგრამ ტურინში მოგებაზე უკეთესი რა უნდა ინატროს? გარდა ამისა, ფაბიო კაპელოს ბიჭებს უეფას თასზე გამსვლელი ადგილის მოპოვებაც სურთ.

— ჩვენ ევროტურნირებზე თამაშის უფლება უნდა დავიბევოთ. შეუძლებელია, იყო „მილანი“ და ზედიზედ ორი სეზონი ევროპას თავი არ შეახსენო — განაცხადა „მილანისა“ და „სკუადრა აძურას“ კაპიტანმა პაოლო მალდინიმ.

„მილანს“ არ ეყოლება ალესანდრო კოსტაკურტა, ანდრე კრუზი კი დიდი ხნის დაშავებული ჰყავს.

პირველ წრეში, „სან სიროზე“ 1:1 იყო.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასი.** ნახევარფინალი

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინტერი — სპარტაკი | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| ატლეტიკო — ლაციო | (3,1-1,25) | 2,6 | 2,7 | 2,6 |

**ჩემპიონთა ლიგა.** ნახევარფინალი

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი — მონაკო | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რეალი — დორტმუნდი | (1,6-1,8) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**თასების თასი.** ნახევარფინალი

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ჩელსი | (2,5-1,35) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| შტუტგარტი — ლოკომოტივი | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,9 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.



გიო ახვლედიანის

სვეტი

## რას ნიშნავს სოკერი?

შესავლისთვის ერთი ამბავი: კრისტიან ციგე დიახაც რომ განთქმული ფეხბურთელია, მაგრამ ციგე ხომ გერმანულად „თხას“ ნიშნავს. ჰოდა, სანამ „მილანს“ გამოემგზავრებოდა, ეს გერმანელი ფანები ასე უწუნებდნენ თამაშს, შე თხაო, შენი ადგილი ფარეხშიაო. ეს ერთმა გერმანელმა-ქართველმა გოგომ, რუსიკომ მიამბო. დადგა რუსიკო და ჩამოჰყვა, რომელი გვარი რას ნიშნავს და ბევრი ვიხალისეთ ამ „მეწალეებით“, „მენაგვეებით“, „მეწისქვილეებით“, „გლეხებით“, „ალვისხის ეზოებით“ და სხვა გერმანელი ვარსკვლავებით.

ეს ყველაფერი კარგი. მითუმეტეს, რომ იმის გაგება, რა რას ნიშნავს, ყოველთვის სახალისოა.

მაგრამ რას ნიშნავს „სოკერი“?

ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ, ამ თამაშის აღმნიშვნელი „ფეხბურთი“ გვაქვს, მაგრამ დუნია რომ ინგლისურად ალაპარაკდება, „ფუტბოლს“ არავინ იტყვის, აუცილებლად წარმოთქვამენ „სოკერიო“.

ჩვენც ხშირად გვიხსენებია ეს სიტყვა. „სოკერი“ — ფეხბურთია. ჩვენ ფეხბურთი გვიყვარს და არ ვიცით, რას ნიშნავს „სოკერი“. არა, კი ვიცით, რომ „სოკერი“ ფეხბურთია, მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვა?

„სოკერი“ — უცნაური რამ არის, როგორც ყველაფერი ინგლისური.

ინტერნეთი გაახაროს ღმერთმა. რაც ეგ მოწყობილობა გამოჩნდა ქვეყანაზე, ამბავი აღარ რჩება გაუგებელი. —სოკერის“ საქმეც ასე შევიტყვე.

ეს სიტყვა გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოშობილა, იმ დროს, როცა ფეხბურთს „ფუტერს“ ეძახდნენ. თურმე, იმ დროს ოქსფორდელ სტუდენტებს ლაპარაკის თავისებური, აბრევიატურული წესი ჰქონიათ. აბრევიატურა უცხო რამ არ არის ჩვენთვის. მაგალითად „სსრკ“, ან „თბილწყალკანალი“, ან „რძევველმრეწვი“, ან „სსფ“. მაგრამ სალაპარაკო ამბავში ჩვენს ენაზე არცთუ ლამაზი რამაა, გამორჩევით, თუ ოქსფორდელ სტუდენტთა ადათს გამოვეკიდებით. იმათ, ასე ჰქონიათ: ვთქვათ, „ბრეკფასტს“ (საუზმე) „ბრექერს“ ეტყოდნენ და ასე შემდეგ. ამ ლოგიკით, ჩვენ „ვახშმისთვის“ „ვახო“ უნდა დაგვეძახა, მაგრამ განა ჩვენ ოქსფორდელი სტუდენტები ვართ?

მოკლედ, იმ დალოცვილ 80-იან წლებში, ერთი მობურთალი ოქსფორდელი სტუდენტი, მეორე მობურთალ ოქსფორდელ სტუდენტს შეხვდა და რაზან მხარზე გადაკიდებული ბუცები დაუნახა, ჰკითხა, შენ რაგერის სათამაშოდ ხომ არ მიდიხარო? „რაგერი“ — ოქსფორდულივე შემოკლებაა და ბურთის სარაგბო წესებით თამაშს ნიშნავს.

არაო, მიუგო ბუცებიანმა, რაგერის დღეაც ვატირეო და სწორედ ამ დროს მოსწყდა მის პირს სიტყვა, მე რაგერის თამაშს არ ვაპირებ, მე „სოკერი“ უნდა გავაგოროო. შემხვედრი სტუდენტი დაიბნა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ბუცებიანი ოქსფორდულად უქცევდა, თვითონაც ოქსფორდელი არ იყო? „სოკერი“, მთქმელის აზრით, ასოციაციის (ASSOCIATION-SOCCER) წესებით თამაშს გულისხმობდა. ესე იგი, ფეხბურთ-ფუტერს, რადგან საფეხბურთო და არა სარაგბო წესებსა და თამაშებს ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ შექმნილი ფეხბურთის ასოციაცის განაგებდა.

ასე დაიბადა სიტყვა „სოკერი“ და დარჩა და დარჩა. ამ სიტყვის სავარაუდო წარმომთქმელი კი ყოფილა ფეხბურთის გიჟმაჟად მოყვარე სტუდენტი რ. ბრაუნი, რომელსაც შემდგომში ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია და მის მიერ ოქსფორდულად შემოკლებული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიც შექნილა.

იყო კაცი და აღარ არის კაცი.

სიტყვა კი დარჩა. დარჩა კი არა, მთელ ამხელა რაღაცას დაერქვა.

ფეხბურთის სილამაზე ხომ ისიცაა, რომ მისი ისტორია საუცხოოდაა გადაჯაჭვული დღევანდელობას.

მრავლისმნახველო მინდვრებო...

ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია?

რეკლამის რჩევას უნდა მივდიოთ: ვისიამოვნოთ სოკერით, ვიცხოვროთ სოკერით და ა.შ.

„კოკა-კოლას“ კი დავლევთ თუ არა, თანდათან გამოჩნდება.

ციგე კი მაინც „თხას“ ნიშნავს, ისევე როგორც პესტი „საუკეთესოს“ და გარინჩა ერთ პატარა ჩიტს.

ჩვენ სოკერის ხალხი ვართ და ეშმაკმა წამიღოს, ეს ძალიან კარგია, ღმერთმა იმ ენამოტეხილ სტუდენტს გაუმარჯოს!

გვარად, მგონი, ბრაუნი იყო.

# ყველას რაიმე აქვს საფიქრალი

### რა დროს ამხანაგობაა?

რაღა მოხდება მსოფლიოს ჩემპიონატზე როცა ამხანაგურ თამაშებში ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ?

ბოლოლა გუნდების სავარჯიშო შეხვედრები უფრო და უფრო ემსგავსება სარაგბო ტესტებს, არის ყვითელ-წითელი ბარათების ფრიალი, ქაცვების ბარძაყებზე ხახუნი, მსუბუქი გაწევ-გამოწევა და ერთი ამბავი.

პრინციპში არც ვინმეს გაემტყუნება.

გერმანია-ბრაზილია ნაღდი ტესტი იყო. თანაც, იმასაც თუ გაიხსენებ, რომ დიდ, ფასიან შეჯიბრებებზე ეს ორი დიდი ჩემპიონი არასოდეს შეხვედრია ერთმანეთს, მათი ამხანაგური ჭიდილი ნამდვილად აღარ არის ამხანაგური.

აბა, რა ამხანაგურობაზე შეიძლება ფიქრი, როცა ეს დროული დუნგა-კაპიტანი იმგვარი გაალმასებით ირჯებოდა პირველივე წუთიდან, რომ ხმალს თუ მისცემდი ხელში, მთელს შტუტგარტს ამოწყვეტდა.

ბრაზილიელებს ამხანაგურობის დრო არა აქვთ. გერმანიას რომ თავი დაანებო, ამერიკელ ცეროდენებთან ნაჭამი სირცხვილი ზიკოთი ზურგგამაგრებულ მოხუც მარიო ჟორჟე ლობოს თავგანწირვის კიდევ ერთ ნაპერწკალს ულვივებდა.

ოთხი წელიწადი გადის მას შემდეგ, როცა კარლოს ალბერტო პარეირამ ცივი და უხინჯო ნაკრები აიყვანა დიდების კვარცხლბეკზე. ახლა ზაგალო დგას მსოფლიოს ჩემპიონატის კარიბჭესთან და მიზანი ტრადიციულად ბრაზილიური აქვს. ამ მწვრთნელის ხელში ბრაზილიამ ფერადი და დასამახსოვრებელი თამაშების ჩატარება მოახერხა და ორი დიდი ჯილდოც მოიგო. მის ხელშივე გამოიღვიძა იმ ეროტიკულმა მუხტმაც, რომელიც ბრაზილიური ფეხბურთის განსაკუთრებულ იერს ქმნის. ეს ეროტიკული მუხტი კი არის ბრაზილიელთა სამარადჟამო სიდიადისა და მათი მარცხის საკმაოდ უცნაური კვანძი, რადგან, როგორც ყოველივე ეროტიკული, ბრაზილიური სილამაზეც წამში ჩაიფერფლება ხოლმე. გერმანიამ კი, რა თქმა უნდა, წააგო. იომა ამ შტუტგარტულ ტესტში და დამარცხდა თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე. რაც ევრო-96 მოიგეს, გერმანელები არ ყვირიან. მათ არ დაუწერიათ ქრესტომათიული წიგნები, მაგრამ თავიანთი საქმე ჩვეულებრივად გააკეთეს — მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიგეს. ბერტი ფოგთსმა ორდენი მიიღო და ჩრდილში მოექცა. მას არ ჰქონია ისეთი ეფექტური და მყვირალა თამაშები, როგორიც, ვთქვათ, ინგლისის ნაკრებს. თუმცა, არც ისეთი პრობლემები ჰქონია, როგორიც გლენ ჰოდლს.

არ არის მსოფლიო ფეხბურთში უფრო გამოცდილი და უფრო მოხერხებული სატურნირო მებრძოლი, ვიდრე გერმანია. მოვა ხოლმე რომელიმე დიდი შეჯიბრების ნახევარფინალი და ოთხიდან ერთი გერმანიაა. ზოგჯერ ეს დიდი გუნდია, ზოგჯერ დიდი სახელებისგან შემდგარი უბრალო გუნდი, ზოგჯერ უბრალოდ კარგი გუნდი, რომელიც ბეწვის ხიდზე გადის, მაგრამ სტრატეგია ყოველთვის მოქნილი აქვს. გერმანელები ხომ წვეთსაც არ ტოვებენ საფეხბურთო ჭიქაში. ჯერჯერობით კი გერმანია უბრალოდ კარგი გუნდია. ორივენი, ზაგალოცა და ფოგთსიც იქ, პარიზში იქნებიან, უფრო სწორად, მოხვდებიან ამ ქალაქში ივლისის თვეში. უფრო სწორად, ეცდებიან, რომ ასე იყოს. შტუტგარტული თამაში კი მართლაც ტესტია, ისევე როგორც შარშანდელი ოთხთა ტურნირი და ალბათ მოდის უფრო ცხელი დროც, საფრანგეთში ხომ დანდობა არ იქნება.

### ინგლისი ბურუსში

ინგლისის ნაკრები იმგვარი ხმაურით ემზადება ხოლმე რიგითი ამხანაგური თამაშებისთვის, რომ კაცს ეგონება, ესაა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასულაო. ამ ამხანაგური თამაშების შედეგები ჰოდლისთვის, არცთუ იშვიათად, უსიამოვნოა.

სიხისტე — აი, მამამთავართა ეროვნული გუნდის მახასიათებელი შარშანდელ სეზონში. ოთხთა ტურნირში გამარჯვება ბრაზილიელებთან მარცხის მიუხედავად და ფრე იტალიაში — ეს კი ის შედეგებია, რომელმაც ჰოდლის გუნდს სახელი გაუკეთა და გვიან შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატად დაასახელებინა მედიას.

მაგრამ ჰოდლი სხვა მხარეს წავიდა. როგორც ყოველი უკეთესის მძებნელი კაცი, ის ინგლისის სტადიონებზე დაიარება და ახალ-ახალ კანდიდატებს არჩევს თავისი გუნდისთვის. ინგლისელთა ამხანაგური თამაშები რომ სარაგბო ტესტის სულისკვეთებით მოინათლოს, ჰოდლის


ბადრი [illegible] ფოტო

გლენ ჰოდლი: იქნებ ორი ბურთით გვეშველოს

გუნდი ინგლისის სარაგბო ნაკრების ადგილს თუ დაუახლოვდება.

წლევანდელი ამხანაგურები ცივ წყალს ასხამს ინგლისის ნაკრების შარშანდელ ეფექტურობას.

ჰოდლი, რა თქმა უნდა, სინჯავს ახალ ხალხს, რიო ფერდინანდებს, დიონ დაბლინებს, სტიუარტ რიპლიებს და ასეთ ჯეელებს. ამ დროს მრავლისმეტყველია, რომ შვეიცარიელებს გოლს უტანს ბეხრეკი ოქრო პოლ მერსონი.

და საერთოდ, მთელს ჰოდლის სათადარიგო რვეულში ერთადერთი ბიჭი თუ გაამართლებს — მაიკლ ოუენი და ისიც, თუ სრულიად განსაკუთრებული პირობები შეექმნება მოედანზე, რაც, რა დასამალია და ინგლისელებს დიდად არ უყვართ.

ინგლისელ ფეხბურთელებს ახლა მძიმე დღეები უდგათ. მანჩესტერული ბირთვი სრულიად დამწვარია. ნიუკასლელ მეომრებს და მთვლემარე ალან შირერს ბევრად უკეთესი დღეები შარშან ედგათ. გაზა, როგორც ყოველთვის, დაშავებულია, შერინგემისთვის საშლელი გადაუტარებიათ და, განა რამდენი უნდა იომოს პოლ ინსმა? განა მსოფლიოს ჩემპიონატის თუნდაც ოთხეული ამგვარი იერის ხალხის ადგილია?

ჰოდლის საქმე ახლა იმგვარადაა, რომ მისი ნაკრების ბედს, არა მხოლოდ თვითონ, არამედ კლუბებიც განსაზღვრავენ. ინგლისში ყოველთვის ასე იყო და ეს ადათი არ შეცვლილა. როგორ გაალწევენ ფეხბურთელები სეზონის ბოლომდე? ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია ჰოდლისთვის.


სარბიელის არქივიდან

არგენტინა ამხანაგურად ხარობს

ისიც, რა თქმა უნდა, აპირებს პარიზში ყოფნას ივლისის თვეში.

### მოკითხვა ბუენოს აირესიდან

მთელი ლათინოამერიკული შინაომებიდან ამოიზარდა არგენტინის ნაკრები, ყველაზე მეტად ნალანძღი მსოფლიოს ჩემპიონი ბოლო წლებში. ამოიზარდა, თითქოს იმისთვის, რომ დაამტკიცოს — დანიელ პასარელა არ არის მხოლოდ თმებზე მოლაპარაკე კაცი. სლავებთან მოგებული ორი ამხანაგური თამაში, რომელთა მსვლელობისასაც არგენტინელებს არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ და მე თუ მკითხავთ, გვარიანი მარაგიც შემოინახეს, გვახსენებს — არგენტინა ძალაა.

ამასთან, ეს არის ძალა სრულიად გამორჩეული და ზუსტად მსროლელი. არგენტინელთა შემადგენლობა დაწმენდილია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ იმათ ვიხილავთ, ვისაც პასარელამ ორი-სამი წლის წინათ დაადგა თვალი. ხოლო ის ამბავი, ერნან კრესპო უკეთესია, თუ გაბრიელ ბატისტუტა, სანაკრებო საქმეში, ალბათ, საბრძოლო პირობებში გადაწყდება.

პასარელა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა საფრანგეთისკენ, მას არ ჰქონია სარაკეტო სიჩქარე და ნაკრებსაც საკმაოდ წაუგია მის ხელში. ჯერ მარტო მარსელო გალარდოს იმდენი პენალტი გაუფუჭებია, რომ თქვენი მოწონებული. მაგრამ ტაქტიკას, ჯიუტად არჩეულ ფეხბურთელებს, პრობლემებს პრესასთან თანდათან ყველა ივიწყებს, რადგან აშკარაა — პასარელამ საოცარი შინაგანი ძალა და სიმტკიცე შესძინა თავის გუნდს. რა მოგეწონება დღევანდელ არგენტინელთა თამაშში და სიზუსტე, გონიერი შეტევის ზუსტად დასრულების უნარი. ეგებ სახიფათო შეტევები არც იყოს ბევრი, მაგრამ მათი სიზუსტის, კარში დარტყმით დასრულების პროცენტი ძალიან მაღალია. სწორედ რომ კარში და არა კარის მიმართულებით.

არგენტინის ნაკრების თამაშის სტილი და პრინციპები ყოველთვის მკვეთრად ცვალებადი იყო, რადგან ქვეყანაში ყოველთვის ბატონობდა ორი ასევე მკვეთრად განსხვავებული სამწვრთნელო სკოლა. პასარელა არც ერთ ამათგანს არ მიეკუთვნება, თუმცა ორივეთია ნასაზრდოები და პრინციპში, მისი ნაკრები დღევანდელი არგენტინული ფეხბურთის ნამდვილი სახეა. რა თქმა უნდა, იმის მიუხედავად, რომ ნაკრებში ბევრი ლეგიონერია.

არგენტინელებს არ ესწავლებათ მჭიდრო თამაში და გაუვალი რედუტების შექმნა. მათ ასევე არ ესწავლებათ ბურთის მალვის ხელოვნება, ელვისებური მოქმედება და ფოიერვერკების გამართვა, მათ უყვართ საშუალო ტემპში, ჯგროდ თამაში და უეცარი, სწრაფი გადაადგილებები. ხშირად ეს ცალ-ცალკე იყო. ლამაზი გუნდი ფარლალალა დაცვას დაიჭერდა, დაცვითი სკოლა კინკილა გოლის იმედზე იყო. მარადონას სიდიადე ორივე გზას ანათებდა. პასარელას კი არა ჰყავს მარადონა. სამაგიეროდ პასარელას აქვს საინტერესო სინთეზი, რომლის სიმტკიცეც საუცხოო ფეხბურთელთა შეთამაშებულობაა.

ასე რომ, არგენტინა ტყუილად არ ამოზრდილა შინაომების ჭაობიდან, ისიც სენ დენის მინდვრისკენ მიიწევს, თუმცა, არგენტინელთა ძალა მაინც შესამოწმებელია ერთი-ორი ევროპული განავარდებით, რაც ასევე ტესტს დაემსგავსება.

არა მხოლოდ ჩემპიონატი, არამედ მისთვის მზადებაც უკიდურესად მძიმეა, განა ვინმე დაინდობს ვინმეს?

**ირაკლი გამყრელიძე**

## კითხვა-პასუხი

*— დედა, რა მაგარია ეს რონალდო. ნეტავ როგორი იქნება თუნდაც ხუთი წლის შემდეგ?*

— ხუთი წლის შემდეგ სულ არ იქნება.

*— რატომ?*

— აი, რატომ: „ინტერი“ წელს ვერაფერს მოიგებს. რონალდოს მილიონით მეტს შესთავაზებს „რეალი“ და ესეც იქ გადავა. გაისად, პირველი წრის შემდეგ „რეალი“ ვერაფერს მოიგებს და ამ დროს „ფიორენტინა“ შესთავაზებს მილიონით მეტს, რონალდოც იქ გადავა. „ფიორე“ რაღა ხვითოა? იქაც ეყოფა ნახევარი წელიწადი. მერე „ბარსას“ მიუბრუნდება და როგორ გგონია, ხუთ წელიწადში არ მობეზრდება ეს ყველაფერი?

*— რა ვიცი. ვითომ ასე იქნება?*

— ჯორდანი ხომ ბეისბოლში გაიქცა. ეგ ტელესერიალებში წავა.

*— ეჰ, აბა რაებს ლაპარაკობ?*

— ნახავ, როგორ გასუქდება ამხიგრძე კაცი, გასუქებული იჟუნჟულებს. კანტონას დაემსგავსება, ათანას მიხაილოვსა.

*— ათანას მიხაილოვი ვინღაა?*

— სოფიის „ლოკომოტივის“ კაპიტანი იყო. ჩვენ სახელოვან კიევის „დინამოს“ სულ ღიპით უტანდა გოლებს.

*— ეჰ, აბა ამათი შედარება იქნება?*

— მაგის ჯავრი სულ არა მაქვს. თვალის ექიმთან უნდა მივიდე.

*— რათა?*

— ფერებს ველარ ვარჩევ. აი, იმ დღეს „მილან“-„ინტერს“ ვუყურე და ერთმანეთისგან ვერ გავარჩიე. მგონი დალტონიზმი შემეყარა.

*— კარგი ერთი, ნუ იგონებ რაღაცეებს. „მილანს“ „ინტერისგან“ ვინ ვერ გაარჩევს?*

— ვინც ფერებს არჩევს, იმას არ გაუჭირდება ლურჯი და წითელი ზოლების გარჩევა, მაგრამ თუ ჩემსავით ფერებს ველარ არჩევ, ან შავ-თეთრი ტელევიზორი შემოგრჩა, რის „მილანი“, რა „ინტერი“, ვერაფერს გაუგებ.

*— რა მოხდებოდა, რონალდო რომ „მილანში“ თამაშობდეს?*

— ის მოხდებოდა, რაც ვეას რომ „ინტერში“ ეთამაშა.

*— და ასეთ შემთხვევაში რაღა მოხდებოდა?*

— არც არაფერი. რა მოხდება „მილანს“ რომ „ინტერის“ ფორმა ჩაიცვა? „ინტერი“ „მილანად“ გადაიქცევა, „მილანი“ კი „ინტერად“, თუმცა, ორივე მაინც ერთი იქნება.

*— ეგ როგორ?*

— თხას ეზოს გარეთ დააბამ თუ ეზოში, რა მნიშვნელობა აქვს? მითუმეტეს, ეზოც არ არის. ეზო ერთია — სან სირო.

*— ესე იგი, მე რომ მგონია, მილანს ორი გუნდი ჰყავსო, ტყუილი მგონია.*

— აბა რა. ერთი გუნდია, არჩევან-არადანზე გაყოფილი.

*— კარგად ამიხსენი ეგ ამბავი.*

— აი, უყურე: მორიერო გადაიყვანე წითლებში, ბა — ლურჯებში, კოსტაკურტა გადაიყვანე ლურჯებში, ბერგომი — წითლებში, ბობინი — ლურჯებში, ძანეტი — წითლებში, კანუ და კოე — „მილანში“, კლუივერტი და ლეონარდო — „ინტერში“, ვითომ გადავლენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ სან სიროზე არ დარჩებიან?

*— მართალს ჰყავს.*

— განცის ამბავი აიღე. განცი ხომ გადავიდა „ინტერიდან“ „მილანში“, მაგრამ არსადაც არ გადასულა.

*— განცი რომელია, რა გაუკეთებია?*

— მთელს მაგხელა ქალაქში ერთი ეგ გამოდგა ფეხბურთელი, მაგრამ ამბობენ, ეგ რა ფეხბურთელიაო.

*— და მწვრთნელი ხომ ორია?*

— ჰოო, კაპელო, კაპელო... აი, რას გეტყვი: კაპელოს რომ თმა გაუთეთრდება, ჯიჯი სიმონი გახდება. სიმონი კი, სანამ თმა გაუთეთრდებოდა, კაპელო არ იყო. ამის მიუხედავად, მაგათ ზიარი რვეული აქვთ.

*— როგორ უნდა გავარჩიოთ ეგ ორი გუნდი?*

— რომელიმემ თეთრი ფორმა უნდა ჩაიცვას.

*— და გაზა?*

— რა, გაზა?

*— გაზა რომ თამაშობდეს ან „ინტერში“, ან „მილანში“, ხომ გაარჩევდი?*

— ვის, გაზას?

*— გაზას კი არა, „მილანს“ და „ინტერს“.*

— ნუ მელაპარაკები მაგ კაცზე. თუ ვინმე იქცა ათანას მიხაილოვად, პირველ რიგში ეგ.

*— და ჰოდლი?*

- ეგეც, თავის დროზე, ათანას მიხაილოვად გადაიქცა.

# იმგვარადვე მატკბობ, იმგვარადვე მკლავ
# 34 გასულა წელი...

## დაუვიწყარი მატჩი: ბურევესტნიკი (თბილისი) — მედვეშჩაკი (ზაგრები)

**სპორტის გულშემატკივარისთვის არსებობს გამორჩეული მოვლენა, მატჩი, რომელიც წლების გადასახედიდანაც ახსოვს და აღუძრავს ემოციებს. არის მატჩები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია და რა დროც არ უნდა გავიდეს, ყველა თვითმხილველს უეჭველად გააჟრჟოლებს მისი გახსენებისას. სწორედ ასეთი იყო ევროპის ჩემპიონთა თასის თბილისური შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდსა და იუგოსლავიის ჩემპიონ ზაგრების „მედვეშჩაკს“ შორის, რომელიც 1964 წლის შემოდგომაზე გაიმართა. რით გამოარჩევ სპორტულ მოვლენას ასობით სხვა ასპარეზობას შორის? უპირველესად, შემსრულებელთა ოსტატობით, შემდეგ, ალბათ, მნიშვნელობით. კიდევ, სანახაობის დრამატიზმით და ამ შეხვედრაში განვითარებული პერიპეტიებით. „ბურევესტნიკ“ — „მედვეშჩაკის“ მატჩში ყველა ეს კომპონენტი თავზე საყრელად იყო და რა გასაკვირია, რომ ახლაც, 34 წლის შემდეგ, ეს მატჩი კვლავ აღვიძებს ჩვენში სიხარულს, აღფრთოვანებისა და უსაზღვრო სინანულის განცდებს, ისევე, როგორც მაშინ, უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინ.**

### ქართველთა ამბიციების შესახებ

ერთ ხანს საკავშირო ინფორმაციის საშუალებებმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამოუკიდებლობისთვის დავიწყეთ ბრძოლა, მოდად აქციეს ქართველების გაკილვა განსაკუთრებული ამბიციების გამო. ამას ბევრი ჩვენი თანამემამულეც აჰყვა და შედეგიც სათანადო მივიღეთ — თუ ადრე ჩვენი შესაძლებლობის გადაჭარბებზე იყო ლაპარაკი, ახლა ქართველს უკვე არასრულფასოვნების კომპლექსი განვუვითარეთ, რაც გაცილებით უარესია, ვიდრე ის, რაც იყო. რა თქმა უნდა, სჯობს, რეალისტი იყო, რეალურად შეაფასო ვითარება და ასევე იმოქმედო, მაგრამ ერის განუმეორებელი თვისება, რომელსაც უფრო რომანტიკულობასთან ჰქონდა საერთო, ვიდრე სხვის დაჩაგვრასთან, არ უნდა დაკარგულიყო.

თუმცა, მოდით, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რატომ არ უნდა გვქონოდა ამბიციები. 60-იანი წლების დასაწყისში ქართული სპორტი მართლაც რომ ალმავლობას განიცდიდა. სხვაზე არაფერს ვიტყვით, სპორტის სათამაშო სახეობები ავიღოთ. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს, ფეხბურთელები საკავშირო ჩემპიონები გახდნენ, წყალბურთელები მუდმივად ელიტაში იყვნენ. ყველგან გვყავდა მსოფლიო თუ ევროპული ვარსკვლავები: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა ფეხბურთში, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი კალათბურთში, გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე, ნოდარ გვახარია წყალბურთში და სხვანი.

ჩვენ ვამაყობთ თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდითაც, რომელმაც 1964 წელს მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და თან როგორ! 12 მოწინააღმდეგიდან მხოლოდ ერთმა, კაუნასის „ატლეტასმა“ შეძლო ქულის წართმევა ჩვენთვის, დანარჩენები კი ჩვენმა გუნდმა აშკარა უპირატესობით დაამარცხა, მეორე პრიზიორს, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ 8 ბურთით მოუგო, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტს — შვიდით და საერთოდ, მის პირველობაში ეჭვი არავის შეპარვია. ჩვენ გვყავდა საკავშირო ნაკრების წევრები: მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო მეკარე ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, ანზორ ექსეულიძე და, რაც მთავარია, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე. გუნდის მწვრთნელი საკავშირო ნაკრების თავკაცი გიორგი შარაშიძე იყო. ახლაც ვიტყვით, რომ ამბიციები არ უნდა გვქონოდა? გვქონდა კიდეც და ევროპის ჩემპიონთა თასის მორიგ გათამაშებაშიც ჩავებით.

### „მედვეშჩაკამდე“

ამ გათამაშებისთვის თბილისის „ბურევესტნიკს“ რუსი იური კლიმოვიც დაემატა. კლიმოვი გამორჩეული ფიგურაა საბჭოთა ხელბურთში, მაგრამ ასეთი დიდი და გამოჩენილი სწორედ თბილისში გატარებული წლების მერე გახდა. მაშინ კი, უბრალოდ, ძლიერი ხელბურთელი იყო, რამაც, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაზარდა. მეოთხედფინალამდე გუნდები თითო მატჩს თამაშობდნენ და ჩვენებს ამ ბარიერის გადალახვა არ გასჭირვებიათ — პოლონეთის ჩემპიონი, ვროცლავის „აზს“ 32:18 დაამარცხეს და კენჭისყრამ მეოთხედფინალში ძლიერი მეტოქე, ზაგრების „მედვეშჩაკი“ გვარგუნა.

### მეტოქეები

რას წარმოადგენდა ჩვენი მოწინააღმდეგე? ყველამ კარგად იცის, რა ძლიერებიც არიან იუგოსლავიელები ბურთთან დაკავშირებულ ყველა სახეობაში და ხელბურთი კი მათთვის ერთ-ერთი უპოპულარულესი სპორტის სახეობაა. ზაგრების „მედვეშჩაკი“ იმ დროისთვის იუგოსლავიის 6-გზის ჩემპიონი იყო, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ იუგოსლავიის ნაკრების წევრები, გამთამაშებელი მილკოვიჩი, ბომბარდირი ჟაგმესტერი — ორივე ძალიან ცნობილი ხელბურთელი, აგრეთვე ურემოვიჩი. არც დანარჩენებისთვის იყო იუგოსლავიის ნაკრები უცხო ხილი. გარდა ამისა, სწორედ მაშინ იწყებდა ამ გუნდში მოღვაწეობას ახალგაზრდა მწვრთნელი ვლადო შტენცლი, ლეგენდარული ფიგურა მსოფლიო ხელბურთში. შტენცლმა სწორედ „მედვეშჩაკში“ მოღვაწეობით გაითქვა სახელი, შემდეგ იუგოსლავიის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახადა XX ოლიმპიადაზე, მერე კი გერმანელებს მოაპოვებინა მსოფლიოს ჩემპიონობა. მოკლედ, მეტოქე მართლაც სოლიდური გვყავდა და გულშემატკივრებიც დიდი შეხვედრებისთვის განეწყვნენ.

### პირველი მატჩი

მიუხედავად იმისა, რომ ზაგრებში ძნელ მატჩს ველოდით, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ორი ტოლ-სწორი მეტოქის კვალობაზე სასტიკად დავმარცხდით 16:24. 8 ბურთი დიდი განსხვავებაა! რამ გამოიწვია ასეთი მარცხი? ალბათ, ჩვენმა გამოუცდელობამ. არ ვგულისხმობთ მოთამაშეთა გამოცდილებას, არამედ, საერთოდ, ასეთი მატჩისადმი დამოკიდებულებას. გამოცდილი ევროპელები მარტო გუნდით არ იბრძვიან, ყველა ნიუანსს გათვლიან ხოლმე, რათა ასეთ მატჩებში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვონ. იუგოსლავიელებიც ასე მოიქცნენ. აეროპორტიდანვე აგრძნობინეს თავიანთი დამოკიდებულება ჩვენს გუნდს. იქ მათ არავინ დახვდა მძღოლის გარდა. სასტუმროში დაბინავებას ჩვენები კარგა ხანს მოუნდნენ. მატჩის მომსახურე „სეკრეტარიატი“ სულ პატარა წვრილმანებზე იჭერდა ჩვენებს და მსაჯიც ტექნიკურად, ისე, რომ დიდად ვერ შევედავებოდით, აკეთებდა თავის ბნელ საქმეს. სამჯერ ჩვენებს მოთამაშე არასწორი შეცვლისთვის გაუძევეს, ეს უკვე 6 წუთია უმცირესობაში. იყო დარღვევა თუ არა, ხაზზე ედგა ფეხი მოედანზე გამოსასვლელ მოთამაშეს თუ არა — მოდი და განსაზღვრე. წესით ასეთ პრინციპულ შეხვედრაში ამგვარი დარღვევისთვის მკაცრად არ უნდა ისჯებოდე. მსაჯს რა რჯიდა? ჩვენს ბიჭებთან ერთად ზაგრებისკენ თვითმფრინავში სახელგანთქმული რუსი ტანმოვარჯიშე ბორის შახლინი მგზავრობდა. მან თქვა, რომ „ბურევესტნიკ“ — „მედვეშჩაკის“ რუმინელი არბიტრი სასტუმროში მის პირდაპირ დააბინავეს და ერთადვე აიბარგნენ იქედან. ჰოდა, ეს რუმინელი მსაჯი ზაგრებში ერთი საკვოიაჟით ჩამოვიდა, წასვლისას კი ორი ჩემოდანი ეკავაო — ასე თქვა შახლინმა. მოკლედ, თვითონ განსაჯეთ, ფაქტი კი ფაქტად დარჩა — მეორე მატჩისთვის რვაბურთიანი სხვაობა უნდა გაგვეცამტვერებინა.

### მეორე მატჩის წინ

იყო თუ არა იმედი იმისა, რომ მეორე შეხვედრას ისეთი უპირატესობით მოვიგებდით, ნახევარფინალში გასვლას რომ შეგვაძლებინებდა. რა თქმა უნდა, იყო. მიუხედავად ძნელი ამოცანისა, ჩვენ ჩვენების იმედი გვქონდა. „ბურევესტნიკს“ ისეთი ცეცხლის დანთება შეეძლო მოედანზე, ძნელად თუ ვინმე გაუმკლავდებოდა. მოთამაშეებს კი ოსტატობა არ აკლდათ. მეტოქეს ისე შევხვდით, როგორც ჩვენს სტუმართმოყვარეობას ეკადრებოდა და მისგან განსხვავებით პატიოსან ბრძოლაზე ავიღეთ აქცენტი. ჩეხი მსაჯის გადმობირებაც არავის უცდია და არც „სეკრეტარიატი“ იყო გამარჯვებისთვის მომართული. ეს მოთამაშეებს ევალებოდათ და მათ მოედანზე ვაჟკაცურ ბრძოლაში უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა. მოკლედ, პრაგმატიკოსების შეხედულებით, ჩვენ მასპინძლის უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ. მსაჯიც ისევ სტუმრების მხარეს იჭერდა და მხოლოდ თამაშს მივენდეთ.

### პირველი ტაიმი

პირველმა ტაიმმა ცივი წყალი გადაგვასხა. მატჩისწინა დაძაბულობამ თავისი ქნა. მოთამაშეები ვერ გათავისუფლდნენ მღელვარებისგან. ეს არ იყო მეტოქის შიში, ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ბიჭებს სჯეროდათ თავისი ძალების და რაც შეიძლება ჩქარა აპირებდნენ უპირატესობის დამტკიცებას. მიჩქარეს მოუგვიანდესო, ნათქვამია, და პირველი ტაიმი აშკარად არ გამოგვივიდა. მეტოქემ მარწუხებს მოუჭირა, ცერცვაძეს პერსონალურად დარაჯობდნენ, შეტევაში კი ბურთს დიდხანს ათამაშებდნენ — მათ არსად ეჩქარებოდათ, მილკოვიჩი და ჟაგმესტერიც ჩუმად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და ასეთმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. 7:7 ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

### შესვენებაზე

კიდევ დარჩა იმედი? თქვენ წარმოიდგინეთ, დარჩა. თუმცა სპორტის სასახლეში მოსულ 10 000 გულშემატკივრიდან ზოგი ტუჩებსაც იკვნეტდა და ჩაფიქრებული და თავის თავთან განმარტოებულიც ბევრი იყო, მაგრამ იმედი...იყო. თვითონ მოთამაშეები იყვნენ შემართულნი. შესვენებაზე მატჩის გარჩევისას ერთმანეთს უთხრეს, რომ ყველაფერი მეორე ნახევრის პირველ ათ წუთში უნდა გადაწყდეს. ტემპი და იმპროვიზაცია. აქ თუ დაიბნენ იუგოსლავიელები და მათი მოშთობა შევძელით, მერე ყველაფერი აეწყობაო.

### მეორე ტაიმი

დაიწყო მეორე ნახევარი და პირველივე წუთზე ჩვენებმა ისე შეუტიეს, მაყურებელი კვლავ გამოცოცხლდა. ჩვენებმა ტაქტიკა შეცვალეს. ჟაგმესტერსა და მილკოვიჩს ცერცვაძე და ანთაძე დაუდგნენ. 4+2 დაცვაში დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ბიჭები ამ დღეს ისე იყვნენ შემართული, ყველაფერს გაუძლებდნენ. თავდასხმაში ცერცვაძეს შორის გაჰყავდა მეურვე და იუგოსლაველთა დაცვაში არსებული სიცარიელით ანთაძე კარგად სარგებლობდა: პასებით ამარაგებდა პარტნიორებს თუგოსლავიელები დაიბნენ. ჩვენები წინ გავიდნენ და ნელნელა სხვაობამაც იწყო ზრდა. რამდენიმე ბურთი გაიტანა კლიმოვმა, აიწყვიტა ცერცვაძემაც და მისი მეურვეც ნირწამხდარი ჩანდა. ჟაგმესტერი საერთოდ გამოვიდა მწყობრიდან მას შემდეგ, რაც აბაიშვილმა რამდენიმე ნაღდი ბურთი აუღო. ერთი მილკოვიჩიღა ცდილობს თამაშის მოგვარებას, მაგრამ „ბურევესტნიკი“ შეუჩერებელია. გუნდი და მაყურებელი ერთ სხეულად იქცა და შვიდ იუგოსლაველ მოთამაშეს ამ ალმაფრენის შეჩერება არ ძალუძს. 10 წუთი გადის და ჩვენები 4 ბურთს იგებენ. კიდევ 10 წუთი და სხვაობა ექვსი ბურთია. ბოლო წუთებია. ჩვენები რვა ბურთით არიან წინ. კიდევ ერთი შეტევა და ანგარიში ისეთია — 21:12, რომელიც ჩვენს ნახევარფინალში გასვლას რეალურს ხდის. დაინგრა სპორტის სასახლე და ხმაჩახლეჩილი გულშემატკივრების შეძახილებით „ბურევესტნიკი“ ნახევარფინალისკენ მიდის. მაგრამ...მაგრამ თამაშის დასასრულამდე 15 წამია!

### 15 წამი და მთელი ცხოვრება

ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ესა თუ ის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. გაუშვებ ამ მომენტს და გამოსწორება შეუძლებელია. ცხოვრება ჩაივლის თავისი ულმობელი სისწრაფით და შენც იძულებული ხარ, იმას შეეგუო, რაც არის!

მატჩის დასასრულამდე 15 წამია. ანგარიშია 21:12 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ. სათადარიგოთა სკამზე ზის უმიზეზოდ გაძევებული ჯემალ ცერცვაძე, მაგრამ ჩვენ უკვე არაფრის გვეშინია. ხელბურთი კალათბურთი არ არის, სადაც მარტო სუფთა დროს ითვლიან. ბურთი ჩვენებს აქვთ და, რა თქმა უნდა, ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. თამაზ ანთაძე, „ფარჩოა“ ბურთით. ატარე, ატარე — ისმის მაყურებლებიდან. არავის მისცე შენ გქონდეს — დუღს სათადარიგოთა სკამი. ანთაძე კლიმოვს აწვდის. უამრავი ვარიანტი არსებობდა. პირველი — ბურთი შენ გეტარებინა, მეორე — მაღლა აგეგდო, სპორტის სასახლის თაღქვეშ (რა, არა აქვს ასეთი თაღი ჩვენს სასახლეს?) და სანამ ბურთი ჩამოვარდებოდა, ნახევარფინალშიც ვიქნებოდით. ან, უბრალოდ, გესროლა აქეთ-იქით, მაყურებლებში, საერთოდ შორს და გამარჯვებაც ჩვენია. მაგრამ კლიმოვი ყველაზე უარესს ირჩევს, კარში ისვრის. კიდევ იყო რამდენიმე ვარიანტი — მეკარეს ან იქით მოეგერიებინა, ან — აქეთ. ან ბურთი კარს უკან გადავარდნილიყო, მოტანას ხომ გარკვეული დრო დასჭირდებოდა, მაგრამ იღბალი — ეტყობა, უნდა დავსჯილიყავით უაზრო ქმედებისთვის. მეკარე თითის წვერებით იგერიებს ბურთს, რომელიც უკან კედელს ხვდება და წამის მეათედში ისევ მეკარეს უბრუნდება. იგი გრძელ პასს აკეთებს პარტნიორის მისამართით, რომელიც უკვე ჩვენს შვიდმეტრიან ზონას უახლოვდება, ჩვენები ეცნენ და პენალტი. ისიც უნდა ითქვას, რომ გვერდითმა მსაჯმა (მაშინ ხელბურთში ფეხბურთივით სამი მსაჯი იყო) იუგოსლავიელისგან წესის დარღვევა აღნიშნა, მაგრამ არბიტრი ამას ყურადღებას არ აქცევს და ხელს შვიდმეტრიანის ნიშნულისკენ იშვერს — დრო ამოიწურა. დარჩა შვიდმეტრიანი ჩვენს კარში. იუგოსლავიელთაგან ყველაზე გაწონასწორებული მილკოვიჩი ასრულებს პენალტს და 21:13. ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა.

### კენჭი, რომელიც ქვად იქცა

იმ დროს სპორტის სასახლეში მოსულ მაყურებელს ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინა, რა მოხდა. იმდენად დიდი იყო ჩვენების ბრწყინვალე თამაშით გამოწვეული აღფრთოვანება, რომ მატჩის ბოლო წამებზე გათამაშებული დრამა უკვე სხვა სპექტაკლიდან ეგონათ. ისინი ისევ იქ იყვნენ, განუმეორებელ თამაშში ჩართული და ამ დროს კი დებულებით თურმე არც პენალტებია გათვალისწინებული, არც დამატებითი დრო და არც დამატებითი მატჩი, კენჭისყრა! უბრალო მონეტაზეა დამოკიდებული ჩვენი გუნდის ნაჯაფი. ოთახში არავის უშვებენ კაპიტნების გარდა. ჩვენგან ჯემალ აბაიშვილი შედის. გარეთ უცდიან ბიჭები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ დღესასწაული მოეწყოთ მაყურებლისთვის. მთელი თავისი სული და გული ჩადეს შეხვედრაში და ახლა ამ უაზრო რიტუალის შედეგს ელიან. კარები გაიღო და აბაიშვილის სახის შემხედვარე ბიჭები ყველაფერს მიხვდნენ. იუგოსლავიელებმა „არიოლ-რეშკათი“ გამარჯვებით ნახევარფინალის გზა გადაუკეტეს თბილისის „ბურევესტნიკს“.

მაყურებელმა კი ეს ყველაფერი არ იცის. დგას ტრიბუნებზე და თან უზომოდ ბედნიერია, რომ ასეთ სპორტულ დღესასწაულს ეზიარა. მაყურებელს ჰგონია, რომ იქნება დამატებითი დრო და თანახმაა, გაგრძელდეს ეს დაუვიწყარი სანახაობა, რადგან სჯერა თავისი გუნდისა. ამ დროს მსაჯი-ინფორმატორი აცხადებს, დებულებით კენჭისყრა იყო გათვალისწინებული, კენჭი იყარა და ნახევარფინალში „მედვეშჩაკი“ გავიდა. წარმოგიდგენიათ, ბედნიერ კაცს უცებ რომ ეტყვით, ეგ, რაც თქვენ ბედნიერება გგონიათ, უბედურებააო. მაყურებელი გაშრა და სიტყვის ამოღებასაც ვერავინ ახერხებდა. ის, რაც მოთამაშეებმა გულშემატკივრებს აჩუქეს, მონეტამ წაართვა. თურმე დიდხანს კი უტრიალია იმ მონეტას, სანამ ჩვენს ბიჭებს გათამაშებიდან გამოთიშავდა.

იმ ღამეს თბილისში პირველი თოვლი მოვიდა. თოვლი კი იმისთვისაცაა საჭირო, რომ შენს დარდთან მარტო დარჩე.

### რას ვნაღვლობდით?

ამ მატჩის დრამატულობა, ალბათ, იმათაც იგრძენით, ვისაც ეს შეხვედრა არ გინახავთ, მაგრამ სინანულს, რომელიც ახლაც არ განელებულა მთლიანად, უფრო ღრმა ფესვები აქვს. თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდი მართლაც ბრწყინვალე იყო. მათ მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი და ნაკრები დაუმარცხებიათ. ამ მარცხით კი მოესპოთ საშუალება, ოფიციალურად გაეფორმებინათ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის სახელი. ეს შეხვედრა მეოთხედფინალური იყო და გვაქვს კი ასეთი განცხადების საფუძველი? თასამდე ხომ კიდევ იყო გასავლელი გზა. თავად განსაჯეთ, ნახევარფინალში „მედვეშჩაკმა“ კოპენჰაგენის „აიქსს“ მოუგო 20:24, 21:11. ჩვენები „მედვეშჩაკთან“ გამოვარდნის შემდეგ სულ რაღაც ერთ თვეში შეხვდნენ ამ დანიურ კლუბს კოპენჰაგენში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე და თოთხმეტი ბურთით (!) დაამარცხეს მასპინძლები. ასე რომ, ჩვენი ფინალში გასვლა ეჭვს არ იწვევდა. ფინალში „მედვეშჩაკმა“ რუმინეთის ჩემპიონ ბუქარესტის „დინამოსთან“ წააგო პარიზში 11:13. ბუქარესტის „დინამო“, რასაკვირველია, ძლიერი გუნდი იყო. რუმინელები მსოფლიო ხელბურთის აღიარებული ლიდერები იყვნენ და მათი გუნდები „დინამო“ და „სტიაუა“ წარმატებით გამოდიოდნენ ევროთასებზე, მაგრამ თუ რუმინეთის ნაკრები უძლეველი ჩანდა (თუმცა შემდეგ ამ ნაკრებსაც მოუგო თბილისის „ბურევესტნიკმა“ საქართველოს ნაკრების სახელით), გუნდები არ იყვნენ დაუმარცხებელი. იგივე „დინამო“ ჩემპიონთა თასის წინა გათამაშებაში პრაღის „დუკლამ“ დაამარცხა ფინალში. ორ თამაშში რუმინელებთან გამარჯვება ძნელი იყო, რადგან ბუქარესტში არანორმალური გულშემატკივრობა და მიკერძოება გვხვდებოდა. ხოლო ერთი მატჩის მოგება ნეიტრალურ მოედანზე, პარიზში, ჩვენთვის სავსებით შესაძლებელი იყო. რუმინელებს ჰყავდათ მაღალი კლასის ოსტატები — მოზერი, ივანესკუ, კოსტაკე და სხვები, მაგრამ 1964 წლის „ბურევესტნიკი“ ისეთი სიძლიერის იყო და ისეთი შემადგენლობის, არავისი ეშინოდა. მოკლედ, ეს არ იყო მარტო ერთი მატჩის წარუმატებლობით გამოწვეული სინანული. ფაქტობრივად, ევროთასის მოპოვების რეალური შანსი დავკარგეთ.

### რა დარჩა?

რა თქმა უნდა, იმ მატჩიდან სინანულიც გამოგვყვა, მაგრამ ეს სინანული ასეთი მძაფრი არ იქნებოდა, რომ არა ის ბრწყინვალე თამაში. როცა იმ შეხვედრას ვიხსენებთ, უპირველესად სწორედ ჩვენების შემართება, თავდადება და მაღალი ოსტატობა გვიდგას თვალწინ.

ის დაუვიწყარი დღესასწაული კი, რომელიც „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა გვაჩუქეს, ოცდათოთხმეტი წლის შემდეგაც სასიამოვნოდ გვაფორიაქებს.

**ილია მხეიძე**

# ჩვენი პირველი პროფი

...ამ ბიჭის მაგალითი ბევრისთვისაა გასათვალისწინებელი. მამუკა წიკლაური, 26 წლის თბილისელი ყმაწვილი, მოკრივე, რომელსაც მარჯვენა ხელზე უკურნებელი ტრავმა აქვს — ორი თითი აკლია. ყოფილი ვერისუბნელი, ამჟამად საბურთალოელი წარმოსადეგი ახალგაზრდა დღეებს ითვლის, რათა ინგლისში თავისი ხელმოწერით დამშვენებული კონტრაქტი გააგზავნოს და ბრიტებისგან მიწვევა მიიღოს. ყოველივეს დიდი-დიდი ორი კვირა დასჭირდეს. თავისი პირობებითა და შინაარსით კონტრაქტი ქართველთათვის უჩვეულოა, პირველია. მამუკა წიკლაური უკვე პროფესიონალი მოკრივეა, რომელმაც ინგლისურ კლუბთანაც ანალოგიური კონტრაქტი გააფორმა. დღეს მამუკა თბილისშია, საკუთარ სახლშია და ინგლისში წასასვლელად ჩემოდანს ალაგებს. შრომამ, ჯაფამ, ოფლისღვრამ, მონდომებამ ეს ბიჭი პირველ ქართველ პროფესიონალ მოკრივედ აქცია. მასთან საუბარიც ამიტომ გადავწყვიტეთ. ჩვენებურთაგან ხომ ჯერჯერობით ასეთი სიმაღლეები უცხოა.

შესავალს აქ მოვრჩებოდით, მაგრამ ერთხეც ღირს ყურადღების გამახვილება. „სარბიელის" მკითხველს კარგად ემახსოვრება, რომ ვწერდით ხოლმე, „მანჩესტერ სიტიში" მოთამაშე გიორგი ქინქლაძეს კრივი ჰყვარებია და რინგზე მიმდინარე ორთაბრძოლების ხშირი სტუმარიაო. იქვე ვამბობდით, გიოს გვერდით ერთი ქართველი მოკრივეც არის, ინგლისელ ხელთათმნიანებს თავის მალას აჩვენებსო. ის ერთი სწორედ მამუკა წიკლაური იყო. თბილისურ ვარჯიშებს მანჩესტერულიც დაამატა, იქაურებიც მოხიბლა, თავის შესაძლებლობებშიც დაარწმუნა და ისიც სავსებით შესაძლებელია, ცოტა ხანში პროფესიულ რინგზე ისახელოს თავი.

აი, ასეთი მომავალი აქვს მამუკა წიკლაურს, რომელიც „სარბიელის" სტუმარია და კონტრაქტისა არ იყოს, პირველი ექსკლუზიური ინტერვიუც პროფესიონალის სტატუსით ჩვენვე მოგვცა.



მამუკა წიკლაურმა (მარჯვნივ) პირველ ოფიციალურ მატჩში ბელგიელი თურქი ჰამიდ რაჰილი გალახა

— ადრეც ვკრივობდი, ოღონდ როგორც მოყვარული — ამბობს მამუკა წიკლაური, რომელიც თავის დროზე თურმე საბჭოთა კავშირის თანატოლთა ნაკრების კაპიტანიც ყოფილა — პატარა ამბავი არ იყო, ნაკრების მწვრთნელის შვილიშვილიც ჩემს წონაში ჩხუბობდა, მაგრამ კაპიტნობა მე მერგო. მრავალ ტურნირსა თუ ჩემპიონატში გამიმარჯვია. სახელიან მოკრივეებსაც გავჯიბრებივარ, 1989 წელს კი გადავწყვიტე, სპორტისთვის თავი დამენებებინა, თანაც მწვრთნელებთან ურთიერთობაც დამეძაბა. ხუთი წლის განმავლობაში ისე, სხვათა შორის თუ წავივარჯიშებდი ხოლმე. 94-ში ხელის ტრავმა მივიღე, ორი თითი დავკარგე. ამ დროისთვის ჩაფიქრებული მქონდა, კრივს დავბრუნებოდი, მაგრამ მოყვარულებში უთითო სპორტსმენს არ მაჩხუბებდნენ, მეც გადავწყვიტე დამემტკიცებინა, რომ რვა თითითაც შეიძლებოდა კრივი, გუდა-ნაბადი ავიკარი და ჰოლანდიაში გავემგზავრე პროფესიონალებთან გაჯიბრება ვცადე. ჩასვლისთანავე ებრაელებთან მომიწია ურთიერთობამ, ერთი თვე ვივარჯიშე და იქაურებმა კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს. დავყაბულდი. ისევ თბილისში დავბრუნდი. აქ ვემზადებოდი, გამოძახებისთანავე კი ჰოლანდიაში მივფრინავდი საჩხუბრად. მერე ევროპელებმა მითხრეს, ჩვენთან ივარჯიშე, საქართველოში ნულარ დაბრუნდებიო. არ მესიამოვნა. ცოტაც მოვითმინე. ამასობაში ეს კლუბიც გაკოტრდა, უფროსობამ თქვა — თქვენს თავს თავადვე მიხედეთო. ავდექი და ჩემი მონაცემები ინგლისში, ჯო ლუისის კლუბში გავგზავნე. მიწვევა მივიღე, ჩამოდი, შეგხედავთო. მეტი რა მინდოდა, კუნძულს მივაშურე, თანაც გიო ქინქლაძეს დავუკავშირდი, რომელსაც ადრეც ვიცნობდი, დიღმის ბაზაზე ვვარჯიშობდი ხოლმე. მოკლედ, მანჩესტერში ჩავედი. გიოს ყოფილი თანაგუნდელი ნიკ სამერბი კი მენეჯერისა და მოქმედი სპორტსმენის სტივ ფოსტერის ახლო მეგობარი გამოდგა. ესენი ჩემზე ელაპარაკნენ, შემახვედრეს. ფოსტერმა, ერთი იჩხუბეო, მითხრა, ამას საშობაო ტურნირში მონაწილეობაც დაერთო, მერე ჰოლანდიელებს ჩემი საბუთები სთხოვა...

— შენც იჩხუბე და ფოსტერს მოეწონე. კონტრაქტის გაფორმებაც შემოგთავაზა. ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ პროფესიონალი მოკრივის სტატუსისთვის ხომ ლიცენზიაც საჭიროა?

— თავიდან შევშფოთდი. კონტრაქტს მეუღლე მითარგმნიდა. ვუთხარი, ახლა თავიდან მომიწევს ლიცენზიისთვის ბრძოლა-მეთქი. კონტრაქტში კი ეწერა, ლიცენზირებული პროფესიონალი მოკრივე ხარო. ძალიან გამიხარდა და შევთანხმდით. აი, ჩემი ხელმოწერილი საბუთები, ახლა ინგლისში უნდა გავგზავნო, საიდანაც მიწვევას გამომიგზავნიან. ამის შემდეგ საქმესაც შევუდგები.

— პირველობას თავისი ნაკლიც აქვს — გამოუცდელობა. უნაკლო კონტრაქტია?

— ყოველ შემთხვევაში, მე მაკმაყოფილებს. უბრალო შედარებას მოვიყვან. ჰოლანდიაში მენეჯერები შემოსავლიდან 33 პროცენტს მთხოვდნენ. ვარჯიშის, დასვენების, გზისა და სხვა ხარჯებიც ჩემს კისერზე იყო, აქ კი ფოსტერი 25 პროცენტზეა ყაბულს, თანაც ყველაფერი მისი გასაკეთებელია. საბჭოეთის დროს 300 მანეთი ხელფასი და 140 პრემია მქონდა. სხვა ჩემთვის არაფერი არსებობდა, არადა, დღე და ღამე არ ვიცოდი, რა იყო. ჰოლანდიაშიც ასე მოხდა. ჩემს შრომას, ოფლისღვრას ისინი ხელის მოსათბობად იყენებდნენ. სხვათა შორის, ეს კონტრაქტი ბევრს ვაჩვენე, ყოჩაღ, ძალიან კარგი პირობებიაო, გამოცდილმა ხალხმა მითხრა. ამას ერთი, გაგზავნაღა აკლია.

— სხვა არაფერი?

— არა, ხომ გითხარი, მიიღებენ და ბრიტანეთის საელჩოში მიწვევასაც გამომიგზავნიან. სამედიცინო შემოწმებას ადგილზე გავივლი.

— ეგ როგორ?

— ჩვეულებრივად. საგანგაშო არაფერია, აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ. გამორიცხულია, მოთხოვნები ვერ დავაკმაყოფილო.

— ბოდიში, მაგრამ თითები?

— თითნაკლულს მხოლოდ მოყვარულებში ჩხუბი არ შემეძლო. პროფესიონალებში კი ნებადართულია. თანაც არანაირად აღარ მაწუხებს. არადა, იყო დრო, ვარჯიშებისგან და დიდი დატვირთვებისგან ნაკერები მეხსნებოდა. პირველ არაოფიციალურ ჩხუბშიც ასე დამემართა. ჰოლანდიაში ევროპის ყოფილ პრიზიორ ჰანს იონსენს დავუპირისპირდი. სწორედ მაშინ ამტკივდა ხელი და ნოკაუტით წავაგე. თუმცა შემდეგ შური ვიძიე, კარგად მოვუგე.

— ხემოთ თქვი, დიღმის ბაზაზე ვვარჯიშობდიო, კრივის დარბაზი ვერსად იპოვე?

— „დინამოს" ბაზაზე დავუახლოვდი გიო ქინქლაძეს, იქამდე კი თბილისური კლუბის დირექტორატის წევრმა ლერი სულაბერიძემ მიმიყვანა. დიდ ყურადღებას მაქცევდნენ, შეკრებებზეც მათთან ერთად დავდიოდი და ფიზიკურად ვემზადებოდი. უდიდესი მადლობა იური სტადუხინს, კაცი ვარო, მან უნდა თქვას. როცა ტრავმა ახალმიღებული მქონდა, წამლის ორ დოზას მიკეთებდნენ გასაყუჩებლად და განგრენის საწინააღმდეგოდ, ამ კაცმა კიდეს თუ რამეს წარმოვადგენ, 99 პროცენტი მაი იურას დამსახურებაა. საერთოდ, „დინამო" და სახელმწიფო უნივერსიტეტი ცალკე საუბრის თემაა. ესენი მეხმარებოდნენ, თორემ...

— რა თორემ?

— ვერ წარმოიდგენ, რა გაჭირვება გამოვიარე. ყურადღებას კაციშვილი არ მაქცევდა, ამათი და ვერელების გარდა. მამაჩემი ლოგინად არის ჩავარდნილი, ჩერნობილში მუშაობდა, მე თითები დავკარგე. ჩემი ამბავი არავის ანაღვლებდა. ესენი კი, რითაც შეეძლოთ, მეხმარებოდნენ. მერე, როცა გაიგეს, ინგლისში წავედი, დიდ კრივს მივუახლოვდი, თბილისში დაბრუნებისას სახლთან რიგი დამხვდა — არიქა, შენი ჭირიმე, გავიგეთ, ინგლისის ჩემპიონობა ხუთასი ათასი გირვანქა ღირს, იქნებ დაგვეხმარო, ფული გვაჩუქო ან გვასესხოო. როგორია? თოთხმეტ წლამდე რვა კვადრატული მეტრი მქონდა საცხოვრებელი ფართი. ასეთ პირობებში გავიზარდე, მაგრამ შრომა მიყვარდა, არაფერი დამზარებია. ის ორი თითი ახლაც სპირტიან ჭურჭელში მიდევს.



მამუკა წიკლაური იური სტადუხინის უსაზღვროდ მადლიერია

— ვიკმაროთ, უსიამოვნო თემაა ახლა ეგ მითხარი, სულ, როგორც პროფესიონალს, რამდენი ოფიციალური ბრძოლა მოგიგია?

— ხუთი ორთაბრძოლიდან სამი. სამივე ქულებით.

— როგორც მოყვარულს?

— 102 ჩხუბიდან 78-ში ვიმარჯვე. მაშინ ერთად ვიყავით ფალიანი, გვასალია, სხვები...

— პროფესიონალებში საქართველოს სახელით გამოხვალ?

— რა თქმა უნდა, ქართველი ვარ და სხვაგვარად შეიძლება? მხოლოდ ის მიგნიშნება, რომ ინგლისური კლუბის წევრი ვარ. მოქალაქეობის გამოცვლა ჰოლანდიაშიც შემეძლო, მაგრამ როგორ შევხედო აქაურებს? იმ დავით ქავთარაძესა და ნოდარ ქიქავას, ჩემს გასაზრდელად კიროვის პარკში ლამის ყოველდღე რომ მოდიოდნენ.

— გამოდის, ქართველმა, შესაძლოა, პროფესიულ რინგზე გვასახელოს. ამერიკის რინგზე როდის გიხილავთ?

— ვნახოთ. იქამდე შორი გზაა. ჯერ პირველი ლიგის ბარიერი მაქვს დასაძლევი, მენეჯერმა შესაფერისი მეტოქეები უნდა შემირჩიოს. ალბათ, ხუთი მოკრივის დამარცხება მომიწევს, ინგლისის ჩემპიონობისთვის რიგში რომ ჩავდგე. თუმცა ეს პირობითია — ჩემი ახლანდელი კლუბი საკმაოდ პრივილეგირებულია ინგლისური კრივის სამყაროში და ლიგაში გამარჯვების შემთხვევაში, ალბათ, ბევრი ლოდინი აღარ დამჭირდება ჩემპიონთან საჩხუბრად. ღმერთმა ინებოს და, თუ ინგლისშიც ვიმარჯვე, მერე უკვე ამერიკაზეც ვიფიქრებ, მსოფლიოს ჩემპიონთან ბრძოლა ხომ ყველა მოკრივის სურვილია. თუმცა, იქამდე მენეჯერმა ევებ ევროპის ჩემპიონთანაც დამაპირისპიროს.

— იმედი გაქვს?

— უიმედოდ მტერი იყოს. აბა, პერსპექტივა რომ არ მქონოდა, მენეჯერი კონტრაქტს გამიფორმებდა? ჩემი წარმატებით ხომ ისიც დაინტერესებულია. ისე, ამერიკაში მოხვედრაზე ფიქრი ადრეც შემეძლო. მენეჯერისთვის მონაცემების დროულად მიწოდების შემთხვევაში ახლა ვინ იცის, როგორ და სად ვიქნებოდი.

— ბრიტანეთში უკვე ავტორიტეტიც გექნება. სხვა ქართველების პროფესიონალთა მარაქაში გარევა შეგიძლია?

— ახლავე შემიძლია ხუთი მოკრივე ჰოლანდიაში წავიყვანო და იქაურ მენეჯერებს შევახვედრო. თან დარწმუნებული ვარ, კარგ პირობებს შესთავაზებენ. იმისაც მჯერა, რომ კობა გოგოლაძე ან მისი დარი მოკრივე ინგლისში ძვირად ფასობს. ხელმოწერილ კონტრაქტში შეხაძლოა მილიონ გირვანქამდე გადაუხადონ. გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეს მსოფლიოს ჩემპიონობის გაცილებით მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მე. მათი ძალა იქ კარგად უწყიან, შედეგებსაც მიაღწიეს და ხალხიც აალაპარაკეს. პირველი სამწლიანი კონტრაქტი მე გავაფორმე. ახლა სხვათა ჯერია. თუ გაპროფესიონალდებიან, ძალიან კარგს იზამენ. ჩემი კარიერის დასასრულს ბევრი აღარ უკლია.

— ახლა გიო ქინქლაძეზეც თქვი.

—ოო, გიომ ისეთი დახმარება გამიწია, მეტი არ შეიძლება. ჩემდამი გამოჩენილი სიკეთე მას ბუმერანგივით უკანვე დაუბრუნდება. გიოს გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა. მასთან ვცხოვრობდი და სულ ყურადღებას მაქცევდა. ინგლისისნაირ კონსერვატულ ქვეყანაში ცხოვრება ისე გამიჭირდა, ლამის უკან გამოვბრუნდი, მაგრამ გიომ ყველა საკითხი მომიგვარა. წარმოიდგინე, დილას მის ვარჯიშს ვუცქერდი, დაღლილ-დაქანცული, მშიერ-მწყურვალი მერე მე წამომყვებოდა, ჩემს ვარჯიშს უყურებდა, მამხნევებდა, სტიმულს მაძლევდა, გვიან საღამოს კი ერთად დავნაყრდებოდით ხოლმე. მსგავსი არაფერი მსმენია და მინახავს. სტადიონიდან ხშირად მობილური ტელეფონით თბილისში ვრეკავდი და მოსაუბრეს ვასმენინებდი, თუ როგორ ყვიროდა ათასობით ქომაგი: გიო, გიო, გიო! კუთხურს როცა აწვდიდა, არ დამიჯერებთ, მაყურებლები სარეკლამო ფარებთან ჩამორბოდნენ, ხელის მოკიდებას ლამობდნენ, ხოლო გოლზე საერთოდ ჭკუაზე აღარ იყვნენ. ახლახან ტელეფონით ველაპარაკე, სხვა გუნდში გადასვლაზე არაფერი მიკითხავს, არც თავად უთქვამს. არ სიამოვნებს, როცა ახალი ტრანსფერის შესახებაა საუბარი. ახლა პრობლემები აქვს იმ ავარიის გამო, თუმცა დიდი არაფერი. გიოს რომ გაუჭირდეს, მანჩესტერში ფეხით ჩავალ...

— ინგლისში ისეც ჩახვალ, მაგრამ როცა თბილისში დაბრუნდები, რას აპირებ? გავიგე, კლუბის ჩამოყალიბება უნდაო.

— მართალია, პროფესიონალ მოკრივეთა ასოციაციის შექმნა მსურს. უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგესთან, ბატონ ოთარ მიმინოშვილთან უკვე შეთანხმებული ვარ. თითქმის მოგვარებულიცაა ყველაფერი, საბუთებიღაა გასაფორმებელი. ეს საქმე გამოვიდეს და მერე პროფესიონალ მოკრივეებსაც მრავლად ჩამოვიყვან თბილისში საჩხუბრად. ყველაფერს ჩემით გავაკეთებ, ზოგიერთების დახმარება აღარ დამჭირდება. იცი, რამდენიმე ხნის წინ ფრანგი, ჰოლანდიელი და ბელგიელი პროფები შევიგულე წამოდით თბილისში, სპორტის სასახლეში თქვენთან ერთად მეც გამოვალ რინგზე-მეთქი. ყაბულს იყვნენ, შეთანხმებაზე ხელიც მოაწერეს, მერიაში მისვლას ვაპირებდი, 26 მაისის საღამოს პროფესიონალ მოკრივეთა შეჯიბრებას ვგეგმავთ, მოზეიმე ხალხი სასახლეში დაპატიჟეთ-მეთქი, უნდა მეთხოვა. მოულოდნელად კი ერთერთმა მწვრთნელმა, რომელსაც ჩვენი ბიჭების გაწვრთნა ევალებოდა, საქმე ჩაშალა, აქაოდა, 26-ში მარტო ჩვენებმა იჩხუბონო. რას გვერჩოდა, ახლაც არ ვიცი.

— პირველად ოფიციალურად ვისთან იჩხუბე?

— ჰოლანდიაში, ბელგიელი თურქი ჰამიდ რაჰილი ვცემე. უსეკუნდანტოდ ვიბრძოდი, მერე ინგლისშიც ასე იყო. სულ მარტო ვიყავი, ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა. ახლა კი, ალბათ, სტივ ფოსტერი დამეხმარება.

**კობა ინასარიძე**

ძიუდო

# ქართული ლეგიონის ამბები

შარშან ორმა ჩვენებურმა ძიუდოისტმა ივერი ჯიქურაულმა და გიორგი წმინდაშვილმა თურქეთის კლუბ „ისთანბულთან" კონტრაქტები გააფორმეს და იმ ქართველ ფეხბურთელ-კალათბურთელებს შეუერთდნენ, ევროპის საკლუბო ტურნირებზე რომ ასპარეზობენ. ძიუდოში ევროპის საკლუბო თასი აპრილში იწყება. „ისთანბულს" პირველი შეხვედრა 25 აპრილს აქვს ავსტრიაში, იქაურ „პინცგაუსთან". რაკი თბილისის „შევარდენი" წლეულს ამ გათამაშებაში არ მონაწილეობს, ძალაუნებურად „ისთანბულს" უნდა ვუქომაგოთ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კლუბში წმინდაშვილისა და ჯიქურაულის გარდა სხვა მაღალი დონის ოსტატებიც გამოდიან (უზნაძე, ოზქანი, თათაროღლუ), სავარაუდოა, რომ „ისთანბული" ავსტრიელებს მოუგებს და შემდეგ წრეში უმასპინძლებს გერმანიის „ფრანკფურტ ოდერს", არცთუ ხელწამოსაკრავ გუნდს. „ისთანბულის" ქვეჯგუფი ყველაზე ძლიერია, ამათ გარდა აქ ასპარეზობენ ჰოლანდიის „კენამჯუ" (ჰუზინგა, სონემანსი, ვან დერ გეესტი) და შარშან „შევარდენის" მიერ ძლეული საფრანგეთის „ბულონი". საერთოდ კი, ევროპის საკლუბო თასის წლევანდელ გათამაშებაში 30 გუნდი მონაწილეობს.

ამასობაში, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას დაუკავშირდა შარშან ასევე „შევარდენთან" დამარცხებული ხორვატიის „დუბროვაჩკა ბანკას" ხელმძღვანელობა და თავიანთ რიგებში გიორგი რევაზიშვილის გამოყვანის სურვილი გამოთქვა. ხორვატებს პირველი შეხვედრა შინ, დუბროვნიკში 23 მაისს აქვთ, ისინი იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრებს — „კარაბინიერის" ხვდებიან. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება რევაზიშვილის თაობაზე და, სავარაუდოდ, უახლოეს ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

# ჩვენც ელიტაში ვართ

თბილისის ძიუდოისტთა ტურნირს უმაღლესი კატეგორია ჯერ კიდევ შარშან მიენიჭა, ოღონდ თარიღის ამბავი იყო გასარკვევი — ძიუდოს გადატვირთულ კალენდარში „ფანჯარის" გამონახვა, ცოტა არ იყოს, ჭირდა. ყველაფერი ევროპის ძიუდოს კავშირისა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის კონსულტაციებმა გადაწყვიტა. ევროძიუდოს მმართველებს რეკომენდაცია მოუციათ (რაც პრაქტიკულად, მითითების ტოლფასი ყოფილა), თბილისის 26-ე საერთაშორისო ტურნირი 31 ოქტომბერ — 1 ნოემბერს გამართეთო. ჩვენებიც დაყაბულდნენ და ახლა ეს შეჯიბრება საერთაშორისო კალენდარშია შეტანილი. საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ 50 ქვეყანას გაუგზავნა მოწვევა, წინასწარი საუბრებიდან, ჩამოსვლის მსურველი ბევრია. თუ ვინ დაგვდებს პატივს სტუმრობით, ეს კონკრეტულად შემოდგომაზე გაირკვევა, მანამდე კი ბევრი სამუშაოა — ძიუდოში „ა" კატეგორიის ტურნირის ორგანიზება სპორტის ზოგიერთ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე რთულია.

# ვინ შეაჩერებს ნასტულას?

ეს კითხვა უკვე მეხუთე წელიწადია აწუხებს მსოფლიო ძიუდოს. 1993 წელს კორეის საერთაშორისო ტურნირზე მარცხის შემდეგ შესანიშნავი პოლონელის, ყველაფრის ჩემპიონის პაველ ნასტულას წამქცევი ჯერ არ გამოჩენილა. წინა შაბათ-კვირას ვარშავაში მოეწყო „ა" კატეგორიის ტურნირი. ბევრი კარგი ძიუდოისტი ჩავიდა 100 კგ-ში საასპარეზოდ. მაგრამ ნასტულა მაგრად დაუხვდათ და სულ თამაშ-თამაშ მოიპოვა მორიგი ტიტული, რითაც წაუგებელი სერია გააგრძელა. პოლონელის მეტოქეებს მისი დამარცხების შემდეგი შანსი ევროპის ჩემპიონატზე მიეცემათ. თუმცა, ცხადია, არც ნასტულა იქნება გულხელდაკრეფილი. იქნებ გამოჩნდეს ვინმე, ვინც მას მოუგებს და ამით ისტორიაში შევა? ღმერთმა ქნას, ეს ივერი ჯიქურაულმა მოახერხოს.

ჭადრაკი

# არდადეგებზე არ უცელქიათ

სასკოლო არდადეგების დღეებში ყოველთა ქართველთა კონგრესის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო კლუბმა „ჩირაღდანმა" (დირექტორი ვასილ ვაშაკიძე) მოსწავლეთა დიდი საჭადრაკო ტურნირი გამართა. საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელსაც „პირველი წარმატება" ეწოდა, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები 43 ბავშვი მონაწილეობდა. პირველი ადგილი 9-დან 8,5 ქულით დათო ჩოკოშვილმა (53-ე სკოლა) დაიკავა, მეორეზე 8 ქულით ლევან ბერძენიშვილი (საავტორო სკოლა „ბალავარი") გავიდა. გამარჯვებულთა მწვრთნელი ირაკლი ჩაჩუა გახლავთ. მესამე ბათუმელი უჩა დუაძე იყო — 6,5 ქულა. ბავშვებმა ტურნირის ორგანიზატორებისაგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს და, ალბათ, ამ არდადეგებსაც მუდამ ხალისით გაიხსენებენ.

**გია აგლაძე**

# ხვალ მესამე რაუნდია

დასაწყისი პირველ გვერდზე

გუნდების წარდგენისას მატჩის წამყვანმა, კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მოთამაშეთა და გულშემატკივართა სახელით დაბადების დღე მიულოცა სდასუ-ს მოთამაშეს ვასილ ოთიურიძეს, რომელსაც 22 წელი შეუსრულდა. სწორედ ვასიკოს ჩინებულმა თამაშმა განაპირობა მნიშვნელოვანწილად სდასუ-ს გამარჯვება. შეხვედრა მართლაც შესანიშნავი გამოდგა. მართალია, პირველ მატჩსაც არ აკლდა დაძაბულობა, მაგრამ იქ გუნდები უფრო ქაოსურად მოქმედებდნენ. ახლა კი ორივე მეტოქემ უფრო გააზრებული თამაში აჩვენა.

ანგარიში წოწელიამ გახსნა, რასაც იქვე უპასუხა ჩერქეზიშვილმა. გუნდები ყურადღებით თამაშობდნენ დაცვაში. ცხვედიანი და სანაძე ტრადიციულად მეურვეობდნენ ერთმანეთს, ჩხეიძე ჟღენტს ეთამაშებოდა, ხოლო სდასუ-ს შეტევისას ჟღენტი ჩერქეზიშვილს იჭერდა. მოკლედ, მეტოქენი ერთმანეთს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ და ამის გამო მეშვიდე წუთისთვის ანგარიში ძალიან მცირე იყო 5:5. ექვს წუთში მეტოქეებმა მხოლოდ ორ-ორი შედეგიანი შეტევა განახორციელეს (თითო სამქულიანი). სდასუ-მ ოთიურიძის წყალობით მოახერხა დაწინაურება, მაგრამ მაშინვე სამქულიანით უპასუხა ჟღენტმა, შემდეგ ბაბიშვილმაც წაამატა და თსუ-მ ლიდერობა იგდო ხელთ. ჟღენტმა აქვე კალათის ალებით დაამთავრა გარღვევა, მაგრამ შეტევაში მესამე პერსონალური მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ათ წუთში თსუ-ელები შვიდჯერ დაჯარიმდნენ შეტევაში და ჟღენტის გარდა კიდევ ერთ წამყვან მოთამაშეს, ბაბიაშვილს წაუვიდა საქმე ცუდად — მასაც სამი პერსონალური ჰქონდა. ნოდარ ქორქიამ ჟღენტის ნაცვლად ნიკოლაძე შემოიყვანა. თსუ ერთხანს ინარჩუნებდა ხუთქულიან სხვაობას, მაგრამ ოთიურიძის სამქულიანით სდასუ-მ ანგარიში გაათანაბრა. აქვე სდასუელმა ნაცვლიშვილმა, რომელიც კარგად ხსნიდა ბურთებს, საკუთარ ფართან მიიღო მეოთხე პერსონალური და სდასუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა დაასვენა.

ჟღენტი დაუბრუნდა მოედანს და მისი სამქულიანით თსუ-მ ამ მატჩში ყველაზე დიდ სხვაობას მიაღწია 21:15, მაგრამ ჩერქეზიშვილის და მგალობლიშვილის წყალობით ეს სხვაობა მალე გაცამტვერდა. რამდენიმე ხანში სანაძემ დააწინაურა თავისიანები და ამ მომენტიდან ტაიმის ბოლომდე უკვე მათ იტვირთეს ლიდერობა. თუმცა ჟღენტის ნეიტრალიზება სდასუ-ს მაინც უჭირს, ტაიმის ბოლოს ოთიურიძისა და მგალობლიშვილის ზუსტმა ტყორცნებმა მას ტაიმი სამი ქულით მოაგებინა 40:37.

მეორე ნახევარი ცხვედიანის გარღვევით დაიწყო (შალვას პირველ ნახევარში ქულა არ აუღია). იქვე ხელაშვილმაც ზუსტად ისროლა ორი საჯარიმო და წინ თსუ-ა. თუს წოწელიას და ცხვედიანი ზუსტი ტყორცნებით ცოტა ხანს ინარჩუნებს ლიდერობას, მაგრამ ოთიურიძე თავის დაბადების დღეს ღირსეულად აღნიშნავს და მეორე ტაიმის მეცხრე წუთისთვის ანგარიში კვლავ თანაბარია, 50:50. რამდენიმე ორმხრივი შედეგიანი შეტევის შემდეგ თანაფარდობა არ დაირღვა 58:58. აქტიურად ამოქმედდა ცხვედიანი და ორჯერ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ ორჯერვე აბულაძემ სამქულიანით გააქარწყლა თსუ-ს უპირატესობა. მატჩის დასასრულამდე 4,14 წუთით ადრე ანგარიში კვლავ თანაბარია 68:68. აქ სანაძემ, რომელსაც იმ დღეს შორეული ტყორცნები არ წაუვიდა, გარღვევით სცადა თავისი გუნდის დაწინაურება და შედეგიანადაც. თსუელები ანერვიულდნენ და ხელაშვილმა, ცხვედიანმა და ჟღენტმა ექვსი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს, რის გამოც სდასუ-მ ოთხი ქულით ჩამოიტოვა მეტოქე 76:72. ჟღენტი ამცირებს სხვაობას, მგალობლიშვილი ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ აგდებს და ბაბიაშვილი ამ მატჩში უკვე მერამდენედ ათანაბრებს ანგარიშს 76:76(!). მატჩის დასასრულამდე 34 წამია და მგალობლიშვილი შესანიშნავად ასწორებს თავის შეცდომას: უძნელესი მდგომარეობიდან ათავსებს ბურთს კალათში. მალე ორ საჯარიმოსაც ასრულებს ზუსტად და 24 წამით ადრე თსუ 4 ქულითაა წინ. ნიკოლაძე ერთ საჯარიმოს აგდებს, რაზეც ჩერქეზიშვილი ორი ზუსტი საჯარიმოთი პასუხობს 82:77 17 წამილა რჩება. მაგრამ ჟღენტი არ ისვენებს — სამქულიანს აგდებს და სხვაობა ისევ ორი ქულაა. ჩერქეზიშვილი კიდევ ერთი ქულით ზრდის სხვაობას საჯარიმოდან და სდასუ-ელები ზუსტი სამქულიანის შიშით სწრაფად ჯარიმდებიან. ნიკოლაძე ერთ საჯარიმოს ათავსებს კალათში, მეორეს კი განგებ აცდენს იმ იმედით, რომ მას ბაბიაშვილი დაამატებს, მაგრამ მსაჯი წესის დარღვევას აღნიშნავს და სდასუ სერიაში ანგარიშს ათანაბრებს 83:81.

29 მარტს, კვირას, 15 სთ-ზე ეს გუნდები მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს.



ნიკო ჩერქეზიშვილი მეტოქეთა გარემოცვაში

# აზოტი მეტოქეს ელის

26 მარტი

**დინამო — შევარდენი 20:0**

**(შევარდენს დამარცხება ჩაეთვალა)**

ამ ორი გუნდის ბედი გათამაშებაში ბეწვზე ეკიდა, რადგან ფედერაცია ვალის გადაუხდელობისთვის პირველობიდან მოხსნით ემუქრებოდა. დინამოელებმა მაინც მოახერხეს თანხის გამოძებნა, შევარდენელებმა კი ვერა, ამიტომ „დინამო“ სერიაში უბრძოლველად დაწინაურდა.

**ვითა — ასკ 103:73 (56:34)**

**ვითა: ტურაშვილი (5), დავითულიანი (8), კოკოლიშვილი (26), ჩუბინიძე (15), მაჭარაძე (4); ვაშაკიძე (2), ტულუში (2), ბახტაძე (3), ლოსაბერიძე (19), მიქაძე (6), ორმოცაძე (4), აბრამიძე (9)**

**ასკ: დ. მოისწრაფიშვილი (7), ჭყონია (11), ქართველიშვილი (3), თაბუაშვილი (4), მინაშვილი (16); მჭედლიშვილი (2), აკულაშვილი (12), გაგნიძე, პაპასკირი (9), ა. მოისწრაფიშვილი (6), ნუცუბიძე (3)**

**მსაჯები: მაჩალაძე, ბერეკაშვილი**

არმიელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის ნახევარი გაუძლეს ჩემპიონს. ვითელთა ძლიერ გუნდს დაუბრუნდა მამუკა ტურაშვილი და ჩემპიონი, ალბათ, ბოლომდე იბრძოლებს ტიტულის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება ამ შეხვედრას, არმიელებმა ლაღად დაიწყეს თამაში, რადგან მათ ჩემპიონთან მოგებას არავინ სთხოვდა. ამიტომ „ვითას“ კარგა ხანს მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ და რამდენჯერმე წინაც იყვნენ. მეათე წუთზე პაპასკირის სამქულიანით ასკ ამ მატჩში უკანასკნელად დაწინაურდა. ვითელებმა პრესინგს მიმართეს და სულ რაღაც 35 წამში რვა ქულა აიღეს. ფაქტობრივად, მატჩში ინტრიგა ამის შემდეგ აღარც ყოფილა. არმიელები საკმაოდ კარგად ირჯებიან თავდასხმაში, მაგრამ მათ დაცვაში თამაშის გაუმჯობესება სჭირდებათ, რათა მომავალში ჩვენი კალათბურთის ლიდერებთან მეტოქეობა შეძლონ. ვითელები კი, თუ ამ მატჩით ვიმსჯელებთ, სულ უფრო უმატებენ. ნელნელა იბრუნებს ფორმას ნუგზარ კოკოლიშვილი, ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ კარგად ითამაშა ლაშა ლოსაბერიძემაც. მოკლედ, ჩემპიონმა ადვილად მოიგო პირველი მეოთხედფინალური მატჩი.

27 მარტი

**აზოტი — მაკაბი 125:96 (70:45)**

**აზოტი: გაბისონია, წიკლაური (11), გოგობერიშვილი (14), ბოისა (24), ჯაფარიძე (33); ხაიაური, ბერუაშვილი (17), კოჭლამაზაშვილი (2), კეჭაყმაძე (4), ჯიმშელეიშვილი (13), ჩაჩუა (5), გოგოლაძე (2)**

**მაკაბი: ანდღულაძე (24), ტალაბაძე (23), შველიძე (1), ფერიაშვილი (15), ახალკაცი (33); რიბაშვილი**

**მსაჯები: თოიძე, ბერეკაშვილი**

რა უნდა გაეწყო „მაკაბის“ ისედაც 6-კაციან გუნდს, რომელსაც ორი წამყვანი მოთამაშე (ხუხაშვილი და იაშვილი) აკლდა, ჩემპიონატის აღიარებულ ფავორიტთან? „აზოტს“ ხომ ლამის სამი ხუთეულით შეუძლია თამაში, ამის შესაძლებლობა რომ იყოს. რა თქმა უნდა, ვერაფერი. „მაკაბიმ“ პირველი შეხვედრა, როცა მოედანზე იაშვილიც იყო, ვაჟკაცურად ჩაატარა. აქ კი რუსთაველებმა თავიდანვე იგდეს მატჩის სადავეები ხელთ და უკვე პირველი ტაიმი 25 ქულით მოიგეს.

მეორეში დამშვიდებულმა რუსთაველებმა ერთხანს მეტოქეს ათქულიანი სხვაობით შემცირების საშუალება მისცეს, მაგრამ მერე გუნდის ლიდერებმა — ჯაფარიძემ და გოგობერიშვილმა ზედიზედ ისროლეს სამქულიანები და მატჩის საკალათბურთო სანახაობად იქცა: მაყურებელმა ჯაფარიძისა და ახალკაცის ლამაზი ჩატენვები, გოგობერიშვილისა და ბოისას შორეული ტყორცნები იხილა, მალხაზ ანდღულაძემ კი საერთოდ ფანტასტიური ბურთი ჩააგდო. მოკლედ, რუსთავის „აზოტი“ ძალების დაუძაბავად გავიდა ნახევარფინალში და იქ თსუ — სდასუ-ს შორის გამარჯვებულს დაელოდება.

**ბია აბლაძე**

**ევროლიგა. მეოთხედფინალი**

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — ალბა (ბერლინი, გერმანია) 88:68, 82:58; პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 87:72, 52:77; ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) 67:57, 58:59; კინდერი (ბოლონია, იტალია) — ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) 64:52, 58:56

ათენის აეკმა და ბოლონიის კინდერმა გაიმარჯვეს სერიაში და ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. პარტიზანი — ცსკა და ბენეტონი — ეფეს პილზენი მესამე დამატებით მატჩს გამართავენ 2 აპრილს პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე.

**ევროთასი. ნახევარფინალი**

პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 77:58

*საპასუხო მატჩი მილანში 1 აპრილს*

ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) 96:74

*საპასუხო მატჩი სარატოვში 31 მარტს*

**რადივოჯ კორაჩის თასი**

მარკეტი (რომი, იტალია) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 68:74

*საპასუხო მატჩი ბელგრადში 1 აპრილს*

რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი ხასიათზე შერ არმს

25 მარტი

**კლიპერსი 76:77 ნიუ იორკი**

**კლიპერსი: ოსტინი (15+11 მოხსნა), რობინსონი (15)**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (22)**

გასულ სეზონში „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ სასწაულად გაძვრა პლეი ოფში და, მართალია, იუტამ პირველივე წრეში თავბედი აწყევლინა, მაგრამ ამ გუნდის მოხვედრა დასავლეთის რვა უძლიერესს შორის მაინც მიღწევა იყო. წლევანდელი სეზონი კლიპერსისთვის არცთუ სახარბიელო გამოდგა. გუნდმა ჯერჯერობით მხოლოდ 15 თამაში მოიგო და ახლა შეეძლო, კიდევ ერთი მიემატებინა, მაგრამ არ დასცალდა, უფრო სწორად, ნიუ იორკმა არ მისცა ამის საშუალება. მასპინძლები მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 74:64 იყვნენ წინ, როცა ნიუ იორკი გამოფხიზლდა და დარჩენილი დრო 11:2 მოიგო, ალან ჰიუსტონმა კი 8 წამით ადრე ორი გადამწყვეტი საჯარიმო ჩააგდო და მასპინძლებს ზედიზედ მეოთხე მარცხი აგემა.

**სიეტლი 133:109 ვაშინგტონი**

**სიეტლი: ბეიკერი (26), შრემპფი (21)**

**ვაშინგტონი: უიტნი (18), იკლესი (18)**

აქამდე ვაშინგტონს ზედიზედ 17 თამაში წაეგო სიეტლში და ახლა ამ სერიას ერთი მარცხიც შემატა. თამაში სიეტლის ოდნავი უპირატესობით დაიწყო და თანდათან ცალ ფარში გაჩაღდა, ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მესამე მეოთხედში, რომელიც მასპინძლებმა 38:22 მოიგეს. ამ დროს სიეტლის გერმანელმა დეტლეფ შრემპფმა 15 ქულა მიითვალა, მეოთხედის ბოლოს კი სხვაობამ 112:77 მიაღწია. მატჩის ბოლო მეოთხედში მასპინძელთა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა ძირითადი მოთამაშეები დაასვენა და ასპარეზი სათადარიგოებს დაუთმო, ამათაც თავი არ შეურცხვენიათ. განსაკუთრებით გაილაღა ჯერომ კერსიმ, ვინაც 10 სროლიდან 8 ჩააგდო და სეზონში ყველაზე მეტ — 18 ქულას გამოჰკრა ხელი.

**ფილადელფია 86:91 ნიუ ჯერსი**

**ფილადელფია: კოულმენი (24+17 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (31), კიტლზი (28)**

ნიუ ჯერსი პლეი ოფის ბოლო, მერვე ადგილს ედავება ვაშინგტონსა და ორლანდოს და ამათ, შესაძლოა, დეტროიტიც დაემატოს, რომელმაც ბოლო ხანებში თავისი თავი იპოვა და მატჩს მატჩზე იგებს. ფილადელფიას კი დასაკარგი არაფერი აქვს და თამაშიც ლაღი გაუჩაღა სტუმრებს, მაგრამ ეს პირველ ნახევარში. მეორეში ათამაშდნენ სტუმრები — ვან ჰორნი და კიტლზი და საკმაოდაც დააწინაურეს გუნდი. ფილადელფიამ ანგარიშის სამ ქულამდე შემცირება მატჩის ბოლოსლა მოახერხა, მაგრამ კენი კიტლზმა მასპინძლებს თავიანთი ადგილი მიუჩინა. ნიუ ჯერსიმ ისარგებლა დედაქალაქელების სიეტლთან წაფორხილებით და ამ მოგების შემდეგ გაუთანაბრდა მათ.

**ფინიქსი 97:99 მინესოტა**

**ფინიქსი: მენინგი (18+12 მოხსნა)**

**მინესოტა: პილერი (20), მარბერი (19+10 პასი)**

აღმოსავლეთის გუნდები კბილებით იბრძვიან პლეი ოფის საგზურებისთვის. აი, დასავლეთში კი თითქმის ყველა გუნდი გამოვლინდა, ერთის გარდა და ამ ვაკანტურ ადგილს, ალბათ, მინესოტა დაიჭერს, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა. იგი უახლოეს მდევარ საკრამენტოს 10 მოგებით უსწრებს, საკრამენტო კი ამდენი თამაშის მომგები არ ჩანს და არც მინესოტაა ყურებჩამოყრილი. ფინიქსთან გამარჯვებით სტუმრები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ თავიანთ მიზანს, თუმცა გვარიანი ჯაფა დაადგათ და 2,9 წამით ადრე ენტონი პილერის ორი საჯარიმოთი სძლიეს მეტოქეს.

**დენვერი 94:105 დალასი**

**დენვერი: ნიუმენი (20)**

**დალასი: ფინლი (22)**

**ინდიანა 81:86 ჰიუსტონი**

**ინდიანა: მილერი (16), მულინი (16)**

**ჰიუსტონი: უილისი (22)**

სტუმრებმა კვლავ მოისაკლისეს ბევრი ლიდერები — ჩარლზ ბარკლი და კლაიდ დრექსლერი. უამათოდ ჰიუსტონს თითქოს უნდა გასჭირვებოდა ინდიანასთან და პირველი ნახევარიც ოთხი ქულის სხვაობით დათმო, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბა და უილისისა და ოლაჯუონის (16 ქულა, 22 მოხსნა, 6 ჩაჭრა) ძალისხმევით ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი დაწინაურდა კიდეც. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სტუმრები 80:70 იგებდნენ, მაგრამ ინდიანამ ამ მონაკვეთში მეტოქე დაჯაბნა 11:2 და 50 წამით ადრე რეჯი მილერის სამქულიანმა 82:81 გახადა ჰიუსტონის სასარგებლოდ. აქ კი ხელი გამოიღო ოლაჯუონმა და ორქულიანი ჩააგდო, რასაც მილერისა და მულინის არაზუსტი სამქულიანები მოჰყვა. დამთავრებამდე ათიოდე წამით ადრე კი ჰიუსტონელმა მეტ მელოუნიმ ორი საჯარიმოთი დაასრულა თამაში. ამ მოგებით ჰიუსტონელმა „რაკეტებმა“ პლეი ოფი გაინაღდეს.

**ორლანდო 70:85 ჩიკაგო**

**ორლანდო: ანდერსონი (21)**

**ჩიკაგო: პიპენი (23), როდმანი (2+18 მოხსნა)**

„ორლანდო არენაზე“, შესაძლოა, ეს ბოლო მატჩი იყო მაიკლ ჯორდანისთვის და თავისი თამაშით ნამდვილად უკმაყოფილო უნდა დარჩენილიყო — მისთვის 17 ქულა უჩვეულოდ ცოტაა, მით უმეტეს, რომ 38 წუთი დაჰყო მოედანზე. თუმცა ხუთგზის ჩემპიონებს არ გასჭირვებიათ ორლანდოელი ჯადოქრების დამარცხება. ეს მათი ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება გახლდათ.

**დეტროიტი 103:94 სან ანტონიო**

**დეტროიტი: ჰილი (24+10 პასი + 7 მოხსნა), სტეკჰაუზი (22)**

**სან ანტონიო: რობინსონი (29), დანკანი (25+12 მოხსნა)**

**ბოსტონი 91:105 მაიამი**

**ბოსტონი: უოლკერი (29+11 მოხსნა), მერსერი (24)**

**მაიამი: მურნინგი (26), სტრიკლენდი (23+13 მოხსნა)**

26 მარტი

**პორტლენდი 108:102 ვანკუვერი**

**პორტლენდი: საბონისი (24)**

**ვანკუვერი: რივზი (31)**

ამ მოგებით პორტლენდმაც შეჰყო თავი პლეი ოფში.

**ტორონტო 96:97 კლივლენდი**

**ტორონტო: კრისტი (26+6 ჩაჭრა), კემბი (22+13 მოხსნა + 6 დაფარება)**

**კლივლენდი: კემპი (19), ილგაუსკასი (17+12 მოხსნა)**

**შარლოტი 94:80 მილუოკი**

**შარლოტი: რაისი (27), უესლი (21)**

**მილუოკი: ალენი (18), პერი (18)**

მილუოკიმ მასპინძლებთან ჩვეული შემართებით დაიწყო და დაწინაურებულიც დიდხანს იყო. მეოთხე მეოთხედში მათ სამქულიანი უპირატესობით შეაბიჯეს, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. უფრო სწორად, გლენ რაისმა არ აცალა. მან მეოთხედის დასაწყისში 8 ქულა გააკეთა, მისი შარლოტი კი 12:0 გაიქცა და საბოლოოდ იოლად გაიმარჯვა, ზედიზედ მეხუთედ.



შარლოტელი მეტ გეიგერი

**გოლდენ სტ. 98:91 სიეტლი**

**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (19)**

**სიეტლი: შრემპფი (23)**

ამ ბოლო ხანებში სიეტლს უჭირს სტუმრად თამაში. ეს მარცხი მისთვის გასვლაზე ზედიზედ მესამე იყო, ბოლო ექვს მატჩში კი — მეხუთე. შეიძლება ითქვას, გოლდენ სტეიტმა, წყნარი ოკეანის ბოლო გუნდმა, სენსაცია მოახდინა — დაამარცხა ამავე დივიზიონის მუდმივი ლიდერი. აღსანიშნავია ექსფილადელფიელების — ჯიმ ჯექსონისა და კლარენს უეზერსპუნის კარგი თამაში (14 ქულა, 13 მოხსნა). სწორედ მათი გარჯის წყალობით ფილადელფია მესამე მეოთხედში 6 ქულით დაწინაურდა. დარჩენილ დროში კი ეს სხვაობა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა.

**ირაკლი ფირაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# გრეცკის კარები მიუჯახუნეს

25 მარტი. რეინჯერსი — ოტავა 2:3, ტამპა — მონრეალი 1:2, ჩიკაგო — ანაჰაიმი 2:3, ედმონტონი — ვაშინგტონი 3:2.

26 მარტი. ბოსტონი — ფილადელფია 4:2, კაროლინა — რეინჯერსი 4:1, აილენდერსი — პიტსბურგი 4:3, ფლორიდა — მონრეალი 5:4, დეტროიტი — ანაჰაიმი 3:3, სენტ ლუისი — ტამპა 3:2, დალასი — ტორონტო 0:1, კოლორადო — ნიუ ჯერსი 0:2, კალგარი — ვაშინგტონი 3:2, ლოს ანჯელესი — სან ხოსე 2:5.





ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეინჯერსი და მისი უეინ გრეცკი პლეი ოფის მიღმა დარჩნენ. ორი დღის განმავლობაში ნიუიორკელები თავიანთ მთავარ კონკურენტებთან — ოტავასთან და კაროლინასთან დამარცხდნენ და მათ კატასტროფულად ჩამორჩნენ. რასაკვირველია, მთავარი ოტავასთან შეხვედრა გახლდათ, რომელშიც მეტად უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. თავიდან დაკელისა და გარდინერის შაიბების შემდეგ სტუმრები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ, როგორც ბოლო თამაშებში ხდება ხოლმე, მატჩის ხსნა კვლავ გრეცკიმ სცადა. ორი უზუსტესი პასი და ანგარიში უკვე საყაიმოა, ცოტაც და მეტოქის ძლევაც თითქოს უკვე შესაძლებელია, მაგრამ მასპინძლებმა შეტევებს რატომღაც სიფრთხილე ამჯობინეს და დაისაჯნენ კიდეც. მათი მცველი ბრაიან ლიჩი, რომლისთვისაც ბურკის, ჩელიოსისა და კოფის დაბერებას კოლეგათა შორის პირველობა უნდა მოეტანა, წლეულს თავის თავს არ ჰგავს. ლიჩი მთელი სეზონის განმავლობაში უხეშ შეცდომებს უშვებს, ამჯერადაც მეტოქის ზონაში შაიბა დაკარგა და ეს საბედისწერო გამოდგა გუნდისთვის. ამას სწრაფი კონტრიერიში მოჰყვა და მთავარმა „სენატორმა“ იაშინმა ოვერტაიმის მე-4 წუთზე გამარჯვების შაიბა გაიტანა. ცხადია, ნიუიორკელები ნირწამხდარნი ჩავიდნენ კაროლინაში, სადაც სანატრელ რვეულთან მიახლოებულმა მასპინძლებმა სეზონში სარეკორდოდ ბევრი მაყურებლის თვალწინ ერთობ მობილიზებულად ითამაშეს და პირველ პერიოდში გაშვებულ გოლს ტემპის მომატებით და ხკიიზედ ოთხი შეცდებული შაიბით უპასუხეს. აქედან ორი ონეილის (17) ანგარიშზეა, ხოლო დედლაინზე შეძენილმა ვეტერანმა შეპარდმა ერთი პასი გააჩერხა. გულგატეხილმა გრეცკიმ კი, რომელსაც ამ თამაშში 6-მატჩიანი შთამბეჭდავი სერია (2 გოლი და 10 პასი) შეუწყდა, შეხვედრის ბოლოს ვეღარ მოითმინა და მსაჯს შეეკამათა.

ვაშინგტონმა, რომლის მანამდე დაშავებულ რამდენიმე მოთამაშეს მთავარი სნაიპერი პეტერ ბონდრაც დაემატა, ზედიზედ ორი მატჩი ერთნაირი ანგარიშით 2:3 წააგო, თანაც ორჯერვე 2:0 იგებდა. მართალია, ბონდრას მუდმივმა პარტნიორმა ოუთსმა (2 მატჩში 2 გოლი და 1 პასი) მაინც გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ მისი ძალისხმევა საკმარისი არ გამოდგა. ედმონტონს რუსმა კოვალენკომ (1+1,6) მოაგებინა, ხოლო კალგარიში დედაქალაქელები ფორვარდმა უიმერმა გაანაწყენა, რომელიც ერთი დღით ადრე გადაიდა ტამპიდან.

ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება დედლაინზე კლუბგამოცვლილი ჰოკეისტებისკენ იყო მიპყრობილი. თუმცა მათ მაინცდამაინც არაფრით გამოუჩენიათ თავი. ერთადერთი ანაჰაიმელი ჩეხი იოზეფ მარჰა (კოლორადოდან გადავიდა) გახლდათ, პირველივე მატჩში დიდი წვლილი (1 გოლი და 1 პასი) რომ შეიტანა კლუბის გამარჯვებაში ჩიკაგოსთან. ექსტამპელი მარჩმენტი კი სან ხოსეში მაშინვე შეუდგა ჩვეულ დამანგრეველ საქმიანობას, რამაც, სხვათა შორის, ყურებჩამოყრილი კალიფორნიელები გამოაცოცხლა და „ზვიგენებმა“ პირველივე პერიოდში 4 უპასუხო შაიბა შეუგდეს ლოს ანჯელესს.

გრანდებს კარგი დღე არ დაადგათ. მათგან მხოლოდ დეტროიტმა შეძლო ქულის მოპოვება, დანარჩენები კი დამარცხდნენ. დალასმა, მრავალრიცხოვანი შეტევების მიუხედავად, ვერაფრით მოძებნა გზა ტორონტოელი ფელიქს პოტვენის (26 მოგერიება) კარისკენ, ხოლო პიტსბურგი, რომლის შემადგენლობაშიც მცველი ჰეჩერი (2+0,16) გამოირჩა, აშკარად არ ელოდა აილენდერსის ახალბედების — ექსბუფალოელი დოუსა (20) და დებიუტანტი მცველის ჩებატურ კინის (2 პასი) ასეთ აქტიურობას. ფილადელფიამ კი ათამაშებულ ბოსტონთან ღია, შემტევი ჰოკეის თამაში მოინდომა და ამით მხოლოდ დაზარალდა — პირველ ათ წუთში „მფრინავთა“ ორ გატანილს მასპინძლებმა სამით უპასუხეს, თანაც სამივე შაიბა დიმაიო (1+1,10) — სალივან (1+1) — აქსელსონის (1+2,7) სამეულმა მიითვალა. შემდეგ ბოსტონელები დაცვაში „ჩასხდნენ“ და მეტოქე აღარ გააჩარეს.

ორი გრანდის — კოლორადოსა და ნიუ ჯერსის უაღრესად დაძაბული და ტაქტიკური ორთაბრძოლა სტუმართა სასარგებლოდ დამთავრდა. მეკარე ბროდის ანგარიშზე მე-9 „შათაუტია“.

როგორც იქნა, გატეხა ნავსი ფლორიდამ, რომელმაც შეწყვიტა 13-მატჩიანი უხეირო სერია. მონრეალელებს ჰოგლუნდის (11) კლუბში მისვლა სასიკეთოდ წაადგათ, რადგან შვედმა იოლად მონახა საერთო ენა გუნდის ლიდერ საკუ კოივუსთან (2 პასი) და მათი პარტნიორობის წყალობით სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში. მაგრამ მასპინძლებმა თავიანთ იშვიათ კონტრშეტევათაგან თითქმის ყველა გამოიყენეს, ბოლო წუთებზე კი უეცრად გამოცოცხლდნენ და ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი მატჩის გმირმა ბილ ლინდსეიმ (2+0,9) გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. აღსანიშნავია, რომ მონრეალს ტრავმირებული ლიდერები — დამფუსი (2 პასი) და კორსონი დაუბრუნდნენ.

სენტლუისელმა ბრეტ ჰალმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ 2 შაიბით (სულ — 26) შეგვახსენა თავი, ხოლო პიტსბურგელი ფრენსისი, რომელმაც მანამდე კარიერაში მე-1000 პასი გააკეთა, 1425 ქულით ნჰლ-ის ისტორიაში მე-9 ბომბარდირს, ლეგენდარულ ბრაიან ტროტიეს გაუტოლდა.

## სამელ ლარიბიანი

ახალბედები: ჯონსონი (ტორონტო) 40 (13+27), სამსონოვი (ბოსტონი) 38 (16+22), ელიაში (ნიუ ჯერსი) 29 (15+14), შტურმი 29 (10+19), მარლო (ორივე სან-ხოსე) 27 (12+15), მორისი (კალგარი) 27 (9+18), ოლუნდი (ვანკუვერი) 27 (7+20), ზედნიკი (ვაშინგტონი) 26 (17+9), პროსპალი (ოტავა) 26 (6+20)

მცველები: ლიდსტრიომი (დეტროიტი) 56 (17+39), ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი) 51 (12+39), დიუშენი (სენტ ლუისი) 49 (13+36), მერფი (დეტროიტი) 48 (10+38), ზუბოვი (დალასი) 48 (8+40), ლიჩი (რეინჯერსი) 47 (17+30), ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 45 (21+24), ოზოლინში (კოლორადო) 44 (12+32), ჰეჩერი (პიტსბურგი) 43 (16+27), ბურკი (ბოსტონი) 42 (12+30)

გამარჯვების გოლები: ბონდრა (ვაშინგტონი) 11, სელიანე (ანაჰაიმი) 10, ნიუნდაიკი (დალასი), იაგრი (პიტსბურგი), შენაჰანი (დეტროიტი), ელისონი (ბოსტონი) და ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) 8.

### აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 71 | 44 | 9 | 18 | 199:137 | 97 |
| პიტსბურგი | 71 | 36 | 15 | 20 | 199:165 | 87 |
| ფილადელფია | 70 | 36 | 11 | 23 | 208:166 | 83 |
| ბოსტონი | 70 | 32 | 13 | 25 | 184:164 | 77 |
| მონრეალი | 71 | 33 | 9 | 29 | 204:181 | 75 |
| ვაშინგტონი | 71 | 32 | 11 | 28 | 187:182 | 75 |
| ბუფალო | 70 | 30 | 15 | 25 | 180:161 | 75 |
| ოტავა | 70 | 28 | 12 | 32 | 166:176 | 68 |
| კაროლინა | 69 | 28 | 7 | 34 | 170:188 | 63 |
| რეინჯერსი | 72 | 22 | 17 | 33 | 179:204 | 61 |
| აილენდერსი | 70 | 24 | 10 | 36 | 182:200 | 58 |
| ფლორიდა | 70 | 19 | 12 | 39 | 167:223 | 50 |
| ტამპა | 70 | 16 | 9 | 45 | 137:220 | 41 |

### დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 70 | 42 | 11 | 17 | 210:138 | 95 |
| დეტროიტი | 72 | 38 | 15 | 19 | 219:174 | 91 |
| კოლორადო | 72 | 36 | 16 | 20 | 209:177 | 88 |
| სენტ ლუისი | 71 | 37 | 8 | 26 | 208:170 | 82 |
| ლოს ანჯელესი | 70 | 33 | 11 | 26 | 203:187 | 77 |
| ჩიკაგო | 71 | 28 | 12 | 31 | 176:173 | 68 |
| ფინიქსი | 71 | 28 | 12 | 31 | 193:199 | 68 |
| ედმონტონი | 72 | 28 | 10 | 34 | 183:201 | 66 |
| სან ხოსე | 71 | 28 | 7 | 36 | 173:190 | 63 |
| ტორონტო | 71 | 25 | 9 | 37 | 161:202 | 59 |
| ანაჰაიმი | 72 | 24 | 11 | 37 | 177:222 | 59 |
| კალგარი | 71 | 23 | 13 | 35 | 188:213 | 59 |
| ვანკუვერი | 73 | 22 | 13 | 38 | 201:250 | 57 |

# ბურე გოლში ასი ათას დოლარს იღებს

ვანკუვერელ პაველ ბურეს კონტრაქტში არის ერთი უჩვეულო პუნქტი, რომელიც „რუსული რაკეტის“ გასამრჯელოსა და მის შედეგიანობას უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან. თურმე იმ შემთხვევაში, თუ ბურე სეზონის მსვლელობისას 40 გოლს გაიტანს, მისი ხელფასი გაისად 1 მილიონით გაიზრდება და 7 მილიონს მიაღწევს, 50 შაიბა კიდევ 1 შემატებულ მილიონად ფასობს. ასე რომ, ვანკუვერელი ჰოკეისტის მიერ გატანილი ყოველი გოლი 100 ათასი დოლარი ღირს. ბოლოს დავძენთ, რომ უმძიმესი ტრავმის შემდეგ ლიგის გოლეადორთა დავაში მოულოდნელად და სწრაფად ჩაბმულმა ბურემ დარჩენილ 11 თამაშში 8 შაიბაღა უნდა შეაგდოს, რაც მას სავსებით ხელეწიფება.

# 50: სელიანე პირველია

ტრავმამოშუშებულმა ტეემუ სელიანემ ბოლო მატჩებში შთამბეჭდავად მოუმატა და გარდა იმისა, რომ მდევრები ჩამოიშორა, სეზონში პირველმა მიაღწია უმაღლესი ოსტატობის ნიშნად აღიარებულ 50-გოლიან ზღვარს. ეს (სელიანეს კარიერაში მესამე შემთხვევა) ჩიკაგოსთან შეხვედრაში მოხდა: „ფინელმა მსროლელმა“ ჩვეული სიმარჯვით მოატყუა მცველი და არც მეკარეს მისცა განძრევის საშუალება. რაც მთავარია, ანაჰაიმმა ზედიზედ მესამედ მოიგო და პლეი ოფში გასვლის შანსიც შეინარჩუნა.

# XXI მტაცებლების საუკუნე

მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნის დასაწყისში ნჰლ 30 გუნდამდე გაფართოვდება. ახალბედათაგან ლიგის კარს პირველნი ნეშვილელები შეაღებენ. უკვე ცნობილია ახალი კლუბის ემბლემა, მისი მთლიანი სახელწოდება კი „ნეშვილ პრედეიტორსია“ („ნეშვილელი მტაცებლები“).

ნეშვილს ერთი წლის შემდეგ ატლანტის გუნდი შეუერთდება, ხოლო 2000 წელს „კოლუმბუს ბლუ ჯეკეტსი“ და „მინესოტა უაილდიც“ [illegible]დებიან ლიგაში.

თუმცა, ნეშვილ[illegible]ური აბონემენტების საჭირო [illegible] (ნჰლ-ის წესებით, 12000) [illegible]ით ვერ გაიყიდა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნეშვილელთა ლიგაში შებიჯებას.

# დედლაინზე დედლებს არ ირჩევენ

დასრულდა მორიგი დედლაინი, რომლის შემდეგაც გუნდებს გაცვლების უფლება აღარ აქვთ და ამიტომ ამ დღეებში გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობს. თუ პირველ შედეგებს შევაჯამებთ და ნაჩქარევ დასკვნებად არ ჩაგვეთვლება, შეიძლება ითქვას, რომ მაინცდამაინც დიდი სენსაციების მოწმენი არ გავმხდარვართ, ერთი ეს არის, გრანდებმა საპლეიოფო პრეტენზიები შემადგენლობის გაძლიერებით დაადასტურეს.

პირველ ყოვლისა, თასის მფლობელმა დეტროიტმა გაიმაგრა პოზიციები. შარშანდელის დარად, ჩემპიონებმა დაცვაზე იზრუნეს და კვლავ ტორონტოელ მოთამაშეზე გაამახვილეს ყურადღება (შეგახსენებთ, შარშან ტორონტოდან დეტროიტში სახელოვანი ლარი მერფი გადავიდა) — 36 წლის ჯემი მაკოუნმა ზაფხულში ავტოკატასტროფაში დაშავებული ვლადიმერ კონსტანტინოვის ადგილი უნდა დაიჭიროს და დაცვა უფრო საიმედო გახადოს. მეორე შენაძენი კი ანაჰაიმელი დიმიტრი მირონოვია, რომლის ჩათვლითაც დეტროიტელ რუსთა რაოდენობა ექვსამდე გაიზრდება. 32 წლის მირონოვი შემოქმედი მოთამაშეა და გუნდის მწვრთნელის სკოტ ბოუმენის აზრით, რიცხვმრავლობაშიც გამოსადეგია. აღსანიშნავია, რომ ეს ორი უძლიერესი და გამოცდილი მცველი „წითელფრთიანებს“ მხოლოდ ძალისმიერი მცველის ჯემი პუშორის და დრაფტის მეოთხე რაუნდის ფასად დაუჯდათ.

მეორე ფავორიტმა, ფილადელფიამ საკმაოდ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და ნიჭიერი მცველი იანე ნიინიმა (წლეულს 3 გოლი და 31 პასი) გაუშვა, რომელიც მუდმივად თამაშობდა რიცხვმრავლობაში და კოლეგათა შორის კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ. „ნიინიმა ძალიან პერსპექტიული ჰოკეისტია, მაგრამ ჩვენი კონფერენციის გრანდებთან საპაექროდ მაღალი და ათლეტური მცველები გვჭირდება“ — განაცხადა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა, რომელმაც ნიინიმას ნაცვლად ედმონტონიდან ტანსრული დენ მაკჯილისი (189 სმ, 91 კგ) გადაიბირა. გარდა ამისა, დეტროიტი, ისევე როგორც ფილადელფია, როგორც ჩანს, გამოცდილებას უფრო აფასებს და ამიტომაც იყო, 36 წლის დეივ ბაბიჩი რომ მიიპატიჟა. ბაბიჩისთვის ეს სეზონი მეთვრამეტეა ნჰლ-ში.

დეტროიტისა და ფილადელფიისგან განსხვავებით, კოლორადოს უპირველესი პრობლემა მძლავრი, აგრესიული ფორვარდების ნაკლებობაა. ამან გარკვეული როლი ითამაშა შარშანდელ პლეი-ოფში, როცა გუნდი არცთუ ძალისმიერმა დეტროიტმა გაანადგურა. ეტყობა, ამან განაპირობა ანაჰაიმელი „მეომრის“ უორენ რაიკელის მიწვევა, რომელსაც ჯეფ ოჯერსთან და ფრანსუა ლერუასთან ერთად მეტოქეებზე ზეწოლა დაეკისრება. რაიკელის გარდა, ფლორიდიდან დაცვაში მეტად მარჯვე ტომ ფიცჯერალდი მივიდა.

როგორც ხედავთ, ფავორიტები ძირითადად დაცვის გაძლიერებასა და აგრესიულობის ზრდაზე ფიქრობენ. ამიტომაც გაუგებარია დალასის სადედლაინო ნაბიჯები, მაშინ, როცა ეს გუნდი მეორე წელია, ელიტაში დამკვიდრებას ცდილობს.

მოგეხსენებათ, „ვარსკვლავთა“ ლიდერებს წლეულს გვარიანად მოხვდათ მეტოქეებისგან, რის გამოც დალასი, ფიზიკური სიძლიერის თვალსაზრისით, ყველაზე დაბრიყვებულ გუნდად მიიჩნიეს. მაგრამ, ფაქტობრივად, „პოლიციელთა“ გარეშე მოთამაშე ფავორიტი ამ ამპლუის არც ერთი ჰოკეისტით არ დაინტერესდა და რეინჯერსელი წყვილი — მაიკ კინი და ბრაიან სკრუდლანდი მოიხელთა, რომელთაც ძველ კლუბში არაფრით გამოუჩენიათ თავი. თუმცა, როცა თასზე მიდგება საქმე, ისინი მეტად ნაყოფიერად ირჯებიან და მათი გამოცდილება, შესაძლოა, გამოადგეს კიდეც დალასს.



შონ პრონგერმა პიტსბურგი უნდა გააძლიეროს



ვეტერანი რეი შეპარდი ამიერიდან კაროლინაში ითამაშებს



ტოდ ჰარვი რეინჯერთა სამომავლო იმედია

რაც შეეხება ჩემპიონობის კიდევ ერთ კანდიდატს, ნიუ ჯერსის, მას ზემოაღნიშნული პრობლემები ნაკლებად აწუხებს, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ „ეშმაკებმა“, ისევე როგორც ოტავამ, მონრეალმა, ლოს ანჯელესმა და ბოსტონმა, „დედლაინი“ ყურადღების მიღმა დატოვეს. თუმცა ერთი გამოკვეთილი გოლეადორი, თუნდაც იგივე ალექსანდრ მოგილნი, რომლითაც კლუბი დაინტერესებული იყო, ნიუჯერსელებს ნამდვილად არ აწყენდათ. შემთხვევითი არ არის, რომ „ეშმაკების“ ყველაზე შედეგიანი სნაიპერი ყოფილი „აგრესორი“ რენდი მაკეი გახლავთ.

აღსანიშნავია რეინჯერსის აქტიურობა, რომელმაც ერთბაშად ოთხი მოთამაშე გამოიცვალა. ზემოხსენებული კინისა და სკრუდლანდის მაგივრად ნიუიორკელებმა პერსპექტიული ტოდ ჰარვი მიიღეს (მასთან ერთად იშვიათად მოთამაშე ვეტერანი ბობ ეროც მივიდა კლუბში), რაც სერიოზული საგაისო განაცხადია. მეკარე მუცატი სანხოსელ ახალგაზრდა მცველ რიჩ ბრენანში გაიცვალა, სენტ ლუისიდან კი „რეინჯერებს“ ფორვარდი ჰარი იორკი შეემატათ.

ანაჰაიმმა საკმაოდ სერიოზული დანაკლისი განიცადა. მირონოვზე უკვე მოგახსენეთ, გარდა ამისა, გუნდი იმედისმომცემმა თავდამსხმელმა შონ პრონგერმაც დატოვა, რომელიც პიტსბურგმა დაისაკუთრა.

კიდევ უფრო აგრესიული გახდება ბუფალო, რომელსაც „პოლიციელები“ ისედაც არასდროს აკლდა. კლუბის მრავალრიცხოვან „მეომრებს“ პოლ კრუზი (62 თამაშში 6 გოლი და 1 პასი) და ჯესონ ჰოლანდიც შეუერთდებიან. რაც შეეხება აილენდერსს, მან გამტანი ფორვარდი ჯესონ დოუ შეიძინა, რომელიც უეჭველად პირველ ან მეორე სამეულში დამკვიდრდება.

ძნელი სათქმელია, როგორ გამოადგებიან თავიანთ ახალ კლუბებს ვეტერანი სნაიპერები დეივ შეპარდი (318+256 ნჰლ-ში გატარებული 11 წლის განმავლობაში, კაროლინაში ფლორიდადან გადავიდა) და ჯო მერფი (190+248 კარიერაში, სენტ ლუისიდან სან ხოსეში გადაბარგდა), რომელთა საუკეთესო წლები უკვე გავიდა, მაგრამ ძველი დამსახურების გამო მაღალ ხელფასს იღებენ. თუმცა მერფის გამართლება იმით შეიძლება, რომ წლეულს თავდამსხმელი მძიმედ დაშავდა და სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა.

ბოლოს აღვნიშნავთ ავადსახსენებელი მცველის ბრაიან მარჩმენტის მორიგ გადასვლას. უხეშობით ცნობილი მარჩმენტი, რომელმაც წლეულს ორი დალასელი ლიდერი — მაიკ მოდანო და გრეგ ადამსი დააშავა, ედმონტენელებმა, აქაოდა, შარში არ გაგვხვიოსო, ტამპაში გაუშვეს, არც იქ გააჩერეს მცველი დიდხანს და დეივიდ შოუსთან ერთად საკადრო ცვლილებების მოყვარულ სან ხოსეში გაგზავნეს. სანაცვლოდ „ელვებმა“ კალიფორნიელთა ხელმძღვანელობასთან უბრად მყოფი ერთადერთი რუსი „პოლიციელი“ ანდრეი ნაზაროვი მიიღეს.

არ გამართლდა იმათი მოლოდინი, ვინც ზოგ ჰოკეისტს მთელი სეზონის განმავლობაში გაცვლას უწინასწარმეტყველებდა — რუსი ფორვარდები ალექსეი კოვალიოვი და ალექსანდრ მოგილნი, ფინიქსელი თავდამსხმელი ჯერემი რენიკი და კალგარელი თეო ფლერი კვლავ ძველ კლუბებში დარჩნენ.

სამაგიეროდ, ვაშინგტონი თითქმის კარიერადასრულებულ ვეტერან ბრაიან ბელოუზს ენდო.

# ნუ აატირებთ ანდრეს

კი ბისკეინი. აშშ. ლიპტონის ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 4,6 მილიონი $



ანა კურნიკოვა

ქალები

**მეოთხედფინალი: ანა კურნიკოვა (23, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:4, 2:6, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) — იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) 6:1, 6:1.**

16 წლის კურნიკოვამ, რომელიც შვიდი წელია, ფლორიდაში ცხოვრობს და რუსეთზე მეტად მაიამიში ყოფნა ურჩევნია, თავის მეორე სამშობლოში ადგილობრივები დააწიოკა — „ლიპტონის" მეოთხედფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანს, ლინდსი დევენპორტს მოუგო, თან მესამე სეტში ისე გაამწარა, ჩოგნისთვის სულ წიხლები არტყმევინა. ძონძროხა ლინდსი, კორტზე სირბილს ბაჯბაჯი რომ ურჩევნია, ანას ვერაგულ შემოკლებულებს დაწევის ნაცვლად სასოწარკვეთილი წივილით ხვდებოდა და რალა დარჩენოდა, მატჩის შემდეგ მეტოქე სულ აქო და ადიდა — ყველაფერი კარგად ეხერხება და შეცდომებს თუ იშვიათად უშვებს, მისი დამარცხება თითქმის შეუძლებელიაო.

კურნიკოვას მეტოქე ბოლო მეოთხედფინალში გაირკვა, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ბებერი აფთრების ორთაბრძოლაში დაბალმა, მაგრამ მუშა არანჩა სანჩესმა მაღალ, მაგრამ სამიზნემოცვეთილ იანა ნოვოტნას ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უმწარესი მარცხი აწვნია.

**ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი (11, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:2, 5:7, 6:2; კურნიკოვა — სანჩეს-ვიკარიო 3:6, 6:1, 6:3.**

„ძნელია უილიამსების ოჯახთან ზედიზედ ორჯერ თამაში" — სიმწრის ღიმილით ამოღერღა მარტინა ჰინგისმა შავტუხათა კლანის უფროს წარმომადგენელთან, ვინუსთან მარცხის ასახსნელად. 17 წლის შვეიცარიელის განუკითხავ ბატონობას მსოფლიო ჩოგბურთში, რომელიც გასული სეზონიდან დაიწყო, როგორც ეტყობა, დიდი დღე აღარ უწერია — აქეთ ერთმანეთზე შავი უილიამსები, იქით კი კომუნისტური ბანაკიდან წამოჩიტული ქერა ღლაპები — [illegible]რნიკოვა და ლუჩიჩი დიდ გულზე ა[illegible] და[illegible]ა, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძ[illegible]ია 68

უილიამსისა [illegible] მატჩის ბედი უფრო ადრეც შ[illegible] გადაწყვეტილიყო, მაგრამ მ[illegible] ვინუსი 5:3-ს რომ იგებდა, სა[illegible], ძატჩ-პოინტი გაფლანგა, ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. მესამე სეტის დასაწყისში მარტინამ ნაცად ხერხს მიმართა და ვითომდა მაისურის შეცვლის მიზნით შესვენება მოითხოვა, მაგრამ სახელგატეხილს თაღლითობას ყველა მიუხვდა და კორტზე მობრუნებულს გვარიანადაც უსტვინეს. ისე, მამა აბრამის ბატკანიაო არც მთლად ვინუსზე ითქმის. მისი შარისთავი მამა-რიჩარდი გეიმებს შორის შესვენებების დროს შვილის ცხვირწინ რაღაც პლაკატებს აფრიალებდა და უცნაურად იმანჭებოდა, რაც საეჭვოდ ჰგავდა წინასწარ შეთანხმებულ „ნამიოკებს". ჩოგბურთში კი მატჩის დროს მწვრთნელის დახმარება თუ ნებისმიერი მითითების მიღება სასტიკადაა აკრძალული, მაგრამ, როგორც იტყვიან, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

„ვინუსი ჩემზე მაღალია და ამას არაფერი ეშველება, ბურთს მასსავით ძლიერად ვერასოდეს დავარტყამ" — შეიცხადა მარტინამ მატჩის შემდეგ, თან ისიც აღიარა, უფროსი უილიამსი აღარაფერში ჩამომრჩება, მომავალში მთავარ მეტოქეებად ეგ და კურნიკოვა მეყოლებაო. თავად ვინუსმა კი განაცხადა, მიფრთხილდით, პიკისთვის ჯერაც არ მიმიღწევიაო.

ვინუსის მეტოქე ფინალში კიდევ ერთი თინეიჯერი — ანა კურნიკოვა იქნება, რომელმაც მსოფლიოს მეოთხე ჩოგან მონიკა სელეშს, მეცხრეს — კონჩიტა მარტინესს და მეორეს — ლინდსი დევენპორტს ნახევარფინალში კლასიფიკაციაში მერვე არანჩა სანჩეს-ვიკარიო მიაყოლა და ისტორიაში პირველი ჩოგბურთელი შეიქნა, რომელმაც ათეულის ოთხი წარმომადგენელი ზედიზედ მოინადირა. „ყველას დავუმტკიცე, რომ ჩოგბურთის თამაში მართლაც მეხერხება. ქალთა ჩოგბურთში დიდი ცვლილებები ხდება, ახალი თაობა აღარაფერს დათმობს" — განაცხადა კურნიკოვამ, რომელსაც კომპიუტერების მსოფლიო ქსელ „ინტერნეტში" გახელებული ფანატებისგან უკვე ათობით „საითი" ემღვნება და თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ქალის ტიტულიც „ემუქრება".

კაცები

**მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (29, აშშ) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 6:3; ტიმ ჰენმანი (18, ინგლისი) — გუსტავო კერტენი (10, ბრაზილია) 6:2, 6:4; მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ტომას ენკვისტი (22, შვედეთი) 6:3, 2:0 — ტრავმა; ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — სტივ კემპბელი (აშშ) 6:3, 6:1.**

ანდრე აგასის ჯეფ ტარანგოსთან ერთი მწარე მოგონება აკავშირებს — პირველი მარცხი ცხოვრებაში. თურმე 7 წლის ანდრეს, მანამდე იუნიორთა შვიდი ტურნირი რომ მოეგო, მერვეს ფინალში 8 წლის ტარანგო გადაეყარა. გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკზე, რომელიც ხუთ ქულამდე თამაშდებოდა, ანგარიში 4:4 იყო, როცა ანდრემ ბურთი ზედ ხაზზე დააგდო და თავი ჩემპიონიც ეგონა, მაგრამ იქეთ ტარანგოს გამარჯვების ნიშნად ხელები აუწევია, მსაჯს მსოფლიოს მომავალი პირველი ჩოგნის დარტყმული აუტად ჩაუთვლია და მოგება მომავალი ნომერ პირველი შარისთავისთვის მიუკუთვნებია. რის გამოც ანდრეს ყველას დასანახად კარგა ხანი უღნავლია. მას აქეთაა, დაბოლმილი აგასი თავისმომჭრელზე განსაკუთრებული სისასტიკით რომ იძიებს ხოლმე შურს — პროფესიონალურ სარბიელზე შვიდ პირად შეხვედრაში (გუშინდელის ჩათვლით) მას შერეკილი მეტოქისთვის ერთი სეტიც კი არ გაუმეტებია.

თავხოტორა ამერიკელმა მორიგი გამარჯვებით სეზონის მეოთხე ნახევარფინალში გააღწია და ანგარიშზე 23 მოგება და მხოლოდ 3 წაგება გაუხდა. ახლა ფინალის გზაზე მას ესპანელი ალექს კორეჩა გადაეღობება, რომელმაც ტურნირზე კვალიფიკაციით მოხვედრილ სტივ კემპბელს გამარჯვებათა სერია შეაწყვეტინა.

მარსელო რიოსს კი მსოფლიოს პირველი ჩოგნობისაგან მხოლოდ ორი გამარჯვება აშორებს. კიკინიანი ჩილელი მეტოქეს მეოთხედფინალში — შვედ ტომას ენკვისტს მეორე სეტში მაჯა ისე ასტკივდა, ჩოგნის დაჭერა გაუჭირდა და რიოსს მალევე დანებდა. ამ უკანასკნელის თამაშს სამშობლოში თურმე იმდენი კაცი ადევნებს თვალყურს, ასპარეზობის დროს ქუჩებში მოძრაობა წყდება, თუმცა გულშემატკივარი მარსელოს არც ამერიკის ყველაზე ლათინურ ქალაქ მაიამიში აკლია — ტრიბუნები კი ბისკეინში ჩილეს დროშებითა და მოღრიალე ქომაგებითაა გადაჭედილი.



მარსელო რიოსი

**ავთანდილ სვანიძე**



## ფორმულა 1

II ეტაპი ბრაზილიის დიდი პრიზი

29 მარტი. სან პაულუ „ინტერლაგოსი"



ტრასის სიგრძე — 4.292 კმ

რბოლის დისტანცია

72 წრე — 309.024 კმ

რბოლის დასაწყისი

13.00 (ადგილობრივი დრო)
21.00 (ჩვენი დრო)

1997 წლის შედეგები:

გამარჯვებული: ჟაკ ვილნევი (უილიამს-რენო) 1:36.06,99 (192,905 კმ/სთ)

საუკეთესო წრე: ვილნევი 1.18,397 (197,089 კმ/სთ)

პოული: ვილნევი 1.16,004 (203,294 კმ/სთ)

# მაკლარენი და შეშინებულნი

ჩემპიონატის მეორე ეტაპი აირტონ სენას მშობლიური სან პაულუს „ინტერლაგოსის" საბურავებისა და მუხრუჭებისადმი მომთხოვნ და პილოტების მომქანცველ ტრასაზე იმართება.

შარშან აქ ჟაკ ვილნევის უპირატესობა აშკარა იყო: მისი იყო პოულიც, გამარჯვებაც, საუკეთესო წრეც რბოლისას და სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობაც. წლეულს კი ფავორიტებად მაკლარენელები ითვლებიან. მათ უპირატესობას ამ ტრასაზე მუხრუჭების განსაკუთრებული სისტემა და „ბრიჯსტოუნის" საბურავებიც უწყობს ხელს, თანაც დამატებითი სტიმულიც უჩნდებათ — პარასკევს დევიდ კულტჰარდს 27 წელი შეუსრულდა, ამასთან ბრაზილიაში იგი მესამოცედ აიღებს სტარტს და შეეცდება ეს იუბილეები გამარჯვებითაც დაიმშვენოს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ იან მაგნუსენი მეოცედ გამოვა საასპარეზოდ. ვილნევი 35-ედ, ჰერბერტი — 115-ედ, ახალგაზრდა ვურცისთვის კი ეს მე-5 პრიზი იქნება.

პირველ ეტაპზე „მაკლარენისგან" შეშინებული გუნდები დიდი მონდომებით შეუდგნენ ბოლიდების გამართვას. თავად ტრიუმფატორებმა „სილვერსტოუნზე" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა და უახლოესი „მდევარი", ბენეტონელი ვურცი ერთ წრეზე 2 წამით ჩამოიტოვეს.

ბარსელონაში კი „უილიამსი", „ჯორდანი" და „პროსტი" აუმჯობესებდნენ თავიანთ „ქმნილებებს". დეიმონ ჰილმა საუკეთესო დრო აჩვენა, ჰაკინენის თებერვლის რეკორდს მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა, ვილნევს კი 0,18 წამი მოუგო, რითაც საგონებელში ჩააგდო მსოფლიოს ჩემპიონიც და მისი თანაგუნდელიც. ამ შედეგის მიუხედავად ბრიტანელი ჩვეულებისამებრ თავშეკავებული გახლდათ და განაცხადა, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი აქვთ, თუმცა ბრაზილიაში ალბათ უკეთ იასპარეზებენ და თუ ქულების მოპოვებასაც შეძლებენ, დიდად გაახარებენ შეფ ედი ჯორდანს, რომელსაც მალე 50 წელი უსრულდება.

„ფერარი" რევანშისთვის იტალიაში ემზადება, სადაც მუჯელოს ტრასაზე შუმახერმა რბოლის იმიტაცია ჩაატარა, კმაყოფილიც დარჩა ბოლიდის ტექნიკური მდგომარეობით და იმედი გამოთქვა, რომ ბრაზილიაში უფრო მიუახლოვდებიან „მაკლარენის" დუეტს.

ტესტების შედეგებით, [illegible] ერთი მაჩანჩალის, „მინარდის" პილოტი ნაკანოც, რომელიც აცხადებს, რომ მისმა მანქანამ ავსტრალიის შემდეგ საოცარი პროგრესი განიცადა. არადა, მუჯელოს ტრასაზე მისი დრო ერთ წრეზე 4 წამით მეტი გახლდათ, ვიდრე შუმისა.

განსაკუთრებით ემზადება „გუდიარიც", რომელმაც ამ ეტაპისთვის დაამზადა ახლებური საბურავები, რომელთა გამოცდის შემდეგ „გუდიარის" ძირითადი კლიენტები „ფერარი" და „უილიამსი" ერთობ კმაყოფილნი დარჩნენ.

რბოლებს შორის ტესტებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ გამარჯვების საუკეთესო შანსი კვლავ „მაკლარენის" დუეტს აქვს. „უილიამსში" კი ჯერჯერობით ყველაფერი ვერ არის რიგზე, რის გამოც ამ ეტაპზე „ვერცხლისფერთა" ძირითად კონკურენტად შეიძლება მხოლოდ მიხაელ შუმახერი ჩაითვალოს, თუმცა უილიამსელები იოლად არაფერს დათმობენ. „სიურპრიზი" ანუ ჩასათვლელ ექვსეულში მოხვედრა ძალუძს „ჯორდანსაც".

**ალეკო ჭაბუკიანი**

# ისევ სკანდალი

ავსტრალიის „დიდი პრიზის" ორგანიზატორთა საჩივრის შემდეგ ფორმულა 1-ის სამყარო თითქოს დამშვიდდა, მაგრამ ახალმა ისტორიამ წამოყო თავი. ამჯერად პირველი ეტაპის გამარჯვებულებს „ფერარი" უჩივის, მიზეზი კი „მაკლარენის" მუხრუჭების სისტემა გახლავთ, რომელიც პილოტებს საშუალებას აძლევს, არეგულირონ მუხრუჭების მოქმედება წინა და უკანა თვლებზე — ეს ხომ მოსახვევში ბოლიდის უკეთ დამორჩილებას უწყობს ხელს.

ფერარელთა განცხადებით, მათ ჯერ კიდევ იანვარში მიაქციეს ამას ყურადღება და ფია-ს ახსნა-განმარტებაც მოსთხოვეს. პასუხიც მალე მიიღეს, რომლითაც კმაყოფილნი ნამდვილად არ დარჩენილან. ჟაქს მოსლის აზრით, ამის გამო მათ პროტესტის უფლება აქვთ, რასაც იყენებენ კიდეც. საკითხს ფია-ს კომისია ბრაზილიის „დიდი პრიზის" შემდეგ განიხილავს და შესაძლოა, „მაკლარენის" პილოტთა შედეგები ამ ეტაპზე გაუქმდეს.

მთავარი „დამნაშავე", რონ დენისი კი მტკიცედ უარყოფს მისი ბოლიდების მუხრუჭების არალეგალურობას და აცხადებს, რომ მას აქვს ფია-ს წერილობითი დასკვნა, რომლის თანახმადაც მისი ბოლიდები ტექნიკურ მოთხოვნებს შეესაბამება.

# პორტუგალია მაკრეისაა

22-26 მარტს პორტუგალიაში გამართული რალი შოტლანდიელი კოლინ მაკრეის გამარჯვებით დასრულდა.



კოლინ მაკრეი

ასპარეზობის პირველ დღეს ეგრეთ წო[illegible]ბული სუპერ-სპეციალური, 3,88 კმ სიგრძის ეტაპი ფრანგმა დიდიე ორიოლმა (ტოიოტა) მოიგო, რომელსაც 0,2 წამით ჩამორჩა შვედი რადსტრიომი (ტოიოტა). მესამე მაკრეი (სუბარუ) გახლდათ. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ფინელი ტომი მიაკინენი მერვე ადგილს დასჯერდა.

მეორე დღეს სპორტსმენებს ჯამში 134,66 კმ სიგრძის სპეცმონაკვეთები უნდა გაევლოთ. საუკეთესო კოლინ მაკრეი იყო, რომელმაც დღის ბოლოსთვის 44,2 წამით ჩამოიტოვა ფინელი იუჰა კანკუნენი. პირველი დღის გმირს, ორიოლს მესამე გადაცემა დაუზიანდა და მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითდა, ასპარეზობის მესამე დღეს კი საერთოდ გამოეთიშა რბოლას.

მესამე დღეს, ათი ჩქაროსნული ეტაპის (ჯამში 144,94 კმ) შემდეგ, კანკუნენმა ოდნავ შეამცირა სხვაობა ლიდერთან, თავად მას კი ესპანელი „მატადორი" კარლოს საინსი (ტოიოტა კოროლა) წამოეწია.

რალის დასკვნითი ნაწილის გმირი საინსი აღმოჩნდა, რომელმაც ბოლო, 14-კილომეტრიანი მონაკვეთის წინ 37-წამიანი ჩამორჩენის 6 წამამდე შემცირება მოახერხა. საბოლოოდ, შოტლანდიელმა მაინც შეინარჩუნა უპირატესობა, 2,1 წამით აჯობა საინსს და სეზონში პირველი, ხოლო კარიერაში მე-14 რბოლა მოიგო. „მატადორმა" კი მოპოვებული 6 ქულით ჩემპიონატში ლიდერობა ხელიდან არ გაუშვა.

**პორტუგალიის რალის შედეგები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. მაკრეი (სუბარუ) | 4:20.58,1 | 10 ქულა |
| 2. საინსი (ტოიოტა) | 4:21.00,2 | 6 ქულა |
| 3. ლუა (ტოიოტა) | 4:21.43,9 | 4 ქულა |
| 4. ბარნსი (მიცუბიში) | 4:21.51,2 | 3 ქულა |
| 5. ვატანენი (ფორდი) | 4:24.18,3 | 2 ქულა |
| 6. ლიაცი (სუბარუ) | 4:24.22,3 | 1 ქულა |

პირადი პირველობა: 1. საინსი 22 ქულა; 2. კანკუნენი — 16; 3. ბარნსი — 15; 4. მაკრეი — 14; 5. ვატანენი — 6.

გუნდური პირველობა: 1. ტოიოტა 29 ქულა; 2. მიცუბიში — 25; 3. ფორდი — 23; 4. სუბარუ — 21.

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ პოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მზეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29